ახალგაზრდა ადვოკატები

ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა



არის სამართლიანობა, არის მშვიდობა!

„ახალგაზრდა ადვოკატების“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი - ხელმძღვანელი
მარიამ ასანიშვილი - სადამფუძნებლო საბჭოს წევრი
ლიზა ზუხბაია – იურისტი, პროექტის PR მენეჯერი
კალე ურიდია – იურისტი/საერთ. ურთიერთობის მენეჯერი
სოფიო ჭელიძე – იურისტი სამართალწარმოების საკითხებში;
გვანცა ცერცვაძე – იურისტი;
გერდია ჯაჯანიძე – იურისტი
ნიკა მენოგნიშვილი – მთავარი იურისტი (07.04.2021 – 16.08.2021)
თამარ ციხიშვილი – იურისტი/ანალიტიკოსი (24.11.2019 – 03.02.2021)
კოგა ბურკაძე – იურისტი (05.04.2021 – 16.11.2021)
მარიამ გარსონიძე – იურისტ-კონსულტანტი (05.03.2021 – 31.07.2021)
ანა თვაური – იურისტ-კონსულტანტი (05.03.2021 – 31.07.2021)
მარიამ ხიზანიშვილი - ფინანსური მენეჯერი
ანა კიკნაძე - მრჩეველთა საბჭო
ბექა ჯავახიშვილი - მრჩეველთა საბჭო
ია გოგნაძე - მრჩეველთა საბჭო

საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №171
ორგანიზაციის ტელეფონი: (995 32) 290 78 77, 599 29 12 02

Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
www.barristers.ge

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2021

„ახალგაზრდა ადვოკატები“ – გავხდეთ დემოკრატიული პროცესების არა დამკვირვებელი, არამედ – მონაწილე

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის ყოველი წელი რაღაც განსაკუთრებულ ერთ მიმართულებას გამოკვეთს და მრავალფეროვან საქმიანობასთან ერთად, გუნდის გადაწყვეტილებით, არჩეულ მიმართულებას სტრატეგიული და ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება. ასე, მაგალითად, 2021 წელი, ორგანიზაციისთვის იყო შრომითი უფლებების დაცვის წლად აღიარებული. სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეებიც და სხვადასხვა კვლევითი ინტერესებიც, სწორედ ამ მიმართულების ქვეშ მოექცა. 2020 წელი გამოვაცხადეთ ბავშვთა უფლებებზე მუშაობის წლად და მთელი წლის მანძილზეც, ბავშვთა უფლებებზე მუშაობა გახდა პრიორიტეტული. ორგანიზაცია გახდა ახალგაზრდა კომპოზიტორ **ცოტნე ზედგინიძის** ინტერესების დამცველი და უზრუნველყო მასთან ერთად, არაერთი ბავშვის უპირატესი ინტერესების დაცვა სასამართლოში.

ჩვენ დღემდე ვაგრძელებთ ცოტნეს და მასთან ერთად, სხვა ჩვენი საამაყო არასრულწლოვნების ინტერესების დაცვას ქართულ სასამართლოში.

სხვა წლების ჩართულობაც ასეთია: 2019 წელი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების წლად იქნა გამოცხადებული, 2018 - კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობის წლად, 2017 - სასამართლოს პრობლემატიკის კვლევის წლად, 2016 - ბანკების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის საქმეებზე მუშაობის წლად, 2015 - სამართლიანობის აღდგენის პრობლემებზე მუშაობის წლად, 2014 - ბავშვთა უფლებების დაცვის წლად.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აღმასრულებელი გუნდის გადაწყვეტილებით, 2022 წელი განათლების უფლებებზე მუშაობის წლად გამოცხადდება. ჩვენი არჩევანი განპირობებული არ არის მხოლოდ იმ გარემოებებით, რომ გაიზარდა სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილე ნიჭიერი ახალგაზრდების ჩვენდამი მომართვა დარღვეული უფლებების აღდგენის კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება საგრანტო პროგრამებში თანაბარი მოპყრობა და შეფასება, არსებობს ნეპოტიზმის ცდუნებით მიღებული გადაწყვეტილებები, სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩვენს დამსახურებულ პროფესორ-მასწავლებლებსა და მეცნიერებს აღარ აძლევენ გამოცხადებულ კონკურსებში წარმატების საშუალებას, არამედ დასახელებულ ფაქტორებთან ერთად, არსებობს კიდევ უფრო მეტი მოტივაცია - განათლება, განათლების უფლება და ცოდნის პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ღონისძიებები, სკოლამდელ ასაკსა თუ საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებში, ქმნის საუკეთესო შესაძლებლობას ინფორმირებული საზოგადოებისთვის.

ასეთ საზოგადოებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე, მის სწორ პრიორიტეტებსა და მიღწევებზე. იყოს დემოკრატიული პროცესების არა დამკვირვებელი, არამედ - მონაწილე.

საქართველო თავისუფალი საზოგადოების ქვეყანაა და პოლიტიკური პლურალიზმისა და ჩატეხილი ხიდის მიუხედავად, არსებობს საერთო მისწრაფებები და პირობების ერთობლიობა. მათ შორის, განათლება არის მთავარი და განმსაზღვრელი მიმართულება. ამიტომაც, როგორც ერთი ორგანიზაცია, ჩვენ ხელს შევუწყობთ ამ კუთხით სათანადო ადვოკატირებას და ხელს შევუწყობთ ინიციატივების გაჩენას, რომელიც ამ კუთხით საქმიანობის განხორციელებას მოიცავს.

სიკეთე, სიმშვიდე და წარმატება ჰქონოდეს ჩვენს სამშობლოს - საქართველოს!

არჩილ კაიკაციშვილი,

ორგანიზაციის ხელმძღვანელი
26 დეკემბერი, 2021

„ახალგაზრდა ადვოკატები“ –

ჩვენი გუნდი 2021 წლის განმავლობაში მუშაობა იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვან თემებს შეეხებოდა. ორგანიზაცია, თითქმის ყველა საჯარო ინტერესის საკითხს გამოეხმაურა და საქმიანობის სტრატეგიიდან გამომდინარე, პოლიტიკის შეფასება სამართლებრივი არგუმენტებით სცადა. წლის საქმიანობის წინამდებარე ანგარიშში დეტალურადაა წარმოდგენილი საქმიანობის მთავარი აქცენტები, რაც სრულ წარმოდგენას იძლევა ორგანიზაციის შეფასებების თაობაზე. 2021 წელი საინტერესო იყო სამი მნიშვნელოვანი კვლევის გამოცემით. ჩვენ საგნობრივად შევისწავლეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი შენობის ირგვლივ შესაძლო ფარული გარიგებების საკითხი. მართალია, გამოქვეყნებულ კვლევას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უწოდა „არაკომპეტენტური“, თუმცა ცენტრალური ბანკის განაწყენება ლოგიკური და ბუნებრივიც გახდა - ორგანიზაცია დაესწრო სებ-ის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის საქართველოს პარლამენტში გამოსვლას, დაუსვა კვლევის ირგვლივ შეკითხვები, მაგრამ პასუხები აღმოჩნდა შეუსაბამო. ამდენად, სებ-ის მენეჯმენტმა სწორად შეაფასა პარლამენტში ღია კითხვების სიმწვავე და თავდაცვით რეჟიმში აღმოჩნდა, თუმცა ორგანიზაციამ მოუწოდა სებ-ს, რომ თუ კვლევის მიმართ არსებობდა პრეტენზიები, ფიქრობდნენ, რომ კვლევა ლახავდა ცენტრალური ბანკის რეპუტაციას, მიემართათ სასამართლოსთვის. ასეთი ნაბიჯი ეროვნულ ბანკს არ გადაუდგამს. ხმაურიანი აღმოჩნდა გელათის ტაძრის ირგვლივ გამოქვეყნებული კვლევის შინაარსი და შედეგებიც. ორგანიზაციამ დეტალური მოკვლევა გააკეთა და გამოკვეთა სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა ტაძრის მიმართ გატარებულ ღონისძიებებში. სახელმწიფოსთან ერთად, ორგანიზაციამ ამხილა პროცესში მონაწილე კომპანიები და მათი ხელმძღვანელი პირების კავშირები სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელობასთან. მედიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩვენს კვლევას. შემდეგ იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც სრულად გაიზიარა „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით წარდგენილი დასახელებული კვლევა და მთავარი არგუმენტები ასახა თავის გადაწყვეტილებაში, რითაც უკანონოდ ცნო გელათზე სამშენებლო კომპანიის მიერ განხორციელებული სამუშაოები. და ბოლოდ, ორგანიზაციამ სისტემური დანაშაულის საქმეზე გამოაქვეყნა ახალი კვლევის შედეგები, რომელიც შეეხებოდა „მრეწვრკინიგზას“ საქმეს. ორგანიზაცია საქმის ფარგლებში, სამართალწარმოებას აგრძელებს სასამართლოს წესითაც.

2021 წლის მანძილზე, ორგზის განახლდა ორგანიზაციის აღმასრულებელი გუნდი და აქტუალობა არ დაუკარგავს სხვადასხვა ინსტიტუციების საქმიანობის შესწავლას და შეფასებას. მაგალითად, ორგანიზაციამ სამართლებრივი შეფასებები გამოაქვეყნა ნინოწმინდის პანსიონის საქმეზე. სსიპ რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობაზე. საქართველოს მთავრობის მუშაობაზე შრომით დავებში ანაზღაურებული კომპენსაციების კუთხით. 2021 წელს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომითი და-

მრავალი აქცენტი და გუნდი თქვენთვის

ვების წარმოებას საერთო სასამართლოების გზით. აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო თავად სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მუშაობის შეფასებაც, რომელიც ორგანიზაციამ სპეციალური განცხადების სახით წარმოადგინა და აღნიშნა, რომ ქართული სასამართლო თვითდინებისა და თვითგამორკვევის გზას დაადგა.

2021 წელს ორგანიზაციას ჰქონდა წარმატებული სამართალწარმოების პრაქტიკა. ჩვენ დავასრულეთ ან ახლაც ვაგრძელებთ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან საქმეებზე. ჩვენი იურისტები, უფასო იურიდიული კონსულტაციის ფარგლებში, ათობით მოქალაქეს დაეხმარნენ. ტრადიციულად, აქტუალური იყო ჩვენი სოციალური გვერდის შეტყობინებები. პანდემიის სირთულეებიდან გამომდინარე, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც არასაპატიო მიზეზით მოგვეთხოვა სხდომის გადადება, ვინაიდან ჩვენ ვაცნობიერებთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სხვადასხვა საქმეზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება საქმეთა გადატვირთულობის პირობებში. წელს, ჩვენი მაღალი ჩართულობის შედეგად, სხვა წარმატებულ საქმეებთან ერთად, მოვიგეთ ჰააგის კონვენციის ფარგლებში წარმოებული საქმეც, რა დროსაც, საქართველომ უარი განაცხადა გერმანიისთვის გადაეცა არასრულწლოვანი. ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი ამ კუთხით აქტიურ ჩართულობას ახორციელებდა, რამაც მიგვიყვანა სურვილამდე მოგვემზადებინა პროექტი. ჩვენთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარდგენილი პროექტი მოიწონა, გასცა გრანტი და მომდევნო 6 თვის განმავლობაში, ორგანიზაცია, ჰაგის 1980 წლის კონვენციის ფარგლებში, განახორციელებს ბავშვთა უფლებების ადვოკატირებას საქართველოში.

2021 წელს არ შეცვლილა სათანამშრომლო გარემო კერძო და საჯარო სექტორთან. პირიქით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო თემატურ საკითხებზე შემდგარი შეხვედრები და რეკომენდაციები. ორგანიზაციის საქმიანობა კვლავინდებურ ინტერესს ინარჩუნებდა ტელე და ელექტრონულ მედიაში. განსაკუთრებული გამოხმაურება შეიძინა, მათ შორის ორგანიზაციის მიერ დასმულმა საკითხმა სეისმური უსაფრთხოებისა და სტრატეგიის პრობლემებთან დაკავშირებით. ორგანიზაცია აქტიურად გეგმავს ამ კუთხით შემდგომი სამართალწარმოების გაგრძელებას. ამასთან, უფრო მეტად გაიზრდება კვლევითი საქმიანობა და სხვადასხვა აქტუალური საკითხის სამართლებრივი მონიტორინგი. ორგანიზაცია, პანდემიის შესაძლებლობების გათვალისწინებით, გეგმავს სხვადასხვა კონფერენციების მოწყობას და საგანმანათლებლო სფეროში უფლებების ადვოკატირებასა და ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების მომზადებას. 2022 წელი, ჩვენი ორგანიზაციისთვის საიუბილეოა. ჩვენ შევხდებით 10-წლიანი ისტორიით, უცვლელი ფასეულობებითა და საზოგადოებისთვის საინტერესო საქმიანობით.

მთელი წელი საზოგადოებისთვის

იანვარი, 2021 – ორგანიზაციამ გააკეთა ოფიციალური განცხადება და აღნიშნა, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილება ომის საქმეზე დეოკუპაციისა და არაღიარების პოლიტიკისთვის ახალ რეალობას ქმნის. ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში, ომის დანაშაულზე, რუსეთის ფედერაციის მიმართ საქართველოს საჩივრის დაკმაყოფილება არამხოლოდ სამართლიანობის აღდგენაა, არამედ დეოკუპაციისა და არაღიარების პოლიტიკისთვის ახალი რეალობა, რაც სათანადოდ უნდა იქნეს განხილული და გამოყენებული შემდგომ პოლიტიკურ, სამართლებრივ და საზოგადოებრივ საწყისებზე დიალოგისთვის. ომის დანაშაულებებზე საქართველოს არ აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცდილება. 1990-იანი წლების სამოქალაქო ომის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვება ჩვენი უახლესი ისტორიის გამოწვევაა. ამ თვალსაზრისით, 2008 წლის აგვისტოს ომის სამართლებრივი შეფასება უდიდესი პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი მოვლენაა, რაც უდავოდ ისტორიული ფაქტია. ომის დანაშაული, სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად, პოლიტიკური პასუხისმგებლობაა. საქართველო, მისი თითოეული მოქალაქე, თითოეული ჯარისკაცი და მსხვერპლი ოჯახი დღეს ამაყია, რადგანაც საქმე ეხება ღირსების აღდგენას, პიროვნული და საქვეყნო ღირსების დაცვას – აღინიშნა განცხადებაში.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამართლებრივი ანალიზი, რომელიც შეეხებოდა ქ. თბილისის თვითმმართველობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის – ელიავას ბაზრობის რევიტალიზაციის პროცესს და აღნიშნა, რომ ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის პროცესი და 678 500,00 ლარის განკარგვა, არაერთი სადავო საკითხის გარკვევამდე, უნდა შეჩერებულიყო. ორგანიზაციის განცხადებით, საჭიროა სიცხადე შევიდეს იმ საჭიროებებსა და თანმიმდევრობებში, რომელიც ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავების მიზნით გამოცხადებულ კონკურსის გამოცხადებას შეეხება. კერძოდ, კონკურსის გამოცხადება და შემდგომი პროცესი ეფუძნება იმ სამართლებრივ საფუძვლებს, რომელიც გასაჩივრებულია სასამართლო წესით. შესაბამისად, ლეგიტიმურად დაისმის შეკითხვა, თუ რა აუცილებლობით იქნა განპირობებული კონკურსის გამოცხადება სასამართლოში სადავოდ ქცეული საფუძვლების პარალელურად. დადგენილია, რომ საქმეში მესამე პირად ჩართულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა და სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო. სწორედ ამ უკანასკნელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოაცხადა კონკურსი ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავების მიზნით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სამართლიანი შეიძლება ყოფილიყო საკითხის გადაწყვეტა იმგვარად, რომ საპროექტო ობიექტის მნიშვნელოვან ნაწილზე – 51,593 კვ.მ ფართზე, რომელსაც ფლობს შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფი“ და უკვე არსებობს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, არ გამოცხადებულიყო კონკურსი. ქ. თბილისის საკრებულოს დაემტკიცებია შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ მიერ წარდგენილი მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა და კონკურსი გამოცხადებულიყო საპროექტო ობიექტის სხვა დარჩენილ ნაწილზე.

თებერვალი, 2021 – ორგანიზაცია გამოეხმაურა საქართველოს ენერგო-დამოუკიდებლობის პროცესში სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე ჰესის მშენებლობებთან მიმართებით ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს და აღნიშნა, რომ რიონის ხეობაში, ნამახვანჰესის მშენებლობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, არ შეიძლება მხოლოდ ცალმხრივად იქნეს განხილული და შეფასებული. საზოგადოებაში გრძელდება დისკუსია, თუ რამდენად მიზანშეწონილია ნამახვანჰესის პროექტის განხორციელება, სახელმწიფოს, მშენებარე კომპანიას და მოსახლეობას აქვს საკუთარი პოზიციები, თუმცა წინასწარი შეფასებით, არსებობს მნიშვნელოვანი ინფორმაციული სიმწირე, რომელიც პროექტის ირგვლივ საფრთხეებზე, სიკეთეებსა და შედეგებზე სრულ წარმოდგენას შექმნიდა. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ მსგავსი საკითხების გადაჭრისა და განხორციელების მიზნით, საჭიროა საზოგადობის მხარდაჭერა და არამხოლოდ ექსპერტული წრეების კონსოლიდაცია. ამდენად, ორგანიზაცია მთავრობას სთავაზობდა, ჰესების მშენებლობის შეუთანხმებელ ტერიტორიულ ერთეულებში, მაქსიმალურად განახორციელოს მოსახლეობის განწყობების დადგენა, მოხდეს მათი სრული ინფორმირება და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღება. ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ ამ კუთხით, სახელმწიფოს უნდა გამოეყენებია საერთო-სახალხო გამოკითხვის – პლებისციტის ფორმა, რაც საშუალებას გააჩენდა მოსახლეობას დემოკრატიულად გადაეწყვიტა ბუნების თუ კულტურული ფენების დათმობის სანაცვლოდ, მძლავრი ჰესების მშენებლობის საკითხი. თუ საქარ-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

თველოში ჰესების მშენებლობების საკითხი, პლებისციტის გზით შეიძლება გადაწყვეტილიყო, ორგანიზაცია მთავრობას საკითხის ინიცირებას 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად სთავაზობდა, რაც მთლიანად გამორიცხავდა დამატებით ფინანსურ საჭიროებებს.

ორგანიზაცია გამოეხმაურა მაღალი საჯარო ინტერესის საკითხს საპარლამენტო მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნიკა მელიას დაპატიმრების გადაწყვეტილება სამართლებრივ კონფლიქტში არ მოდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ იმ ნორმებთან, რომელიც გირაოს ინსტიტუტის თავისებურებებს განმარტავს და თუ ეს გადაწყვეტილება შეიცვლებოდა, სასამართლოს არც ეს გადაწყვეტილება იქნებოდა სამართლებრივ კონფლიქტში ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობასთან. პოლიტიკური დისკუსიის მიღმა, არსებობს სამართლებრივი სივრცე, რომლის გამოყენებაც, ყოველთვის აჩენს შესაძლებლობის ფარგლებს და არ არღვევს კანონის უზენაესობის პრინციპს. ერთადერთი, მხოლოდ მოსამართლეა, რომელსაც გააჩნდა ნორმის განმარტებისა და ნორმის შეფარდების კონსტიტუციური უფლებამოსილება. პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს შეფასების დროს, ორგანიზაცია განმარტავდა, რომ საჭიროა სწრაფი ცვლილებები, ნორმალური ცხოვრების აღდგენა და სამართლიანობის განცდის დაბრუნება თითოეული ადამიანისთვის.

მარტი, 2021 – ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება, რომელიც შეეხებოდა 2012 წლამდე სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების ხელყოფის მასშტაბურ სისტემურ დანაშაულზე მომზადებული კვლევის შედეგებს. კერძოდ, საქმე შეეხო სააქციო საზოგადოება „მრეწვრკინიგზას“, რომელსაც ქონებები 2012 წლამდე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევის შედეგად, ნების საწინააღმდეგოდ დაათმობინეს. უკანონო ჩარევის შედეგად, სააქციო საზოგადოების დირექტორს ქონებების ნაწილი სახელმწიფოს სასარგებლოდ მიატოვებინეს, ნაწილი – სახელმწიფოს სასარგებლოდ გამიჯვნით მიისაკუთრეს. სააქციო საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონებების ნაწილი თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ქვეშ ექცეოდა. შესაბამისად, სახელმწიფომ კერძო მესაკუთრის უფლებების ხელყოფა ძალმომრეობით და უკანონო ჩარევის შედეგად გადაწყვიტა და არა – კანონის საფუძველზე. გამოქვეყნებულ დასკვნაში, დეტალურად იქნა ნაჩვენები, თუ როგორ მიიტაცა სახელმწიფომ 778,515,00 ლარის ღირებულების ქონება. წართმეულ ქონებებს ისევ უკანონოდ ფლობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, რომლის მიმართაც, სასამართლოში, ქონებების დაბრუნების მოთხოვნით, მიმდინარეობს სამართალწარმოება. მეტიც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მილების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების, დაზუსტებული მიწის ფართობი: 6448.00 კვ.მ და ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს N1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების, დაზუსტებული მიწის ფართობი: 10705.00 კვ.მ ნაკვეთის გასხვისება და იპოთეკის უფლებით დატვირთვა აუკრძალა, რითაც სრულად დაკმაყოფილდა ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ მოთხოვნა 2012 წლამდე წართმეულ 778,515,00 ლარზე მეტი ღირებულების ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენისა და ქონების დაბრუნების კუთხით აუცილებელი სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებაზე. სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე შესულია კანონიერ ძალაში და მან განვლო ორი ინსტანციის კონტროლი.

აპრილი, 2021 – ორგანიზაციამ გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სასამართლოში, შრომით-სამართლებრივ დავებში, საქართველოს მთავრობის სამინისტროების მონაწილეობის საკითხს, შესწავლის შედეგები კი – 2018-2020 წლებს. შესწავლის პროცესში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავრობის 11 სამინისტრომ. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა შემდეგ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და ანალიზი: 2018-2020 წლებში, საერთო სასამართლოებში, მოსარჩელის, მოპასუხის ან/და მესამე პირის სტატუსით, რამდენ სასამართლო დავაში, მათ შორის შრომით-სამართლებრივ საქმეზე მონაწილეობდა თითოეული სამინისტრო, რა აჩვენა სასამართლოს გადაწყვეტილებებმა დავების სამინისტროების სასარგებლოდ ან/და საწინააღმდეგოდ ან/და მორიგებით დასრულების შემთხვევებზე, რამდენი გათავისუფლებული თანამშრომელი აღდგა სამსახურში, რამდენ თანამშრომელს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ან/და მიეცა ერთჯერადი სახის კომპენსაცია, რა ოდენობის თანხა იქნა ანაზღაურებული, როგორია დასაქმებული თანამშრომლების რიცხოვნება თითოეულ სამინისტროში 2021 წლის იანვრის თვის მდგომარეობით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ შესწავლის ფარგლებში ყველა სამინისტრომ ოპერატიულად ითანამშრომლა და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა, რამდენიმე

მთელი წელი საზოგადოებისთვის

შემთხვევის გარდა, სრულფასოვნად მოხდა.

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ბოლო ორ წელიწადში, საქართველოს მთავრობის სამინისტროებმა სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგად, იძულებითი შრომითი განაცდურის სახით, დასაქმებულების მიმართ, 1,010,480.05 ლარი გადაიხადეს. შესწავლამ აჩვენა შემდეგი სამინისტროები, რომლებმაც დასაქმებულების შრომის იძულებითი მოცდენა აანაზღაურეს. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაიხადა 505,793.09 ლარი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ – 164,536.90 ლარი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ *(სამინისტროს გაყოფამდე)* – 73,420.80 ლარი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ – 166,729.97 ლარი. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კიდევ ერთმა სამინისტრომ – საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, აგრეთვე მოახდინა სასამართლოს 1 გადაწყვეტილების აღსრულება და აანაზღაურა იძულებითი შრომის მოცდენა, თუმცა სამინისტრომ არ გასცა ინფორმაცია, თუ რა თანხის ოდენობით. ქართულ სასამართლოში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი შრომით-სამართლებრივი დავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველაზე მცირე დავა კი საქართველოს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს ჰქონდათ. გამოიკვეთა მხოლოდ ორი სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლებსაც არც ერთი დავა არ უწარმოებიათ სასამართლოში.

ორგანიზაცია გამოეხმაურა მაღალი საჯარო ინტერესის საკითხს, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური კრიზისის დაძლევისთვის მომზადებული შარლ მიშელის დოკუმენტის გაჩენას. განცხადებაში აღინიშნა, რომ საზოგადოება ელოდება პოლიტიკურ კონსესუსს და საპარლამენტო ცხოვრების დაწყებას მრავალპარტიული პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობით, იმის მიუხედავად, ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მიიღებდნენ თუ არა იმავე მხარდაჭერას თითოეული მათგანი. ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის განახლებული შეთანხმების დოკუმენტი გარდამტეხი მნიშვნელობის აქტია, რომელიც აძლიერებს დემოკრატიას და მთლიანობაში, მისი ფორმულა ძალიან კონკრეტულია: ყველაფერს გადაწყვეტს ხალხი.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამართლებრივი ანალიზი, რომელიც დაკავშირებული გახლდათ „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტის დებულებებთან. შეფასებაში აღინიშნა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ავალდებულებს. აღნიშნული პირდაპირ არის დაკავშირებულია სამეწარმეო სამართალში კონკრეტული ცვლილებების გატარებასთან, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდანაც ვლინდება. კანონპროექტი თვისობრივად ცვლის „მეწარმეთა შესახებ“ მოქმედ რედაქციას, უფრო დეტალურად და სიღრმისეულად აწესრიგებს პრობლემატურ გარემოებებს, გვთავაზობს სადავო საკითხების გადაჭრის საკანონმდებლო გზებს, რაც დღესდღეობით, მხოლოდ სასამართლო პრაქტიკით იყო დარეგულირებული. ამ მხრივ, წარმოდგენილი კანონპროექტი აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს, იგი მრავალი პროგრესული სიახლით გამოირჩევა, რაც აუმჯობესებს თანამედროვე სამეწარმეო საზოგადოებისა და ზოგადად, კორპორაციული მართვის სისტემას.

მაისი, 2021 – ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები, რომელიც შეეხებოდა სსიპ რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის შეფასებას. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა შესწავლილიყო ინფორმაცია 2019-2020 წლებში სააგენტოში დასაქმებული პირების მიმართ გაცემული ხელფასების, პრემიებისა და დანამატებისა და მათი მიზნობრიობის თაობაზე, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სამივლინებო ხარჯებზე, სარესტორნო მომსახურებებზე, მედია-კამპანიებზე, შემუშავებული რეკომენდაციების, წინადადებებისა და კვლევით საქმიანობაზე, მათ გავლენასა და შესრულებაზე. შესწავლილი მონაცემების თანახმად, 2020 წელს სააგენტოში დასაქმებული პირების მიმართ გაცემულმა ხელფასმა შეადგინა 553 604.78 ლარი, ხოლო 2019 წელს – 541 009.14 ლარი. 2019 წელს, ერთხელ გაიცა პრემია თავმჯდომარის მოადგილეზე 3 360 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წელს პრემია არ გაცემულა, თუმცა სახეზეა დანამატების სიხშირე და მოცულობითი ოდენობა, კერძოდ 2019 წელს გაცემულ სახელფასო დანამატებს შეადგენს 616 565 ლარი, 2020 წელს კი – 57 800 ლარს. სახელფასო დანამატების ტენდენცია საგრძნობლად შემცირებულია, თუმცა ორგანიზაცია, სააგენტოს ხარჯთეფექტურობის და მიზნობრიობის საკითხი მაინც ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან დანამატის გაცემა შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სამუშაოს შესრულების სპეციფიკით და სირთულით, განსახილველ შემთხვევაში, ასეთი განსაკუთრებული დატვირთულობა კი არ ჩანს. სააგენტოს საქმიანობა,

მთელი წელი საზოგადოებისთვის

მისი მაღალი დანიშნულების მიუხედავად, არ მოითხოვს შრომითი ძალების განსაკუთრებულ მობილიზებას და ჩართვას, წარმოდგენილი მონაცემების თანახმად კი დანამატების გაცემას სააგენტოში ყოველთვიური ხასიათი აქვს. ორგანიზაციის აზრით, რელიგიის სახელმწიფო სააგენტომ უნდა გაზარდოს საქმიანობის ეფექტიანობა, მანდატი და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნდა კვლევის შედეგები, რომელიც შეეხებოდა მსოფლიო კულტურული მნიშვნელობის ძეგლის – გელათის ტაძრის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შეფასებას. შესწავლილი მასალის თანახმად დგინდება, რომ გელათის რესტავრაცია-კონსერვაციასა და დროებითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე ყველა პროექტი შექმნა და მოამზადა ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“ (ს/კ 204545652), რაც შეთანხმდა, ჯერ საქართველოს საპატრიარქოსთან, შემდეგ დამტკიცდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. მათ შორის გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ქვედა იარუსების (ეკვდერების) გადახურვის სამუშაოების გასაგრძელებლად შექმნილი პროექტიც. დგინდება, რომ დამტკიცებული პროექტების შესულებას, კერძოდ, სამშენებლო საქმიანობას ახორციელებდა შპს „იკორთა 2007“ (ს/კ 205216327), რომელსაც „საქართველოს მემკვიდრეობასთან“ ერთად, 2008 წლიდან გააჩნდა გელათის სხვადასხვა ნაგებობის საინჟინრო სამუშაოების შესრულების გამოცდილება. რაც შეეხება ამ პროცესში ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ (ს/კ 204426451) მონაწილეობას და მოვალეობების ფარგლებს, ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს შესწავლის შედეგად გამოკვეთილ გარემოებას, რომლის თანახმადაც, დასახელებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდილ პირს გააჩნდა პროექტების დაფინანსებისთვის საერთაშორისო დონორებიდან თანხების მოძიებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმართ შესრულებული სამუშაოების თაობაზე წერილობითი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

ორგანიზაცია შესწავლის ფარგლებში მიდის დასკვნამდე, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ არაჯეროვანი და არასაკმარისი ყურადღება დაუთმო გელათის ძეგლის/ტაძრის ირგვლივ სამუშაოების შემოწმებას, საპროექტო წინადადებების მიღება და დამტკიცება ხდებოდა ადგილზე განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, სათანადო განხილვისა და შემოწმების გარეშე. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ობიექტზე დროებითი გადახურვის სამუშაოები ხორციელდებოდა ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობის'' მიერ შედგენილი, არაერთხელ კორექტირებული, სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით და თითოეული ცვლილება, ასევე შეთანხმებული იყო სააგენტოსთან. ამასთან, გელათის ტაძრის დროებით გადახურვას ამჟამად ახორციელებს კომპანია „ბაგინეთი +“ (ს/კ 205284495), სამუშაოები ხორციელდება ახალი პროექტით, რაც ადასტურებს, რომ ის პროექტი, რომლის მიხედვითაც შესრულდა სამუშაო, არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. მეტიც, სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით, არ გამოცხადებულა ტენდერი, არ გამოყოფილა ხარჯები, რეალურად სამუშაო შეასრულეს სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, ნებართვის გაცემა კი იყო ფორმალური საკითხი. თვით პროექტის არაერთგზის ცვლილებაც მიანიშნებს, რომ სააგენტო გადაწყვეტილებას იღებდა ნაჩქარევად. ორგანიზაცია, გელათის საკითხზე, აქტიურ ჩართულობას ახორციელებდა წლის მანძილზე და სამართლებრივ დისკუსიაში მონაწილეობა გრძელდება.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნდა სამართლებრივი ანალიზი, რომელიც დაკავშირებული გახლდათ „აღსრულების კოდექსის“ ახალი კანონის პროექტის დებულებებთან. შეფასებაში აღინიშნა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი არსებითად ცვლის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონს, სახელმწიფოში მიმდინარე აღსრულების პროცესსა და აღსრულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მოწესრიგებას, რაც მისასალმებელია. მოქმედი რედაქცია ვეღარ პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს, მიუხედავად მასში შესული არაერთი ცვლილებისა, იგი კვლავ ბუნდოვანი შინაარსით არის წარმოდგენილი, რაც მრავალ პრობლემას ქმნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების თვალსაზრისით. შესაბამისად, აუცილებელი იყო სააღსრულებო წარმოებაში მოქმედი საბაზისო დოკუმენტის განვითარება, მისი ევროპის საუკეთესო მაგალითებზე დაფუძნება, რაც, გარკვეულწილად, განხორციელდა კიდეც.

ივნისი, 2021 – ორგანიზაცია გამოაქვეყნდა კვლევის შედეგები, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი შენობის მშენებლობის პროცესში შესაძლო კორუფციულ გარიგებებსა და კანონდარღვევებს. შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ საქართველოს ცენტრალური ბანკის საქმიანობის ისტორიაში, ადგილი აქვს უპრეცედენტო შემთხვევას – ფორმალური იურიდიული საფუძვლების შექ-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

მნით, წინასწარი განზრახვით, ისეთი მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების დადებას, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს თავდებობით ცენტრალური ბანკის მხრიდან კერძო კომპანიის/ბიზნესმენის (შპს „სითი ცენტრი“) სასარგებლოდ 2 მილიონი დოლარის კრედიტის აღება. სებ-მა 2019 წლის 26 ივლისს გააფორმა ნასყიდობის და იპოთეკის ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი აცნობიერებდა და გასცემდა უპირობო თანხმობას შპს „სითი ცენტრს“ ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიადან“, თავისი სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, მიეღო 2,106,960 აშშ დოლარის მოცულობით კრედიტი და დროებით საკუთრებაში მიღებული უძრავი ნივთი, ბანკის სასარგებლოდ და აღნიშნული კრედიტის უზრუნველსაყოფად, იპოთეკის უფლებით დატვირთულიყო. 2019 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ცენტრალური ბანკი შეიცვლიდა მისამართს და შენობას. 2019 წლის აგვისტოს თვეში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი შენობა უნდა განთავსებულიყო შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის (ნაკვ. #001/014), ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, სტალინის სახელობის სანაპირო #1 (რესორან „არაგვის მიმდებარე ტეროტორია, ნაკვეთი #2/20), ცირკსა და რესტორან „არაგვს“ შორის, სტალინის სახელობის სანაპირო #1 (რესორან „არაგვის მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი #2/21) არსებულ 8779.00 კვ.მ ფართობზე.

სებ-ის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, 2019 წლის 26 ივლისს, შპს „სითი ცენტრთან“ (ს/კ 204573185) 8,427, 840.00 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარში, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი აცნობიერებდა და გასცემდა უპირობო თანხმობას შპს „სითი ცენტრს“ ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიადან“, თავისი სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, მიეღო 2,106,960 აშშ დოლარის მოცულობით კრედიტი და დროებით საკუთრებაში მიღებული უძრავი ნივთი, ბანკის სასარგებლოდ და აღნიშნული კრედიტის უზრუნველსაყოფად, იპოთეკის უფლებით დატვირთულიყო.

ხელშეკრულებით, აგრეთვე გარიგების მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისგან ვერ მიიღებდა დროებით საკუთრებაში მიღებულ მიწის ნაკვეთზე გრგ-ს ან/და გაპ-ს, საქართველოს ეროვნული ბანკი ქონებას დაუბრუნებდა პირვანდელ მფლობელსა და მესაკუთრეს – შპს „სითი ცენტრს“.

საქართველოს ცენტრალურმა ბანკმა, ისევე, როგორც შპს „სითი ცენტრმა“, ხელშეკრულების გაფორმებამდე იცოდნენ, რომ იმ მიწის ნაკვეთსა და ტერიტორიაზე, რომელზედაც საქართველოს ეროვნულ ბანკს სურდა ახალი სათაო ოფისის მშენებლობის წარმოება, ასეთი სამშენებლო საქმიანობა და ნებართვა ვერ გაიცემოდა.

2019 წლის 26 ივლისის მდგომარეობით, მიღებული იქნა ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (გეგმის დამტკიცებისა და მიღების თარიღი: 15 მარტი, 2019), რომელმაც დასახელებული მიწის ნაკვეთი მოაქცია განსაკუთრებული დაცვისა და რეჟიმის ქვეშ, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის დაცვის არეალსა და რეკრიაციულ ზონად, სადაც სამშენებლო საქმიანობა ნებადართული არ იქნებოდა.

ორგანიზაციამ სპეციალური განცხადება გააკეთა ნინოწმინდის პანსიონის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნინოწმინდის პანსიონის საკითხი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, როგორც შეცდომების მაგალითი და თანამშრომლობის პრეცედენტი უნდა გამხდარიყო. პანსიონის საკითხი, რომელიც პოლიტიკური, სამართლებრივი, საზოგადოებრივი და რელიგიური მნიშვნელობის კუთხით განსახილველი შემთხვევაა, უპირველესს ყოვლისა უნდა შეფასდეს ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით და პასუხი გაეცეს შეკითხვებს, თუ რამდენად იქნა განხორციელებული ღონისძიებები ამ უფლებების სრული დაცვით, რატომ ვერ შეძლო ეკლესიამ და სახელმწიფომ თავიდან აერიდებინათ პროცესის სიმძაფრე, შეასრულა თუ არა სასამართლომ კატალიზატორის როლი თუ რეალური მიზანი ეკლესიის მსახურების წინაშე დემორალიზაციის დაშვება და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპის სრული განხორციელება წარმოადგენდა. ორგანიზაციის შეხედულებით, როდესაც ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის (მთავრობა, საქართველოს სახალხო დამცველი, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) ინსტიტუციური დიალოგი აღდგა და პრობლემის მოგვარების მიმართულებები გამოჩნდა, საჭიროა პასუხი გაეცეს მთავარ შეკითხვას – ჰქონდა თუ არა ძალადობის ფაქტებს პანსიონში ადგილი,

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ვინ ძალადობდა არასრულწლოვანებზე და რა ფორმით უზრუნველყოფს ამჟამად სახელმწიფო პანსიონში აღსაზრდელების ინტერესების დაკმაყოფილებას და დაცვას.

ივლისი, 2021 – ორგანიზაციამ განცხადება გააკეთა 2021 წლის 5 ივლისის თბილისში განვითარებულ მოვლენებზე, რა დროსაც რადიკალურად განწყობილმა ჯგუფებმა მასშტაბური ძალადობის აქტი განახორციელეს ქართველ ჟურნალისტებზე. ორგანიზაციის განცხადებით, პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა ჯგუფს, რომელმაც გამოიწვია ძალადობა, ძალადობის მხარდაჭერა და ძალადობის პროვოცირება, რაც უკიდურესად აზიანებს საქართველოს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, კანონის უზენაესობის პრინციპებსა და მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ორგანიზაციამ დაგმო ჟურნალისტური კორპუსის მიმართ ჩადენილ დანაშაული, რომელსაც ჰქონდა ყოვლისმომცველი და მიზანმიმართული ხასიათი. ჩვენ ყველამ ვიხილეთ სიძულვილით მოტივირებული თავდასხმა მედიის წარმომადგენლების მიმართ, მათი სარედაქციო პოლიტიკისა და პიროვნული შეხედულებების მიუხედავად, რაც მშვიდობიანი პროტესტის ფორმებს გასცდა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო ვალდებული, თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით, მოეხდინა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და დამდგარიყო ძალადობის ჩამდენი პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ორგანიზაციამ სოლიდარობა გამოხატა ჟურნალისტური კორპუსის მიმართ, რომელთა საქმიანობასაც ხელი შეეშალა. საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები, მგრძნობიარე და თვითმყოფადობასთან დაკავშირებული თემები, იდეოლოგიური და დოგმატური საკითხები, მიგვაჩნია, ყოველთვის მოითხოვს ობიექტური გაშუქებისა და პროფესიული ანალიზის საფუძვლებს, არ უნდა გამომდინარეობდეს ცალსახა შეხედულებებით და განსხვავებული აზრის პატივისცემის გარეშე. ხელისუფლებამ, ეკლესიამ, საერთაშორისო პარტნიორებმა, საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, სამოქალაქო ორგანიზაციებმა, აკადემიურმა და პროფესიულმა წრეებმა, მედიამ -ყველაფერი უნდა გააკეთოს სიძულვილის ენის დაძლევისთვის და შეიქმნას ინსტიტუციური მექანიზმები ქვეყანაში მსგავსი რყევების თავიდან ასაცილებლად – აღინიშნა განცხადებაში.

ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და დაიწყო საქართველოში სეისმური მონაცემების გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით საჯარო დისკუსია. არც ერთ სახელმწიფო უწყებას მიწისძვრების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ერთიანი ხედვა და ეროვნული სტრატეგია სეისმური უსაფრთხოების საკითხებზე, დემოკრატიული ქვეყნების მაგალითზე, ნაცვლად საჯაროობისა და გამჭვირვალობისა, საქართველო ირჩევს სფეროს მონოპოლიზირების გზას, ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია მიწისძვრების სრული და ზუსტი სტატისტიკის თაობაზე, არც ერთ სახელმწიფო უწყებას წარმოდგენა არ აქვს ბუნებრივი კატასტროფების ხარისხისა და მნიშვნელობის შესახებ, რაც ქვეყანას და ქვეყნის მოსახლეობას საზოგადოებრივი თავდაცვის საკითხებში, სრულიად მოუმზადებელსა და დაუცველს ხდის. საკითხის მიმართ შესწავლის ინტერესი განაპირობა ნ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორის მიერ ორგანიზაციის მიმართ წარმოდგენილმა მომართვამ, რომელიც შეეხებოდა ქვეყნის სეისმური მონაცემების ხელმისაწვდომობასთან არსებულ პრობლემას. საკითხი შეეხება ქვეყნის სეისმურ მონაცემებს, რომელსაც ფლობს და დღემდე ამუშავებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი. ირკვევა, რომ დაწესებულება უარს ამბობს გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს სეისმური მონაცემები და განმარტებულია, რომ მეცნიერები აღნიშნულ მონაცემებს იღებენ საერთაშორისო ბაზებიდან, სადაც განთავსებულია მწირი მონაცემები მაგნიტუდა 3-ის ზემოთ საქართველოს ტერიტორიისთვის. შესაბამისად, ორგანიზაცია დაინტერესდა საკითხის შესწავლით და სხვადასხვა უწყებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, აქვს თუ არა სახელმწიფოს სეისმური უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და ერთიანი ხედვა. ამასთან, რამდენად ხელმისაწვდომია ან ღია უნდა იყოს სეისმური მონაცემები დაინტერესებული პირებისთვის, მეტადრე სფეროს კვლევით დაინტერესებული მეცნიერებისთვის, რომელთა პრეტენზიები სეისმური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე – სამართლიანია.

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში არ მოქმედებს არც ერთი ამკრძალავი ნორმა, რომელიც მიწისძვრების თაობაზე არსებულ ინფორმაციას ან/და სეისმურ მონაცემებს განაკუთვნებდა სახელმწიფო საიდუმლოებად ან/და განსაზღვრავდა მონაცემების ხელმისწავდომობაზე რაიმე ფორმით ბარიერს. ორგანიზაციამ გადაამოწმა ნ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის



მთელი წელი საზოგადოებისთვის

სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორის წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია და სრულად იზიარებს იმ პოზიციას, რომ მიწისძვრის სრული კატალოგები (მცირე მაგნიტუდის მიწისძვრის ჩათვლით) ყველა ქვეყანაში ღიაა. ნებისმიერი მასალა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი ბუნებრივი საფრთხეების შეფასებასთან, აუცილებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მეცნიერისთვის საქართველოში. მონაცემები, რაც მიწისძვრებს, ჰიდროლოგიას, მეტეოროლოგიას შეეხება, არის ღია ინფორმაცია და მათ მონაცემების საფუძველზე ხდება მეცნიერების შემდგომი განვითარება. შესაბამისად, ამ საკითხზე, წლის მანძილზე, ორგანიზაციამ არაერთი საჯარო განცხადება გააკეთა და გამოკვეთა პასუხისმგებელი პირები. 2022 წელს, ორგანიზაცია პრობლემის გადაჭრას სასამართლოსადმი მიმართვის კუთხით გეგმავს.

აგვისტო, 2021 – ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამართლებრივი დასკვნა, რომელიც შეეხება რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, 2012-2021 წლებში უძრავი ქონებების დათმობის საკითხს. ორგანიზაციამ შეისწავლა საკითხი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, თუ რამდენი ქონება გადაეცა სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით, მიტოვების გზით ან/და სხვა სამართლებრივი ფორმით. ამასთან, დასახელებულ პერიოდში, მოქალაქეებმა ან/და იურიდიულმა პირებმა რამდენჯერ დათმეს წილები/აქციები/ავტომანქანები სახელმწიფოს სასარგებლოდ, როგორც ეს ჩვეულებრივი პრაქტიკა აღმოჩნდა 2004-2012 წლების ანლოგიურ საკითხზე ორგანიზაციის მხრიდან მომზადებული შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2012-2021 წლებში, ფიზიკურმა და იურიდულმა პირებმა უსასყიდლოდ 291,432.62 კვ.მ უძრავი ქონება დათმეს. საუბარია მიწის ნაკვეთებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შესწავლა ცხადყოფს, რომ 81 ფიზიკური პირისა და 8 იურიდიული პირის (შპს-ს) მხრიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილია 91 უძრავი ქონება, რამაც ჯამში შეადგინა 291,432.62 კვ.მ ფართობი. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული ქონებები სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილია ერთი და იმავე სამართლებრივი საფუძვლით. კერძოდ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების საფუძვლით და ყველა მათგანის მესაკუთრე, დღესდღეობით – სახელმწიფოა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია არ შეიცავს მონაცემებს ჩუქების ან/და სხვა სამართლებრივი ფორმით სახელმწიფოს სასარგებლოდ სხვა ქონების დათმობის თაობაზე და განმარტებულია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში დაცულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც გასაჯაროვდა. შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში, სახელმწიფოს სასარგებლოდ ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან მიტოვებული ქონებების სიმრავლე გვხვდება შემდეგ მუნიციპალიტეტურ ერთეულებში: თბილისი – 29, ბათუმი -2, ბორჯომი -2, ტყიბული -2, თეთრიწყარო -2, შუახევი – 2, რუსთავი – 6, გორი – 5, ხულო – 8, ზუგდიდი – 4, მარნეული – 3, გურჯაანი – 5, ასპინძა – 4, ზესტაფონი, ხაშური, ქუთაისი, წყალტუბო, ამბროლაური, აბაშა, ყვარელი, დმანისი, საგარეჯო, ახალციხე, სენაკი, ხელვაჩაური, გარდაბანი, თელავი, ჭიათურა, ჩოხატაური და ქარელი – თითოეულ მათგანში 1. უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მხრიდან წარმოდგენილ ინფორმაციაში ზუსტად არის მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლები, საკუთრების უფლების მიტოვების გზით გადაცემული უძრავი ქონებები, საკადასტრო კოდები და თანდართული განცხადებები.

ორგანიზაციამ, აგრეთვე საჯარო განცხადება გააკეთა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც გაიზიარა „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით, ორგანიზაციის მიერ წარდგენილ დასკვნა გელათის ტაძრის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების საქმეზე. სასამართლომ სწორედ ორგანიზაციის დასკვნის თანახმად, გელათის ტაძარზე კომპანია „იკორთა 2007“-ის სამშენებლო სამუშაოები უკანონოდ აღიარა.

სექტემბერი, 2021 – ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამართლებრივი ანალიზი, რომელიც შეეხებოდა AS Georgia – „დირსის» წინაშე მდგარი სამართლებრივი პრობლემის შეფასებას და ქ. თბილისის მთავრობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სასამართლოს ბიზნესის მხარდაჭერისკენ, სწრაფი გადაწყვეტილებებისა და ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისკენ მოუწოდა. განცხადებაში აღინიშნა, რომ თბილისის მთავრობა ინვესტორთან შეთანხმებას არღვევს, მრავალმილიონიანი პროექტი ქალაქისთვის კი უსაფუძვლო დავებს ეწირებოდა. საქმის მასალებით დგინდება, რომ 2012 წლის 26 სექტემბერს ქ. თბილისის მთავრობასა და კომპანია AS Georgia – „დირსის» შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

მთელი წელი საზოგადოებისთვის

პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ. AS Georgia – „დირსმა“ აიღო ვალდებულება საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით განახორციელება პროექტი 15 ჰა საერთო ფართობის მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ფართობზე, საზოგადოებისთვის ღია ლანდშაფტური დასვენების პარკის მოწყობის მიზნით. ინვესტიციის საერთო ღირებულება შეადგენს არანაკლებ 3 000 000 მილიონ აშშ დოლარს. ამ ხელშეკრულების თანახმად, „გამყიდველი“ – ქ. თბილისის მთავრობა წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის ერთადერთ და კანონიერ მესაკუთრეს. ხელშეკრულების თანახმად, პრივატიზების ობიექტი იყო უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო. ხელშეკრულების საგანი არ წარმოადგენდა ჩუქებისა და ნასყიდობის, ასევე გაცვლის ხელშეკრულების საგანს მესამე პირთათვის. ასევე, არ იყო ექსპროპრირებული და ნაციონალიზებული საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. ხელშეკრულების საგანი არ წარმოადგენდა იპოთეკის, გირავნობის ან სხვა უზრუნველყოფის საშუალების საგანს ნებისმიერი პირთათვის. ასევე, სხვა პირს არ გააჩნდა ხელშეკრულების საგნის უპირატესი შესყიდვის უფლება. არ არსებობდა ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო დავები, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა საკუთრების უფლებასა და საგნის სარგებლობისთვის. ხელშეკრულების საგანზე, არ მიმდინარეობდა ისეთი პროცესი, რაც გამყიდველის საკუთრების უფლების გადახედვას გამოიწვევდა და არანაირი მესამე პირი ეჭვის ქვეშ არ აყენებდა მესაკუთრის საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგანზე. შევნიშნავთ, რომ 2018 წლის 4 ივნისს, მართალია, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილებები და დამატებები, თუმცა არსებითი პირობები არ შეცვლილა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პროექტის შესაბამისობა მოხდებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმასთან მიმართებით და პარკის მშენებლობა დასრულდებოდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ ინვესტორთან მიმართებით, ქ. თბილისის მთავრობას შესაბამისი წინდახედულება არ გამოუჩენია, ვინაიდან კომპანიისთვის გადაცემული უძრავი ქონება არამართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა ლია გ.-ს, კოტე კ.-ს, კოტე ა.-ს, ამირან ა.-ს, ზაურ ს.-ს, გიორგი კ.-ს და ვლადიმერ გ-ს მიმართ. მოქალაქეების მტკიცებით, მათ ფართები დაკავებული ჰქონდათ 1990-იანი წლებიდან და ქონების გასხვისების მომენტისთვის, არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობილი იყო, როგორც ინვესტორისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის.

ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა სახელმწიფოს მხრიდან ტაქსის მომსახურე კომპანიების საქმიანობის მკაცრი შემოწმებისა და სამართლიანი სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრის მოთხოვნით. ორგანიზაციის განმარტებით, შესწავლის საგანი უნდა გახდეს პანდემიის პერიოდში ქ. თბილისში მოქმედი ტაქსის კომპანიების მხრიდან თვითნებურად მიღებული გადაწყვეტილებები სატარიფო პოლიტიკის ცვლილებასთან, რამაც ბაზარზე მომსახურების ფასის არაგონივრული მაჩვენებელი წარმოქმნა, დაარღვია კერძო და საჯარო ინტერესები, მოსპო ბუნებრივი კონკურენცია, რაც უპირობოდ იწვევს სახელმწიფოს ჩარევის ვალდებულებას და საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ პრობლემა მთელი სირთულით დადგა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი ტაქსით მომსახურების სფეროში, თუმცა საკითხის მოწესრიგება სრულად უნდა მოიცავდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ტაქსით მომსახურებით სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრას და ხელოვნურად მომსახურების ტარიფის ზრდის შეზღუდვას. ორგანიზაცია წინადადებით გამოვიდა, ტაქსის მომსახურების გამწევი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის დროს მაღალი მარჟით დაიწყებს ოპერირებას საქმიანობის ნებართვა, არანაკლებ 6 თვით უნდა შეჩერებულიყო. ორგანიზაცია საკითხზე აქტიურ სამართალწარმოებას 2022 წლიდან გეგმავს.

ოქტომბერი, 2021 – ორგანიზაცია გამოეხმაურა მაღალი საჯარო ინტერესის საკითხს, რომელიც საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკავების შემდეგ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა ჯგუფების არსებობის საკითხს შეეხებოდა. ორგანიზაციის განცხადებით, პოლიტიკური მოვლენების განხილვის დროს საზოგადოებრივი დისკუსიის პროცესში იმის უარყოფა, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირები არ არსებობდნენ ან პოლიტიკური შეფასება არ მისცემია 2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, სრული სიცრუეა და იურიდიული მნიშვნელობის აქტების შეგნებულ იგნორირებას წარმოადგენს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ განცხადებით, სახელმწიფომ 185 პირი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად და 25 პირი პოლიტიკური ნიშნით დევნილად აღიარა, ხოლო მოგვიანებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2004-2012 წლებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების, მათი განმეორებით დაუშ-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ. საკითხზე გადაწყვეტილებები 2012 წლის 5 დეკემბერსა და 2016 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო, რომელიც, თავის მხრივ დაეფუძნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის #1900 რეზოლუციას. ევროსაბჭომ პოლიტიკური პატიმრების ცნება შეიმუშავა 2001 წელს გენერალური მდივნის დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ მანდატი, შეეფასებინათ სავარაუდო პოლიტიკური პატიმრების საქმეები სომხეთსა და აზერბაიჯანში, ამ ორი სახელმწიფოს ორგანიზაციასთან მიერთების კონტექსტში. საქართველომ სრულად გაიზიარა რეზოლუციის აღიარებული პრინციპები, რომელიც „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული“ პირის განსაზღვრისთვის იქნა გამოყენებული. კერძოდ, 185 პირის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად და 25 პირის პოლიტიკური ნიშნით დევნილად აღიარება მოხდა.

ორგანიზაციამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროცესში, ქ. თბილისის მერობის კანდიდატების მიმართ ნდობის რეიტინგის გამოვლენის მიზნით, დედაქალაქში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. საკითხზე: „ნდობის რეიტინგი 2021 წლის თბილისის მერის არჩევნების წინ“, რესპოდენტებმა პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს: „აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ 2021 წლის 30 ოქტომბრის ქ. თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურში?”, „თბილისის მერობის რომელი კანდიდატი იმსახურებს თქვენს მხარდაჭერას?”, „რა განაპირობებს კანდიდატის მიმართ თქვენს ნდობას”, „როგორ შეაფასებდით ადგილობრივ თვითმმართველობებში შესაძლო კოალიციურ მმართველობას” და „არჩეულმა მერებმა და საკრებულოებმა, რომელი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის გადასაჭრელად უნდა შეცვალონ სტრატეგია”. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სულ 315 მოქალაქე გამოიკითხა. თბილისში გამოკითხული 315 ამომრჩევლიდან 35% კახა კალაძეს უცხადებდა ნდობას, 25% – ნიკა მელიას. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემით, ქ. თბილისში 1 002 900 ამომრჩეველია რეგისტრირებული. თბილისის მერის არჩევნების პირველ ტურზე შედეგები ასე გადანაწილდა: კახა კალაძეს *(„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“)* მხარდაჭერა გამოუცხადა 216 344 ამომრჩეველმა (45.006%), ხოლო ნიკა მელიას *(„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)* – 163 489 ამომრჩეველმა (34.011%).

ნოემბერი, 2021 – ორგანიზაცია ვრცელი განცხადება გააკეთა სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე. ორგანიზაციის განცხადებაში აღინიშნა, რომ დღეს სასამართლო თვითგამორკვევის პროცესშია და პირობითად იყოფა მოსამართლეებად, რომლებიც 1. ახორციელებენ თავისუფალ მართლმსაჯულებას და შეუძლებელია რაიმე ფორმით ჩარევის დაშვება, 2. ახორციელებენ მართლმსაჯულებას და უწევთ პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება, 3. ახორციელებენ მართლმსაჯულებას და არსებობს ანგარიშვალდებულება სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან. დაკვირვება, პრაქტიკული გამოხატულება და პროცესის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო სისტემაში მოსამართლის თავისუფლებისა და ინდივიდუალური როლის ხარისხი დღეს უფრო მაღალია, ვიდრე 2012 წელს ან 2015 ან 2020 წელს იყო. რა თქმა უნდა, ამაზე ერთიანად მოქმედებს, როგორც სასამართლოს სისტემაში, ასევე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული მოვლენები და ტენდენციები. ისინიც კი, ვისაც წარსულში პოლიტიკურ სისტემასთან აფილაციაში იმყოფებოდნენ და უწევდათ დამორჩილება – მიეღოთ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, მართლმსაჯულების განხორციელების რეალური იდეის მხარეს დადგნენ და დარღვეული უფლებების აღდგენისთვის მათი გადაწყვეტილებები მეტყველებს, მაგრამ მათი სისტემაში დატოვება კვლავ ბევრისთვის – ნდობის და პროგნოზირების გამო – პრობლემატური და აუტანელია.

ასეთ ვითარებაში, ჩვენი დასავლელი პარტნიორები კვლავ მოითხოვენ ცვლილებებს სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაში და მმართველი ჯგუფის ჩანაცვლებას ნეიტრალური სახეებით, მოქმედი „Leader Schiff“-ი აცხადებს, რომ ნებისმიერმა თანამდებობის პირმა თუ ორგანიზაციამ პატივი უნდა სცეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და დადგენილებებს, არ ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში და სასამართლოს ერთიან პოზიციას გამოხატავს მისი თვითმმართველობის სახით, ამ პროცესში კი თითქმის პირველად ხდება მოვლენა, როდესაც 16-ზე მეტი მოსამართლე საჯაროდ, ერთმნიშვნელოვნად და მტკიცედ აცხადებს, რომ არ იზიარებს სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაში და მმართველი ჯგუფის რიტორიკას და ემიჯნება სასამართლოს მეგობარი დასავლელი პარტნიორების გაკიცხვის ტონს. სინამდვილეში, 16-ზე მეტი მოსამართლის საჯაროდ გამოხატული პოზიცია წარმოადგენს ჩვეულებრივ დემარშს და კარგად გამოხატავს სასამართლოს სისტემაში მოსამართლეთა განწყობებსა და მიმართულებებს. აღნიშნული მიანიშნებს სასამართლო სისტემაში მმართველობის სტილისგან განსხვავებულ მიდგომებს



მთელი წელი საზოგადოებისთვის

და ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, 16-ზე მეტი მოსამართლის აზრს გაცილებით მეტი კოლეგის მხარდაჭერა აქვს, რომლებიც ეტიკეტის გამო, არ ახდენენ მათი ხედვების საჯარო დემონსტრირებას. ნიშნავს თუ არა მოსამართლეთა განსხვავებული პოზიციების გამოთქმა სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაში არსებული ჯგუფის მარცხს? არა, არ ნიშნავს, მაგრამ ნიშნავს მომავალი კომპრომისების დაშვებას და გათვალისწინებას. ავტორიტეტული მოსამართლეების გამოსვლა უთუოდ ნიშნავს იმგვარი ალტერნატიული ცენტრის გაჩენას სასამართლოს სისტემაში, რომელთა შემდგომი მოსაზრებები, სასამართლოს მოწყობისა და განვითარების საკითხებთან, უკვე ხდება დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელი. მნიშვნელოვანია, მათი უშუალო მონაწილეობის დაშვება საქართველოს იუსტიციის უმაღლესს საბჭოს მუშაობაში ან ინსტანციური წესით დაწინაურების კუთხით. როგორც ჩანს, სხვადასხვა საკითხზე, სასამართლოს ერთიანი პოზიციით წარდგენის ფორმულა, მომავალში აღარ გამოვა. ისინი, ან 1. დემონსტრაციულად დატოვებენ მოსამართლის თანამდებობას ან 2. არჩეული ფორმით განაგრძობენ წინააღმდეგობრივ მოძრაობას სასამართლო სისტემის ინსტიტუციური განვითარებისთვის. შექმნილი ვითარება, ნებისმიერ შემთხვევაში, მოქმედი „Leader Schiff"-ის პირველი სერიოზული გამოწვევაა, რომლის ამოცანაც სისტემაში ურთიერთობების დამშვიდება და პროგნოზირება წარმოადგენს. ეს უნდა მოხერხდეს ისე, რომ არ გამოიწვიოს ხელისუფლების სხვა შტოებთან უთანხმოება, სასამართლოს სტრატეგიულ უცხოელ მოკავშირეებთან დაძაბულობა და კონფლიქტი, თან მიღწეული იქნეს საზოგადოებრივი ნდობის არსებული მანდატის შენარჩუნება და სასამართლოს „ერთიანი პოზიციის" შენარჩუნება.

დეკემბერი, 2021 – ორგანიზაციამ განცხადება გააკეთა და საზოგადოებას მოუწოდა საერთაშორისო ბაზარზე ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების სამართავად და მოგების მიღების მიზნით წარმოშობილი გარიგებების სამართლებრივი დაცულობა გადამოწმდეს. ორგანიზაცია მოუწოდებს ყველას მეტი წინდახედულება და გარანტია მოითხოვონ, თუკი გაფორმდება ინვესტორისა და ტრეიდერის ხელშეკრულება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფულის დაკარგვის საფრთხე და სფეროში გამოირიცხოს დანაშაულებრივი ან არაკეთილსინდისიერი ჯგუფები. განცხადებაში აღინიშნა, რომ ტრეიდერსა და ინვესტორის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის მიზანია საერთაშორისო ბაზარზე ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების სამართავად და მოგების მიღების მიზნით გარიგების წარმოშობა, არაერთ პრობლემურ მხარეს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები გადაცემული თანხის დაბრუნების რისკები. არ არსებობს მყარი სამართლებრივი გარანტიები, რომელიც დასახელებულ ბიზნესში ინვესტორის უფლებებს დაიცავს. საქართველოში, ამ სფეროს განვითარებას და თანხების მოძიებას არაერთი ფიზიკური და იურიდიული პირი ცდილობს, მაგრამ ინვესტორის უფლებების დაცვის გარანტიების აღება არც ერთი ვარგისი პირობით არ არის დაზღვეული და დაცული.

ორგანიზაცია გამოეხმაურა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველობითი ორგანოების არჩევნებს და აღნიშნა, რომ ინსტიტუციური მდგრადობის პროცესში, 2021 წლის არჩევნები, მისი მომზადების, ჩატარებისა და გამჭვირვალობის კუთხით, საუკეთესო შეფასებას იმსახურებდა. ამასთან, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის მეორე ვადით არჩევა ინსტიტუციურად კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს ადვოკატთა კორპუსს, გააღმავებს ინიციატივებზე დაფუძნებულ სათანამშრომლო გარემოს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი თანასწოუფლებიანი მხარის დაცვის მიმართულებით. გაიზრდება ინდივიდუალური ადვოკატის როლი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გაძლიერდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შესაძლებლობები და გაგრძელდება ინსტიტუციური განვითარება.

ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია საგრანტო პროგრამის *(„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია")* ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში წარდგენილი პროექტის: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართელოში ჰააგის კონვენციის მიხედვით" გამარჯვებულად გამოცხადდა. პროექტი მომდევნო 6 თვის განმავლობაში განხორციელდება და მას ორგანიზაციის აღმასრულებელი გუნდი წარმართავს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არაერთი აქტიურობა და ღონისძიება. სამინისტრომ საგრანტო პროგრამის ფარგლებში 14 პროექტი, ჯამში, 257 919 ლარით დააფინანსა.

წლის მოვლენა, ბაიდენის პრეზიდენტობის შემდეგ, ვიცე-პრეზიდენტად კამილა ჰარისის არჩევაცაა. ნოემბერში ცნობილი გახდა, რომ ჰარისი ბაიდენის ჯანმრთელობის გამო პრეზიდენტის მოვალეობასაც შეასრულებს. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ბაიდენი გადადგება და ჰარისი პირველი ქალი პრეზიდენტი გახდება აშშ-ის ისტორიაში.

მაისში ისრაელსა და პალესტინას შორის საომარი მოქმედებები განახლდა.

რუსული საოკუპაციო არმია უკრაინის საზღვართან დგას და სუვერენულ ქვეყნაში შეჭრისთვის ემზადება.

გერმანიის კანცლერად 16-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ანგელა მერკელი თანამდებობას ნებაყოფლობით ტოვებს.

ევროპის ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი, ავსტრიის კანცლერი სებასტიან კურცი, სოციოლოგიური კვლევების მთავრობიდან დაფინანსების ბრალდების გამო, თანამდებობიდან გადადგა.

აშშ-ს კონგრესში საარჩევნო კოლეგიის ხმების დამტკიცებისას დონალდ ტრამპის მხარდამჭერი აქციის მონაწილეთა ნაწილი შეიჭრა. დაიღუპა 4 ადამიანი. მათ შორის არის ქალი, რომელიც კონგრესის შენობაში სროლისას დაიჭრა. სამმა პირმა კი დაზიანებები არეულობის დროს მიიღო. დააკავეს სულ მცირე 52 ადამიანი.

ავღანეთი დაეცა, ხელისუფლების სათავეში რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება, ტერორისტული ორგანიზაცია „თალიბანი“ მოვიდა.

მსოფლიო კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებს. მეცნიერებმა ვირუსის წინააღმდეგ ახალი პრეპარატები შექმნეს, რომელიც 2022 წლიდან გახდება ხელმისაწვდომი

აშშ-სა და ევროპაში ანტივაქსერული მოძრაობები გრძელდება.

88 წლის ასაკში მსოფლიოში ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟან პოლ ბელმონდო გარდაიცვალა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ჰააგის კონვენციის ფარგლებში ბავშვთა უფლებების ადვოკატირების პროექტს იწყებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საგრანტო პროგრამის *(„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“)* ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში წარდგენილი პროექტის: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართელოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“ გამარჯვებულად გამოცხადდა.

საქართველო წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, სრულად განისაზღვრა ის საკანონმდებლო საფუძვლები და ინსტრუმენტები, რომლითაც არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან და კავშირებულ საკითხებზე ქართულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის განხილვა უკავშირდება.

ქართულ სასამართლოში, ჰააგის კონვენციის ფარგლებში სარჩელების განხილვის დროს, მხარეები, უმეტესს შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, თუმცა ბოლო წლების სასამართლო დავების ტენდენციაც აჩვენებს, რომ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ და თანაცხოვრების მანძილზე ოჯახური უთანხმოებების გამო, განსაკუთრებით COVID19-ის პირობებში, დატოვეს ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, არასრულწლოვნებთან ერთად მოახდინეს საქართველოში გადმოსვლა ან დაბრუნება, ბავშვის მეორე კანონიერმა წარმომადგენელმა – მშობელმა კი სარჩელით მომართა საქართველოს და მოითხოვა შვილის/შვილების ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება. ასეთ დროს, მხარეები არაერთ პრაქტიკულ და არსებით პრობლემას აწყდებიან – არაკვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას, ვინაიდან ქართველი ადვოკატები არ ფლობენ ინფორმაციას ჰააგის კონვენციის მიზნებსა და ამოცანებზე, კონვენციის ფარგლებში წარმოებული დავების დასაბუთება გააზრებულია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საოჯახო დავების გადაწყვეტისთვის დადგენილი წესებით, არ არის ცნობილი ეროვნულ და საზღვარგარეთის ქვეყნის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი, საერთო სასამართლოებში საქმის წარმართვის, მტკიცებულებების შეგროვებისა და დაცვის სტრატეგიის სათანადოობა, არსებობს იურიდიული მომსახურების არაგონივრული ხარჯი, საქმის მასალების ქართულ ენაზე შედგენისა და ნოტარიული წესით დამოწმების ხარჯი, სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციის პრობლემა. ამასთან, პრობლემა მოდავე მხარეებსა და წარმომადგენელს შორის ენობრივი ბარიერის თაობაზე და სხვა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პროექტის მიზანია, მოახდინოს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის პოპულარიზაცია, რაც გამოიხატება სამი კომპონენტის ერთობლიობით:

1. პროფესიული ტრენინგის მომზადება და ჩატარება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატებისთვის,
2. ეროვნულ დონეზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება კონვენციით მოცული უფლებების შესახებ
3. უფასო ადვოკატირება კონვენციის ფარგლებში ქართულ სასამართლოებში წარმოებულ დავებზე.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პროექტი მომდევნო 6 თვის განმავლობაში განხორციელდება და მას ორგანიზაციის აღმასრულებელი გუნდი წარმართავს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არაერთი აქტიურობა და ღონისძიება. სამინისტრომ საგრანტო პროგრამის ფარგლებში 14 პროექტი, ჯამში, 257 919 ლარით დაფინანსა.

საქართველო, ძალადობის რისკის გამო, უარს ამბობს გერმანიას არასრულწლოვანი გადასცეს

ჩვენი ორგანიზაციისთვის, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" 1980 წლის ჰაგის კონვენციის ფარგლებში, ეს უკვე წარმოებული მეორე დავაა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე მამის სარჩელი არამართლზომიერად გატაცებული არასრულწლოვანი შვილის გერმანიაში დაბრუნებაზე. **საქართველომ, საქმის მასალების მიხედვით, ძალადობის რისკების გამო, უარი თქვა გერმანიაში არასრულწლოვანი დაბრუნებაზე. მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით, მაგრამ შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. თუ ბავშვის მამა თანხმობას განაცხადებს არასრულწლოვანის საცხოვრებელი ქვეყანა გახდეს საქართველო, არ გამოირიცხება დავის მორიგებით დასრულება.**

მანამდე, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მშობლები 2015 წლიდან იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ 2016 წელს შეეძინათ ქალიშვილი. მამამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში ჩაიდინა ქმედება – შვილის მიმართ ადგილი ჰქონდა არაერთგზის ძალმომრეობის აქტს. ამასთან, 2019 წლის 30 დეკემბერს, მამაკაცი სასტიკად გაუსწორდა დედას. ბავშვის თანდასწრებით, სახეში სცემდა ქალბატონს, რამაც გამოიწვია მსხვერპლის დაზიანებები. 2020 წლის 3 იანვარს ინგელჰაიმის საპოლიციო ინსპექციამ მამაკაცის მიმართ მიიღო შემაკავებელი ორდერი, რითაც 6 თვის ვადით აეკრძალა მას ქალბატონთან არათუ ნებისმიერი ფორმით კომუნიკაცია, არამედ მიახლოებაც კი. მშობელმა ბავშვზე ძალადობის ფაქტებზე 2020 წლის 7 იანვარს განცხადებით მიმართა „ვილდვასერ ვისბადენს», ძალადობის წინააღმდეგ დარგობრივი კონსულტაციების დაწესებულებას გერმანიაში, რომელმაც საკითხზე კვლევა მთელი 4 თვის განმავლობაში განახორციელა, რომლის დასკვნითაც დგინდება, რომ ბავშვმა მამის მხრიდან ძალადობა განიცადა.

2020 წლის ივლისის თვეში, სწორედ ბავშვის დაბადების დღეზე, მამაკაცი გამოცხადდა დედის საცხოვრებელ მისამართზე, რა დროსაც ძალის გამოყენებით ცდილობდა საცხოვრებელ ფართში შეღწევას და ბავშვის წაყვანას, რაზედაც ქალბატონმა მამაკაცის განეიტრალება მეზობლების დახმარებით შეძლო. შემდგომ, 2020 წლის აგვისტოს თვეში, მამაკაცი ისევ გამოცხადდა დედის საცხოვრებელ მისამართზე და ისევ ითხოვდა ბავშვის გაყვანას. მამაკაცი დედას სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, იმყოფებოდა სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში, რამაც დედა ბავშვთან ერთად, კვლავ სტრესისა და გაუსაძლისი რეალობის წინაშე დააყენა. ბავშვის და პირადი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, დედამ გერმანია დატოვა და 2020 წლის სექტემბერში საქართველოში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი და მისი გარემოცვა ინფორმირებული იყო საქართველოში გამგზავრების შესახებ, მამამ განცხადებით მიმართა გერმანიის იუსტიციის სამინისტროს და ბავშვის უნებართოდ გადაადგილების საფუძვლით, საქმისწარმოების დაწყება მოითხოვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ამასთან, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" 1980 წლის ჰაგის კონვენციის მიხედვით, ეროვნული დონის სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას სავარაუდოდ არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებაზე, თუ: ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებულ იქნეს მისი აზრი, და იგი ცალსახად უარს აცხადებს დაბრუნებაზე და არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის ანდა სხვაგვარად ჩააყენებს აუტანელ მდგომარეობაში. **დავის წარმოების ფარგლებში, ორგანიზაციამ შეძლო სასამართლოსთვის თვალნათელი ყოფილიყო ის რისკები, რომელიც ბავშვის გერმანიაში დაბრუნების შემთხვევაში მას ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვას მოუტანდა. ორგანიზაცია, საქმის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ძალადობის ფაქტების დასახელებისგან თავს იკავებს, ისევე, როგორც იმ ვარგისს მტკიცებულებებზე მითითებით, რითაც სასამართლო დარწმუნდა, რომ ბავშვს ძალადობის ყველა ფორმა შეიძლება დამუქრებოდა.**

ბავშვის უფლებათა
კონვენციის 30 წლისთავი.
ყველა უფლება, ყველა ბავშვისთვის

CRC30 YEARS
CONVENTION ON THE RIGHTS OF THE CHILD

unicef | for every child

CONCEPT ART
BADAGONI GEORGIA
106.9 FM FORTUNA
biletebi.ge

Nikoloz Rachveli
6 დეკემბერი, 00:58-ზე

Tsotne Zedginidze

ძალიან დიდი წარმატებით ჩაიარა ცოტნეს მორიგმა გასტროლმა გერმანიაში, ელმაუში ფესტივალზე შესრულა საკუთარი ნაწარმოებები, მათ შორის სავიოლინო სონატა ლიზა ბათიაშვილთან ერთად და ოთხი ახალი პიესის პრემიერა, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ლექსების შთაბეჭდილებით სულ ახლახანს შექმნა. მის რეპერტუარში აგრეთვე იყო რახმანინოვის და დებიუსის თხზულებები.
ვაგრძელებ ზღვარგადასულ სიამაყეს!!! ❤️

Lisa Batiashvili ახლა არის აქ: **Schloss Elmau.**
29 ნოემბერი, 20:44-ზე · Krün, გერმანია

So happy I could share my last concert of the year with this exceptional young musician in one of the most magical places which I have adored since many years ❄❄❄
Thank you once again @schlosselmau for the hospitality and your ongoing support of music and culture

@verbierfestival @tsotne_zedginidze2009
@lisabatiashvilifoundation
@lisabatiashvili
#music #foundation #culture #hideaway #Schlosselmau #Deutschland #schnee

Lisa Leleux და **Tsotne Zedginidze** არიან მდებარეობაზე: **Schloss Elmau.**
30 ნოემბერი, 00:57-ზე · Krün, გერმანია

აი დღეს კიდევ ერთხელ გამოცა ჩვენმა ბიჭმა და ჩემს საყვარელ ადგილას Schloss Elmauში დაუკრა სასწაული კონცერტი . მე უფრო ვლაპარაკობდი სცენაზე მაგრამ ჩვენი საერთო პიესაც დაუკარით. ძალიან მიყვარს ეს ახალგაზრდა მუსიკოსი და მინდა მის გარშემო სულ მუსიკა, სიყვარული და სიმშვიდე იყოს!
ქალბატონ ნინასაც ვუულოცავ ამ არაჩვეულებრივ კონცერტს ! და როგორც ყოველთვის მთელ საქართველოს..
❤️

Tsotne Zedginidze არის **Achiko Kaikatsishvili**-თან ერთად.
21 სექტემბერი

Achiko Kaikatsishvili არჩილ კაიკაციშვილმა მიაღწია იმას რომ მე ვახერხებ საზღვარგარეთ მუსიკალურ ღონისძიებებზე ჩემ პედაგოგთან - ბებიასთან ერთად წასვლას!!! დიდი მადლობა ბატონ არჩილ კაიკაციშვილს!!!

Tsotne Zedginidze
21 სექტემბერი

🙏🙏🙏❤️❤️❤️ დიდი, დიდი, დიდი მადლობა არჩილ!!! Achiko Kaikatsishvili

Achiko Kaikatsishvili ახლა არის აქ: **თბილისის საქალაქო სასამართლო / Tbilisi City Court.**
20 სექტემბერი

სასამართლომ შეზღუდა მამის უფლება და ბებიას საშუალება მისცა შვილიშვილი საზღვარგარეთ გაიყვანოს, რათა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებსა და მოწვევებში.

მანანა მესხიშვილი - მოსამართლე ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან

❤️

Teona Jorbenadze
19 სექტემბერი

ჩვენი ვარსკვლავები წინანდლის ფესტივალზე მსოფლიოს უდიდესი და კაშკაშა მევიოლინეს ლიზა ბათიაშვილის მიწვევით! Lisa Leleux შესრულდა ცოტნეს და სანდროს საავტორო ნაწარმოებები, რომლებიც სპეციალურად საფესტივალო კონცერტისთვის შექმნეს. ჯერ მარტო ლიზასთან ერთად დაკვრა რამხელა სტიმულია თითოეული მათგანისთვის.

წინანდლის ფესტივალი ამ გაჭირვებულ და პანდემიით დაჩაგრულ 2021-ში კვლავ რჩება წარმატებით, ნიჭით, უმაღლესი პროფესიონალიზმითა და იმედით სავსე საქართველოდ.

ასეთ დღეებში ფბ-ზე რომ შემოვიხედავ ხოლმე სულ მგონია პარალელურ რეალობაში ვცხოვრობთ. აქაც "უსმენენ", ოღონდ უმაღლესი ხარისხის ადამიანებს და მათ შესრულებულ კიდევ უფრო დიდ დროს რომ გაუძღვეს იმ ავტორებს. ასეთ ქვეყანაში მინდა ვცხოვრობდეთ!

Natalia Kutateladze Tsotne Zedginidze Gigashvili Giorgi Sandro Nebieridze

ქართული სასამართლო თვითდინებასა და თვითგამორკვევას შორის

მიმდინარე პოლიტიკურმა ამბებმა საქართველოს სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობა გადაფარა, არადა სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს, რაც 2021 წლის 4-5 ნოემბრის მოსამართლეთა ჯგუფების განცხადებებით საზოგადოებამ მოისმინა. სასამართლოში მიმდინარე ამჟამინდელ მოვლენებს და მათ გამოხატულებას მრავალი განზომილება აქვს, ინსტიტუციური ვექტორის თვალსაზრისით კი განსაკუთრებით საყურადღებო, რაც საფუძვლიან და კვალიფიციურ ანალიზს მოითხოვს – აღნიშნულის შესახებ ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებაშია აღნიშნული.

2012 წლის პოლიტიკური ცვლილებების მთავარი მოტივაცია, მათ შორის ერთპარტიული დემოკრატიის სასამართლო ხელისუფლებაში დასრულების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, თუმცა ყველა პრობლემის სათავე, მათ შორის სასამართლო ხელისუფლებაშიც, შესაძლებელია განპირობებული იყოს იმ ფაქტორებით, როდესაც არ მომხდარა მძიმე მემკვიდრეობის სამართლებრივი შეფასება, პასუხისმგებლობის ტვირთის გადანაწილება, სასამართლო ხელისუფლებისთვის მისი ძირითადი ფუნქციის დაბრუნება და სამართლიანობის აღქმის საზოგადოებრივი მოთხოვნების უზრუნველყოფა. ორი ისტორიული პარალელი მაინც სახეზეა: 2003-2012 წლების ხელისუფლების დროს სასამართლოს ორგანული დანიშნულება მთლიანად დაკნინებული სახით ფუნქციონირებდა, ფორმალური მხარე მიიღო მხარეთა თანასწორუფლებიანობამ, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება ფიქციად იქცა, მოსამართლეებმა, რომლებმაც სისტემის წინააღმდეგ განსახვავებული დამოკიდებულება აჩვენეს, მეამბოხეებად შერაცხეს და მართლმსაჯულება დაატოვებინეს, ბევრი უხმაუროდ გაუშვეს, სასამართლოს ზოგიერთი თავმჯდომარე უსიტყვოდ გაერიდა ახალ პოლიტიკურ ვითარებას. 2012 წლის შემდგომ, ხელისუფლების ნების, ქვეყნის ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების ჩართულობით და დახმარებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის მდგრადობისთვის, რეფორმის 4-ეტაპიანი პაკეტი განხორციელდა, სასამართლოს მაჩვენებლები სხვადასხვა საერთაშორისო ანგარიშებსა და რეიტინგებში, ნამდვილად დაწინაურდა, პროცესის თანასწორუფლებიანი მხარის არსებობა გახდა ხელშესახები და რეალური, სასამართლოსადმი მიმართვას და დარღვეული უფლების აღდგენას გაუჩნდა პერსპექტივა და სხვა. თუ გვსურს დამაჯერებელი და სარწმუნო გახდეს სასამართლოს შესახებ გამოთქმული კრიტიკული შეხედულებები, მაშინ აუცილებელია ობიექტური დამკვირვებლის თვალით შეფასდეს დადებითი ტენდენციებიც და შეფასდეს ნაკლოვანი მხარეებიც. დღეს გვაქვს მიღწევები, რასაც სჭირდება ორი ძალისხმევა: 1. დაცვა და 2. განვითარება.

მაგრამ, ხელისუფლებამ წინამორბედის მსგავსად, არ დასაჯა და სისტემიდან არ გაუშვა კონკრეტული მოსამართლეები, რომელთა მიმართაც, საზოგადოებას დღემდე აქვს დასაბუთებული პრეტენზია. რა გზით უნდა მოეხდინა ხელისუფლებას სასამართლო სისტემის გაჯანსაღება? 1. გარდამავალი საკანონმდებლო საფუძვლების ფარგლებში, ვადამდე ადრე, უფლებამოსილება შეეწყვიტა მოსამართლეებისთვის, რომლებიც ახდენდნენ პარტიული დავალებების აღსრულებას და იღებდნენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, არ ახორციელებდნენ რეალურ მართლმსაჯულებას. ასეთი მოსამართლეები დატოვებდნენ სისტემას, სასამართლო გაიწმინდებოდა შემსრულებელი მოსამართლეებისგან ან 2. პოლიტიკური ნების პირობებში, ხელისუფლება სასამართლოს მისცემდა დამოუკიდებლობას, გაზრდიდა ინდივიდუალური მოსამართლის როლს, პროკურატურა არაერთგზის წააგებდა მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებსაც, ადამიანები სასამართლოში იპოვიდნენ სამართალს, პროცესი იქნებოდა ღია და საჯარო.

სიმართლე უნდა ითქვას, ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა რადიკალური გადაწყვეტილებების მისაღებად, მაგრამ სასამართლო სისტემაში ქირურგიული ჩარევისგან თავშეკავება არც მარტოოდენ ხელისუფლების არჩევანი გამხდარა. მთავრობამ გაიზიარა მოკავშირეების – ამერიკელებისა და ევროპელების რეკომენდაციები და რჩევები, არ მომხდარიყო სასამართლო ხელისუფლების წინაშე რადიკალური ჩარევა და დასჯის ნაცვლად დაწყებულიყო რეფორმები. 1. რადიკალური ჩარევა, ვადამდე ადრე მოსამართლეების სისტემიდან გაშვება იქნებოდა პოლიტიკური აქტი, შექმნიდა სახიფათო პრეცედენტს ყოველი მომდევნო ახალი მთავრობისთვის და გამოიწვევდა მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფას, 2. მყიფე დემოკრატიის პირობებში, შეუძლებელი რჩებოდა გადახედილიყო თითოეული მოსამართლის თითოეული განხილული საქმის კანონიერების საკითხი. თუ ეს შეუძლებელი ხდებოდა, მაშინ შერჩევითი პრინციპით, საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე, უნდა დასჯილიყო კონკრეტული მოსამართლეები, რაც ყველა სხვა მოსამართლის მიმართ, დაშინების და თავისუფლების ხარისხზე, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს პირდაპირ თუ ირიბ გავლენის მოპოვებას მისცემდა საფუძველს. ამდენად, ხელისუფლებამ არჩევანი გააკეთა სისტემის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებაზე. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილებით, სახელმწიფომ აღიარა, რომ 1. პროკურატურა, რომელსაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სრულყოფილად და ობიექტურად უნდა გამოეძიებინა, როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, არ ფუნქციონირებდა, 2. სასამართლო ხელისუფლება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე პროაქტიურად არ რეაგირებდა. წარსულში მომხდარ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ჰქონდა სისტემური ხასიათი. ქვეყანაში არსებობდა სისტემური დანაშაულებები.

ამ შეფასებას დაეთანხმა ჩვენი პარტნიორები – ამერიკელები და ევროპელებიც. შესაბამისად, არჩევანი გაკეთდა რეფორმის გზაზე. სასამართლო

რეფორმის მრავალ-ტალღოვანი ეტაპებისთვის ხელისუფლებამ მიიღო დასავლელი პარტნიორების პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის პროცესი წარიმართა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ვენეციის კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ პოლიტიკური დებატების პროცესში, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიებისთვის არსებული შედეგების დაცვა და საზოგადოების დარწმუნება, რომ სასამართლოს საქმეებისგან დისტანცირებული და გვერდზე მდგომი შტოა. ვერ შეძლო სრული რწმენის კონსოლიდირება, რომ სასამართლო განვითარებისა და თვითორგანიზების დამოუკიდებელ გზას დაადგა, არადა, ამ კუთხით ფაქტების დასახელება შეიძლება. უპირველესად, სასამართლოს დამოუკიდებლობის მაჩვენებელი 2012 წლამდე და 2012 წლის შემდგომი ხელისუფლებების პირობებში სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა განხილვის შედეგები და სტატისტიკაა. რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში, ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა სასამართლოს მიმართ საყოველთაო საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. ამ პროცესში, უარყოფითი როლი შეასრულა 1. ორმაგი სტანდარტების პოლიტიკამ – სამუშაო მაგიდასთან რეფორმის მხარდამჭერების საჯარო სივრცეში სასამართლოს კრიტიკის რიტორიკამ სასამართლოში მიმდინარე პროცესების შესახებ არაერთგვაროვანი შეხედულებების დამკვიდრებას შეუწყო ხელი და 2. მიდგომამ – სასამართლო ხელისუფლების დღევანდელ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა აეღოთ პირებს, რომლებიც წარსულში პოლიტიკურ სისტემასთან აფილაციაში იმყოფებოდნენ და უწევდათ დამორჩილება – მიეღოთ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები.

დღეს სასამართლო თვითგამორკვევის პროცესშია და პირობითად იყოფა მოსამართლეებად, რომლებიც 1. ახორციელებენ თავისუფალ მართლმსაჯულებას და შეუძლებელია რაიმე ფორმით ჩარევის დაშვება, 2. ახორციელებენ მართლმსაჯულებას და უწევთ პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება, 3. ახორციელებენ მართლმსაჯულებას და არსებობს ანგარიშვალდებულება სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან. დაკვირვება, პრაქტიკული გამოხატულება და პროცესის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო სისტემაში მოსამართლის თავისუფლებისა და ინდივიდუალური როლის ხარისხი დღეს უფრო მაღალია, ვიდრე 2012 წელს ან 2015 ან 2020 წელს იყო. რა თქმა უნდა, ამაზე ერთიანად მოქმედებს, როგორც სასამართლოს სისტემაში, ასევე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული მოვლენები და ტენდენციები. ისინიც კი, ვისაც წარსულში პოლიტიკურ სისტემასთან აფილაციაში იმყოფებოდნენ და უწევდათ დამორჩილება – მიეღოთ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, მართლმსაჯულების განხორციელების რეალური იდეის მხარეს დადგნენ და დარღვეული უფლებების აღდგენისთვის მათი გადაწყვეტილებები მეტყველებს, მაგრამ მათი სისტემაში დატოვება კვლავ ბევრისთვის – ნდობის და პროგნოზირების გამო – პრობლემატური და აუტანელია.

ასეთ ვითარებაში, ჩვენი დასავლელი პარტნიორები კვლავ მოითხოვენ ცვლილებებს სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაში და მმართველი ჯგუფის ჩანაცვლებას ნეიტრალური სახეებით, მოქმედი „Leader Schiff"-ი აცხადებს, რომ ნებისმიერმა თანამდებობის პირმა თუ ორგანიზაციამ პატივი უნდა სცეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და დადგენილებებს, არ ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში და სასამართლოს ერთიან პოზიციას გამოხატავს მისი თვითმმართველობის სახით, ამ პროცესში კი თითქმის პირველად ხდება მოვლენა, როდესაც 16-ზე მეტი მოსამართლე საჯაროდ, ერთმნიშვნელოვნად და მტკიცედ აცხადებს, რომ არ იზიარებს სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაში და მმართველი ჯგუფის რიტორიკას და ემიჯნება სასამართლოს მეგობარი დასავლელი პარტნიორების გაკიცხვის ტონს.

სინამდვილეში, 16-ზე მეტი მოსამართლის საჯაროდ გამოხატული პოზიცია წარმოადგენს ჩვეულებრივ დემარშს და კარგად გამოხატავს სასამართლოს სისტემაში მოსამართლეთა განწყობებსა და მიმართულებებს. აღნიშნული მიანიშნებს სასამართლო სისტემაში მმართველობის სტილისგან განსხვავებულ მიდგომებს და ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, 16-ზე მეტი მოსამართლის აზრს გაცილებით მეტი კოლეგის მხარდაჭერა აქვს, რომლებიც ეტიკეტის გამო, არ ახდენენ მათი ხედვების საჯარო დემონსტრირებას. ნიშნავს თუ არა მოსამართლეთა განსხვავებული პოზიციების გამოთქმა სასამართლოს ადმინისტრაციულ მმართველობაში არსებული ჯგუფის მარცხს? არა, არ ნიშნავს, მაგრამ ნიშნავს მომავალი კომპრომისების დაშვებას და გათვალისწინებას. ავტორიტეტული მოსამართლეების გამოსვლა უთუოდ ნიშნავს იმგვარი ალტერნატიული ცენტრის გაჩენას სასამართლოს სისტემაში, რომელთა შემდგომი მოსაზრებები, სასამართლოს მოწყობისა და განვითარების საკითხებთან, უკვე ხდება დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელი. მნიშვნელოვანია, მათი უშუალო მონაწილეობის დაშვება საქართველოს იუსტიციის უმაღლესს საბჭოს მუშაობაში ან ინსტანციური წესით დაწინაურების კუთხით. როგორც ჩანს, სხვადასხვა საკითხზე, სასამართლოს ერთიანი პოზიციით წარდგენის ფორმულა, მომავალში აღარ გამოვა. ისინი, ან 1. დემონსტრაციულად დატოვებენ მოსამართლის თანამდებობას ან 2. არჩეული ფორმით განაგრძობენ წინააღმდეგობრივ მოძრაობას სასამართლო სისტემის ინსტიტუციური განვითარებისთვის.

შექმნილი ვითარება, ნებისმიერ შემთხვევაში, მოქმედი „Leader Schiff"-ის პირველი სერიოზული გამოწვევაა, რომლის ამოცანაც სისტემაში ურთიერთობების დამშვიდება და პროგნოზირება წარმოადგენს. ეს უნდა მოხერხდეს ისე, რომ არ გამოიწვიოს ხელისუფლების სხვა შტოებთან უთანხმოება, სასამართლოს სტრატეგიულ უცხოელ მოკავშირეებთან დაძაბულობა და კონფლიქტი, თან მიღწეული იქნეს საზოგადოებრივი ნდობის არსებული მანდატის შენარჩუნება და სასამართლოს „ერთიანი პოზიციის" შენარჩუნება. სინამდვილეში, ეს მოხდა და ეს არის სიმართლე.

სტრასბურგის გადაწყვეტილება ომის საქმეზე დეოკუპაციისა და არაღიარების პოლიტიკისთვის ახალ რეალობას ქმნის

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში, ომის დანაშაულზე, რუსეთის ფედერაციის მიმართ საქართველოს საჩივრის დაკმაყოფილება არამხოლოდ სამართლიანობის აღდგენაა, არამედ დეოკუპაციისა და არაღიარების პოლიტიკისთვის ახალი რეალობა, რაც სათანადოდ უნდა იქნეს განხილული და გამოყენებული შემდგომ პოლიტიკურ, სამართლებრივ და საზოგადოებრივ საწყისებზე დიალოგისთვის.

ომის დანაშაულებებზე საქართველოს არ აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცდილება. 1990-იანი წლების სამოქალაქო ომის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვება ჩვენი უახლესი ისტორიის გამოწვევაა. ამ თვალსაზრისით, 2008 წლის აგვისტოს ომის სამართლებრივი შეფასება უდიდესი პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი მოვლენაა, რაც უდავოდ ისტორიული ფაქტია.

ომის დანაშაული, სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად, პოლიტიკური პასუხისმგებლობაა. ჩვენ განსაკუთრებული ინტერესით ველოდებით სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების შინაარს, რაც საფუძველს გააჩენს სწორი ანალიზისთვის. საქართველო, მისი თითოეული მოქალაქე, თითოეული ჯარისკაცი და მსხვერპლი ოჯახი დღეს ამაყია, რადგანაც საქმე ეხება ღირსების აღდგენას, პიროვნული და საქვეყნო ღირსების დაცვას.

ამ შედეგში, ნამდვილად დიდია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, როგორც ცენტრალური ორგანოს როლი, რომლის ძალისხმევითაც სასამართლოს მიეწოდა ახალი, ვარგისი მტკიცებულებები, რათა საქართველოს დასაბუთებია და დამტკიცებინა საკუთარი სიმართლე.

შარლ მიშელის ახალი დოკუმენტის ფორმულა მარტივია: ყველაფერს გადაწყვეტს ხალხი

საზოგადოება ელოდება პოლიტიკურ კონსესუსს და საპარლამენტო ცხოვრების დაწყებას მრავალპარტიული პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობით, იმის მიუხედავად, ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მიიღებდნენ თუ არა იმავე მხარდაჭერას თითოეული მათგანი. ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის განახლებული შეთანხმების დოკუმენტი გარდამტეხი მნიშვნელობის აქტია, რომელიც აძლიერებს დემოკრატიას და მთლიანობაში, მისი ფორმულა ძალიან კონკრეტულია: ყველაფერს გადაწყვეტს ხალხი – აღნიშნულის შესახებ ორგანიზაციის განცხადებაში აღინიშნა.

შარლ მიშელის დოკუმენტი წარმოადგენს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის წინაპირობას, თუმცა ამ პროცესის ცენტრალური მოთამაშე არის არა რომელიმე პოლიტიკური პარტია, არამედ – საქართველოს ამომრჩეველი. პირობა – თუკი მმართველი პოლიტიკური პარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმების 43% -ზე ნაკლებს მიიღებს, უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, პროცესის პასუხისმგებლობას მთლიანად გადასცემს საზოგადოების მიმართ. შესაბამისად, პარტიების რეიტინგი, ფინანსური შესაძლებლობები, რეალური პროგრამები და პოლიტიკოსების სანდოობა გადაწყვეტს, იქნება თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი არ უარყოფს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაციას, ახალი პირობების გაჩენა უნდა შეაფსდეს ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების საუკეთესო შეფასებით (პანდემია, ეკონომიკური სირთულეები, კავკასიაში პოლიტიკური ძალთა თანაფარდობა, რუსული ოკუპაცია და მოვლენები უკრაინაში). ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მომავალი პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობის ცვლილებები არ ემსახურება რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესებს და დოკუმენტის სულისკვეთება შეეხება მმართველობის სისტემის გაძლიერებას და დაახლოებას საჯარო ინტერესების განხორციელებასთან.

პოლიტიკური ცვლილებების მოსალოდნელობის გათვალისწინებით, ცენტრალური მნიშვნელობის საკითხია დამოკიდებულებები მართლმსაჯულების ფუნქციონირებასთან. შარლ მიშელის დოკუმენტში მოსალოდნელ ცვლილებებს უკვე ეწოდა „ამბიციური სასამართლო რეფორმა“, რაც, მათ შორის გულისხმობს მოსამართლეების დანიშვნის დროს გამჭვირვალობის გაზრდას, შერჩევას მათი დამსახურებების მიხედვით, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის პრინციპებს, რაც უნდა ეფუძნებოდეს წერილობით დასაბუთებას.

სასამართლო რეფორმაზე დისკუსიის დროს, წარმოდგენილი დოკუმენტის შეფასების კონტექსტში, ნამდვილად საინტერესოა იმ პოლიტიკური პარტიების შეხედულებები, რომლებმაც 2020 წლის 13 მარტს ხელი მოაწერეს მემორანდუმს და განსაზღვრეს, თუ როგორი სასამართლოს სისტემა სურდათ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. პარტიები მაშინ ამბობდნენ, რომ სასამართლო სისტემის რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად და მისდამი ნდობის სწრაფად გაჩენის მიზნით, განახორციელებდნენ შემდეგ რეფორმებს 1. ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება რეფორმის დაწყებიდან პირველი წლის ბოლოს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე. შემდეგი ოთხი წლის მანძილზე – ყველა დანაშაულზე, რომელიც პატიმრობას ითვალისწინებს, 2. 2021 წლის ბოლომდე მოსამართლის არჩევითობის შემოღება პირველ ინსტანციაში, რომელიც განიხილავს საქმეთა უმრავლესობას. სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულს, ნაფიც მსაჯულთან ერთად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში კი მოსარჩელეს ექნება შესაძლებლობა აირჩიოს მისი საქმის განმხილველი მოსამართლე იქნება დანიშნული თუ პირდაპირი წესით არჩეული მოსამართლე, 3. საკონსტიტუციო ცვლილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გაერთიანება. საკონსტიტუციო ცვლილების გზით – 2017 წლიდან მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ყველა აქტის გაუქმება, 4. უზენაესს და სააპელაციო ინსტანციებში აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოდან მოსამართლეების დანიშვნა ხანგძლივი ვადით, რომლებიც ყველა შესაძლო კოლეგიის უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ და 5. სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე სახელმწიფოსა და ბიზნესს ან მოქალაქეს შორის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ) დავებზე, აშშ-ს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ პრეცედენტებად აღიარება.

წარმოდგენილი წინადადებები, რომელიც იმთავითვე მოუმზადებელი, გაუაზრებელი და სასამართლოს ფუნქციონირებასთან შეუსაბამო დებულებებს შეიცავდა, საინტერესოა, პოლიტიკური პარტიებისთვის კვლავ აქტუალური თემაა თუ დარჩა, როგორც წესი, წინასაარჩევნო პერიოდში გაკეთებულ განცხადებად. მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს პოლიტიკური პარტიების საქმიანი შეხედულებები სასამართლო რეფორმის მიმართ, ვინაიდან მხარდაჭერა მოიპოვოს მხოლოდ სწორმა, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობილმა შეხედულებებმა.



დაუსრულებელი პოლარიზაცია, საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების საქიროება

საჭიროა სწრაფი ცვლილებები, ნორმალური ცხოვრების აღდგენა და სამართლიანობის განცდის დაბრუნება თითოეული ადამიანისთვის. საზოგადოება დაღალა პოლიტიკურმა პროცესმა, რომელიც ყოველდღიურად ემსგავსება სანახაობას და ქარის წისქვილებთან ბრძოლას. ხელისუფლებას მართებს შექმნილ ვითარებაში სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, პოლიტიკური ოპოზიცია კი საპარლამენტო ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეს. ქვეყანაში, სრულფასოვანი პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ინსტიტუციების, მათ შორის მართლმსაჯულების ნორმალურ ფუნქციონირებასთან. სტრატეგიული მოკავშირეებისა და პარტნიორების დასკვნები ცხადყოფს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დელეგიტიმაცია, არ მოხდება. ასეთია საქართველოსთან მიმართებით, მის წინაშე მდგარი საფრთხეების გათვალისწინებით, აშშ-ის, ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულება და კონტექსტი. ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გარეშე ხალხის მხარდაჭერით არ სარგებლობს, ვადამდელი ან რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები კი, თუნდაც კონსესუსის გზით დაკომპლექტებული ცსკო-ს და საარჩევნო ადმინისტრაციების პირობებში, არც ხელისუფლების შანსებს ზრდიდეს და არც პოლიტიკური ოპოზიციის მხარდამჭერებს.

ხელისუფლებამ საზოგადოებასთან დიალოგის ფორმებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. ახალ პოლიტიკურ რეალობაში, საზოგადოებასთან კავშირების აღდგენა, გიორგი გახარიას შემდგომი მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრად საქმიანობის დროს, ვისურვებდით, რომ მთავარი ყურადღება დაეთმოს სამართლიანობის აღდგენის საკითხებს. სწორედ მისი მთავრობის მეთაურად საქმიანობის დროს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, სადაც წინა ხელისუფლების დროს, არაერთი გაუბედურებული ადამიანის საქმე და საჩივარი, ამ დრომდე, უძრავად დევს. არსებობს მოლოდინი, რომ მთავრობა პრიორიტეტულ მიმართულებად ამ საქმეების ბოლომდე დასრულებას გაიხდის. ამასთან, გაუმკლავდება იმ გამოწვევებს, რომელიც არსებობს პანდემიის დაძლევის სახით, არსებობს ეკონომიკაში და არსებობს სოციალური მიმართულებებით. ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც მენეჯერს და პოლიტიკოსს, აქვს გამოცდილება გაუმკლავდეს გამოწვევებს და მიიღოს შედეგი. ამასთან, მნიშვნელოვანია, გიორგი გახარია დარჩეს ქართულ პოლიტიკაში, რაც ხალხის მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესში და პოლიტიკის ანგარიშვალდებულებას თითოეული მოქალაქის წინაშე, გახდის გაცილებით საინტერესოს, გარემოს კონკურენტუნარიანს, რეალურს, სადაც დემაგოგიის ნაცვლად, ხედვებს ექნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა – აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში, რომელიც 2021 წლის თებერვალში გამოქვეყნდა.

თბილისში, მერის არჩევნების ნდობის რეიტინგზე სოციოლოგიური გამოკითხვა

ორგანიზაციის მიერ საკითხზე: „ნდობის რეიტინგი 2021 წლის თბილისის მერის არჩევნების წინ“, თბილისში, სოცილოგიურ გამოკითხვა ჩატარდა. რესპოდენტებმა პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს: “აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ 2021 წლის 30 ოქტომბრის ქ. თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურში?”, “თბილისის მერობის რომელი კანდიდატი იმსახურებს თქვენს მხარდაჭერას?”, „რა განაპირობებს კანდიდატის მიმართ თქვენს ნდობას”, „როგორ შეაფასებდით ადგილობრივ თვითმმართველობებში შესაძლო კოალიციურ მმართველობას” და „არჩეულმა მერებმა და საკრებულოებმა, რომელი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის გადასაჭრელად უნდა შეცვალონ სტრატეგია”. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სულ 315 მოქალაქე გამოიკითხა.

სოცილოგიური გამოკითხვის მიზანს დედაქალაქის მოსახლეობის რეალური განწყობებისა და თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურის პროცესში, მათი მოლოდინების დადგენა წარმოადგენდა. გამოკითხვა მარჯანიშვილის მოედანზე, რუსთაველის გამზირსა და თავისუფლების მოედანის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდება. სოცილოგიური კვლევა ორგანიზაციის დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში მომზადდა.

თბილისში გამოკითხული 315 ამომრჩევლიდან 35% კახა კალაძეს უცხადებდა ნდობას, 25% – ნიკა მელიას. შედეგები, ვრცლად, გამოქვეყნებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატები“ წინასაარჩევნოდ მოსახლეობის განწყობების დადგენას 2013 წლიდან ახორციელებს. 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2014 წლის ივნისში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“, 2018 წელს გამოქვეყნდა „ნდობის რეიტინგი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ“, 2020 წელს გამოქვეყნდა „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ყველა კვლევის მონაცემი უმნიშვნელო ცდომილებით დაემთხვა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დასახელებულ არჩევნებზე მიღებულ ოფიციალურ შედეგებს.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემით, ქ. თბილისში 1 002 900 ამომრჩეველია რეგისტრირებული. თბილისის მერის არჩევნების პირველ ტურზე შედეგები ასე გადანაწილდა: კახა კალაძეს *(„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“)* მხარდაჭერა გამოუცხადა 216 344 ამომრჩეველმა (45.006%), ხოლო ნიკა მელიას *(„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)* – 163 489 ამომრჩეველმა (34.011%).

უნდა შეიქმნას ინსტიტუციური მექანიზმები მსგავსი რყევების თავიდან ასაცილებლად

2021 წლის 5 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენები, გამომწვევი მიზეზები და მოტივები ფართო დიალოგის საფუძველზე უნდა შეფასდეს, პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა ჯგუფს, რომელმაც გამოიწვია ძალადობა, ძალადობის მხარდაჭერა და ძალადობის პროვოცირება, რაც უკიდურესად აზიანებს საქართველოს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, კანონის უზენაესობის პრინციპებსა და მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

ნებისმიერი მოქალაქის, ჯგუფის და პირის გამოხატვის თავისუფლება კანონით დაცული სიკეთეა. გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში შეზღუდვაც სამართლებრივი სიკეთის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უნდა ესმახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.** ამდენად, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, სახელმწიფოს მიერ რამდენად დამაჯერებელი და თანიმდევრული ძალისხმევა იქნა მიმართული ძალადობის თავიდან აცილების მიზნით და რატომ ვერ მოხერხდა ესკალაციის შეჩერება.

ორგანიზაცია გმობს ჟურნალისტური კორპუსის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, რომელსაც ჰქონდა ყოვლისმომცველი და მიზანმიმართული ხასიათი. ჩვენ ყველამ ვიხილეთ სიძულვილით მოტივირებული თავდასხმა მედიის წარმომადგენლების მიმართ, მათი სარედაქციო პოლიტიკისა და პიროვნული შეხედულებების მიუხედავად, რაც მშვიდობიანი პროტესტის ფორმებს გასცდა. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით, მოახდინოს სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და დადგეს ძალადობის ჩამდენი პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ორგანიზაცია სოლიდარულია ჟურნალისტური კორპუსის მიმართ, რომელთა საქმიანობასაც ხელი შეეშალა.

საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები, მგრძნობიარე და თვითმყოფადობასთან დაკავშირებული თემები, იდეოლოგიური და დოგმატური საკითხები, მიგვაჩნია, ყოველთვის მოითხოვს ობიექტური გაშუქებისა და პროფესიული ანალიზის საფუძვლებს, არ უნდა გამომდინარეობდეს ცალსახა შეხედულებებით და განსხვავებული აზრის პატივისცემის გარეშე. ხელისუფლებამ, ეკლესიამ, საერთაშორისო პარტნიორებმა, საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, სამოქალაქო ორგანიზაციებმა, აკადემიურმა და პროფესიულმა წრეებმა, მედიამ – ყველაფერი უნდა გააკეთოს სიძულვილის ენის დაძლევისთვის და შეიქმნას ინსტიტუციური მექანიზმები ქვეყანაში მსგავსი რყევების თავიდან ასაცილებლად.

ნინოწმინდის პანსიონის საკითხი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, როგორც შეცდომების მაგალითი და თანამშრომლობის პრეცედენტი უნდა გახდეს

ორგანიზაცია გამოეხმაურა ნინოწმინდის წმიდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნა, რომ პანსიონის საკითხი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, როგორც შეცდომების მაგალითი და თანამშრომლობის პრეცედენტი უნდა გახდეს.

ორგანიზაცია ყურადღებით დააკვირდა პანსიონში განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნა, რომ პირველი კრიტიკული ფაზის შემდგომ დგება შედეგების პირუთვნელად შეფასების საჭიროება. პანსიონის საკითხი, რომელიც პოლიტიკური, სამართლებრივი, საზოგადოებრივი და რელიგიური მნიშვნელობის კუთხით განსახილველი შემთხვევაა, უპირველესს ყოვლისა უნდა შეფასდეს ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით და პასუხი გაეცეს შეკითხვებს, თუ რამდენად იქნა განხორციელებული ღონისძიებები ამ უფლებების სრული დაცვით, რატომ ვერ შეძლო ეკლესიამ და სახელმწიფომ თავიდან აერიდებინათ პროცესის სიმძაფრე, შეასრულა თუ არა სასამართლომ კატალიზატორის როლი თუ რეალური მიზანი ეკლესიის მსახურების წინაშე დემორალიზაციის დაშვება და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპის სრული განხორციელება წარმოადგენდა. ორგანიზაციის შეხედულებით, როდესაც ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის (მთავრობა, საქართველოს სახალხო დამცველი, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) ინსტიტუციური დიალოგი აღდგა და პრობლემის მოგვარების მიმართულებები გამოჩნდა, საჭიროა პასუხი გაეცეს მთავარ შეკითხვას – ჰქონდა თუ არა ძალადობის ფაქტებს პანსიონში ადგილი, ვინ ძალადობდა არასრულწლოვანებზე და რა ფორმით უზრუნველყოფს ამჟამად სახელმწიფო პანსიონში აღსაზრდელების ინტერესების დაკმაყოფილებას და დაცვას.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ კონსტიტუციური შეთანხმება იგივე კონკორდატი მიუთითებს, რომ სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას. შესაბამისად, ნინოწმინდის პანსიონში არსებულ მდგომარეობაზე, როგორც ხელშეწყობის, ასევე შეფასების კუთხით, წარმოადგენდა სახელმწიფოს საამისოდ შექმნილი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს პირდაპირ მოვალეობას. არსებული ინფორმაციით, სააგენტო პერიოდულად დასახელებული პანსიონში ახორციელებდა მონიტორინგს და ვიზიტებს. შესაბამისად, სახელმწიფო სრულად ფლობდა ინფორმაციას ბავშვის უფლებების მდგომარეობის თაობაზე და სავარაუდო დარღვევების თაობაზე, არ დგინდება სააგენტოს ქმედითი ღონისძიებების განხორციელების ფაქტი – მიმართვა არამხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს მიმართ, არამედ სამართალდამცავი ორგანოებისადმი.

შესაბამისად, პასუხგაუცემელია კითხვები, სდუმდა თუ არა თავად სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო პანსიონში არსებულ ან დარღვევებზე ან სავარაუდო ძალადობაზე. არ არსებობს პანსიონში ვიზიტების თაობაზე ოფიციალური და ხელმისაწვდომი დოკუმენტაცია (დასკვნები, ანგარიშები). ამ რეალობის გათვალისწინებით, ორგანიზაციას სრულიად დაუშვებლად მიაჩნდა საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების დაბრკოლება განეხორციელებია ადგილზე მონიტორინგი და არამხოლოდ პანსიონის ადმინისტრაციისგან, არამედ აღსაზრდელებისგან მიეღო სწორი ინფორმაცია აქტუალურ საკითხებზე. სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების დაბრკოლების საფუძველი გახდა ეკლესიის კონკრეტული მსახურის პერსონიფიცირებული დამოკიდებულება მოქმედი საქართველოს სახალხო დამცველის მიმართ (რაც სხვა განხილვის საგანს წარმოადგენს), რამაც დემოკრატიული საზოგადოებისთვის შეუქცევადი ხასიათი მიიღო და მიაყენა გამოუსწორებელი და დაუმსახურებელი ზიანი საქართველოს ეკლესიას, რომლის თავიდან არიდებაც სავსებით შესაძლებელი იყო.

ორგანიზაცია აქცენტს აკეთებს ბავშვის უფლებების დაცვისა და უპირატესი ინტერესების საკითხზე და მიაჩნია, რომ

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ, ამ შემთხვევაში, არასათანადოდ შეასრულა მოვალეობები. საქართველოს კანონი – ბავშვის უფლებათა კოდექსი განმარტავს, რომ ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემას წარმოადენს სოციალური კეთილდღეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სისტემებში არსებული საქართველოს კანონმდებლობა, სხვა მარეგულირებელი ნორმები, პოლიტიკა და მომსახურებები, რომლებიც ემსახურება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული რისკების პრევენციასა და აღმოფხვრას. ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა მხარს უჭერს და აძლიერებს ბავშვს და მისი აღზრდისთვის პასუხისმგებელ პირებს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისა და ბავშვის ოჯახისგან განცალკევების რისკის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა ემსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემებში, ოჯახში და ნებისმიერ სხვა ადგილზე ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯის, მისდამი სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, მისი ექსპლუატაციის, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ბავშვისთვის ზიანის მომტანი ტრადიციების პრევენციასა და აღმოფხვრას.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ პანსიონში განვითარებული მოვლენები ტოვებს განცდას, რომ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს არ მოუხდენია ბავშვების მოსმენა, მათი საჭიროებებისა და ინტერესების მკვეთრად დადგენა, ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ჩართვა. პრობლემა გადაიჭრა პანსიონისგან ბავშვების განცალკევებით და მინდობით აღზრდაში გადასვლით, რაც დამატებითი სირთულეების მომტანი შეიძლება გახდეს. არასრულწლოვანები, რომლებიც პანსიონში ცხოვრობდნენ, განეკუთვნებიან რთულ აღსაზრდელთა წრეს და განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდებს. შესაბამისად, ერთის მხრივ მათი საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მეორეს მხრივ კი სავარაუდო ძალადობის სავარუდო შემთხვევების თაობაზე მოსაზრებები მოითხოვენ მაღალი ხარისხით სანდოობის შემოწმებას, თუმცა ორგანიზაცია ფიქრობს, რომ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეთოდოლოგია არ ტოვებს ამ რთულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საფუძველს – შეუძლებელია სარწმუნო გახდეს სოციალური მუშაკის ან/და ფსიქოლოგის დასკვნებში გამოქვეყნებული მოზარდების შეხედულებები, რომელსაც სათანადო წესით მიღების ტრადიციული პრობლემა აქვს. შესაბამისად, ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს, პანსიონის საქმეზე, სახელმწიფომ სავარაუდო ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, საერთაშორისო სპეციალისტები მოიწვიოს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისს გამოწვევებთან მუშაობის გამოცდილება.

„ახალგაზრდა ადვოკატები" ყურადღებას დაუთმობს პანსიონის საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 ივნისის დროებით განჩინებას (მოსამართლე: ივანე ღლონტი) რომლითაც სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაევალა ქმედების განხორციელება და ნინოწმინდის პანსიონატში მყოფი ბავშვების სხვა სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში გადაყვანა. ორგანიზაციას რჩება შთაბეჭდილება, რომ მიღებული დროებითი განჩინების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ნინოწმინდის პანსიონატის შექმნილი პრობლემის გადაჭრა, ე.წ. კარის გაღების ფაქტის დაშვება და სასამართლოს საშუალებით სახელმწიფოს წონასწორობის აღდგენა წარმოადგენდა.

სხვა შემთხვევაში, დროებითი განჩინება შეიძლება შეფასდეს დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებად, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ შეეხებოდა პანსიონატიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების გაყვანას და არა – ყველა ბავშვის გაყვანას. სასამართლო თავის დროებით განჩინების მიღების მოტივაციაში აღნიშნავს რომ იზრდებოდა ალბათობა შელახულიყო ბავშვთა ინტერესები და ბავშვებს მისდგომოდათ მნიშვნელოვანი ზიანი. საქმე შეეხებოდა არასრულწლოვანთა ინტერესებს, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება შექმნოდა საფრთხე, თუმცა დროებითი განჩინება მიღებული იქნა არა პანსიონატში მყოფი ყველა ბავშვის, არამედ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნების მიმართ.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ნინოწმინდის პანსიონატის საკითხი დასრულებულად ვერ ჩაითვლება, ვიდრე არ მოხდება სამართლებრივი პასუხის გაცემა სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე. ამ კუთხით, ეკლესიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია, საზოგადოებამ მიიღოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც შეეხება გამოძიების შედეგებს და რეალური გარემოებების შესწავლას. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სადაც ეკლესიას და სახელმწიფოს, თანაბარი პასუხისმგებლობა აქვთ.

რელიგიის სახელმწიფო სააგენტომ უნდა გაზარდოს საქმიანობის ეფექტიანობა, მანდატი და ინფორმაციაზე ხელმისწვდომობა

ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა, რაც ხარჯთეფექტურობის საკითხებთან ერთად, საქმიანობის ეფექტიანობისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასებას შეეხება.

ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა შესწავლილიყო ინფორმაცია 2019-2020 წლებში სააგენტოში დასაქმებული პირების მიმართ გაცემული ხელფასების, პრემიებისა და დანამატებისა და მათი მიზნობრიობის თაობაზე, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სამივლინებო ხარჯებზე, სარესტორნო მომსახურებებზე, მედია-კამპანიებზე, შემუშავებული რეკომენდაციების, წინადადებებისა და კვლევით საქმიანობაზე, მათ გავლენასა და შესრულებაზე.

შესწავლილი მონაცემების თანახმად, 2020 წელს სააგენტოში დასაქმებული პირების მიმართ გაცემულმა ხელფასმა შეადგინა 553 604.78 ლარი, ხოლო 2019 წელს – 541 009.14 ლარი. 2019 წელს, ერთხელ გაიცა პრემია თავმჯდომარის მოადგილეზე 3 360 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წელს პრემია არ გაცემულა, თუმცა სახეზეა დანამატების სიხშირე და მოცულობითი ოდენობა, კერძოდ 2019 წელს გაცემულ სახელფასო დანამატებს შეადგენს 616 565 ლარი, 2020 წელს კი – 57 800 ლარს. სახელფასო დანამატების ტენდენცია საგრძნობლად შემცირებულია, თუმცა ორგანიზაცია, სააგენტოს ხარჯთეფექტურობის და მიზნობრიობის საკითხი მაინც ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან დანამატის გაცემა შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სამუშაოს შესრულების სპეციფიკით და სირთულით, განსახილველ შემთხვევაში, ასეთი განსაკუთრებული დატვირთულობა კი არ ჩანს. სააგენტოს საქმიანობა, მისი მაღალი დანიშნულების მიუხედავად, არ მოითხოვს შრომითი ძალების განსაკუთრებულ მობილიზებას და ჩართვას, წარმოდგენილი მონაცემების თანახმად კი დანამატების გაცემას სააგენტოში ყოველთვიური ხასიათი აქვს.

ამასთან, ვინაიდან სააგენტო თავის საქმიანობის ფარგლებში ცდება დედაქალაქისა და ქვეყნის საზღვრებსაც, ფინანსდება თანამშრომელთა სამივლინებო ხარჯებიც. შესწავლის შედეგად, 2019 წელს, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ სამივლინებო ხარჯებმა ქვეყნის გარეთ შეადგინა – 16 086.55 ლარი, ქვეყნის შიგნით კი – 7 797.00 ლარი. 2020 წელს, სააგენტოს მხრიდან მივლინება ქვეყნის საზღვრებს გარეთ არ განხორციელებულა, ქვეყნის შიგნით დაიხარჯა 2 370.00 ლარი. ხარჯების მნიშვნელოვან მოცულობას იტევს სხვადასხვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებული მომსახურებები. ორგანიზაცია დაინტერესდება, რა ფორმით ახდენს სააგენტო საქმიანობის გაშუქებას. ამ კუთხით, სააგენტოს მიერ 2020-2019 წლებში, როგორც სხვა პერიოდშიც, დადებულია საინფორმაციო მომსახურების ხელშეკრულება შპს „ახალ ამბებთან“ (ს/კ 205075014) და შპს „აიფიემ მარკეტ ინტელიჯენს კაუკასუსთან“ (ს/კ 204447544). 2019 წელს სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციისთვის დაიხარჯა 19 740 ლარი, 2020 წელს კი – 21 480 ლარი. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ პერიოდში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან სარესტორნო ხარჯი არ ფიქსირდება.

სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს რეკომენდაციების და წინადადებების მომზადება. 2019-2020 წლებში სააგენტოს მხრიდან მომზადდა 487 რეკომენდაცია პრემიერ-მინისტრის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისა და მათი აღმასრულებელი რგოლების მიმართ, თუმცა უწყებაში რეკომენდაციების შესრულების სტატისტიკის შექმნა არ ხდება. საყურადღებოა მომზადებული 3 წინადადებაც და დასახელებულ პერიოდში მომზადებული ორი კვლევა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ უნდა გაზარდოს თავისი საქმიანობის ეფექტიანობა და ინფორმაციაზე ხელმისწვდომობა. ამასთან, სააგენტოს საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ რელიგიურ კონფესიათა შორის დიალოგის მხარდაჭერითა და უზრუნველყოფით, ვინაიდან, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სახელით შეასრულოს მნიშვნელოვანი მედიატორის როლი პერიოდულად რელიგიური თემის წარმომადგენლებს შორის არსებულ უთანხმოებებზე ***(იხ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარის ინციდენტი, იანვარი, 2021)*** და როგორც სახელმწიფო სტრუქტურას, შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, გააჩნდეს საჯარო პოზიცია იმ რელიგიური ხასიათის საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობაზე, რომელთა შინაარსიც, სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულების საწინააღმდეგოა ***(იხ. საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია ბიბლიური თავისუფლება (ს/კ 405195907), რომელიც ქადაგებს სახელმწიფო სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების მოძღვრებას).***

ამასთან, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო:

- ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მათ შორის რუსულ და ინგლისურ ენებზე;
- ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული წინადადებების პროაქტიული გამოქვეყნება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მათ შორის რუსულ და ინგლისურ ენებზე;
- ვალდებულია უზრუნველყოს მომზადებული კვლევების გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მათ შორის ინგლისურ ენებზე;
- ვალდებულია პირადი რესურსით ან/და საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფის შესყიდვის ფარგლებში, უზრუნველყოს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, შექმნას შესაბამისი რეესტრი, მიიღოს დამატებითი ზომები რეკომენდაციათა შესრულების მიმართულებით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევს, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი და ნდობა საზოგადოებაში უნდა ამაღლდეს. ამ კუთხით, შესაძლებელია უფლებამოსილების მანდატის გაზრდაც.

სასამართლომ „ახალგაზრდა ადვოკატების“ დასკვნა „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით გაიზიარა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გელათის ტაძრის ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების საქმეზე „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით წარდგენილი „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლებრივი დასკვნა გაიზიარა და პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებისგან განსხვავებით, ძეგლის ობიექტზე კომპანია „იკორთა 2007“-ის მიერ განხორციელებული სამშენებლო ჩარევა და განხორციელებული ყველა დონის საქმიანობა კანონის დარღვევად აღიარა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გაეცნო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 1 ივლისის დადგენილებას, რომელიც განმარტავს შემდეგს:

„სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლო მეგობრის სტატუსით სამართლებრივი დასკვნები და რეკომენდაციები იქნა წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ, საიდანაც სააპელაციო სასამართლო იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტა შპს „იკორთა 2007“-სთან მიმართებით, რადგანაც იგი სწორად იქნა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 ნაწლით. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას იმის შესახებ, რომ სანებართვო მოწმობა შპს „იკორთა 2007“-ის სახელზე ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორის განცხადებით არასწორად იქნა გაცემული, რადგან ამ უკანასკნელს აღნიშნული უფლებამოსილება არ გააჩნდა, თუმცა მიაჩნია, რომ შპს „იკორთა 2007“-თან მიმართებით უდავოდ ფაქტობრივად სახეზეა ამავე მუხლის შემადგენლობის სხვა ელემენტი – „კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა“, რომელიც „იკორთა 2007“, რაგინდ კეთილშობილური მიზნებიც არ უნდა ჰქონოდა, იმპერატიულად უკრძალავდა არათუ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის, არამედ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე რაიმე სახის სამუშაოების ჩატარებას კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი სამართალდარღვევის საქმეზე, როგორც სამუშაოების უშუალო შემსრულებელს, „იკორთა 2007“-საც უნდა დაკისრებოდა შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლო იზიარებს სასამართლო მეგობრის ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და ასევე, საჩივრის ავტორის სამართლებრივ თვალსაზრისს შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის არამართლზომიერებაზე, თუმცა რაც შეეხება მოთხოვნას შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში გასაჩივრებული დადგენილების გაუქმების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა. განსახილველ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 16 აპრილის დადგენილება შპს „იკორთა 2007“-ის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში არ გაუსაჩივრებია არც ოქმის შემდგენ ორგანოს და არც სამართალდამრღვევ შპს „იკორთა 2007“-ს“. ***(იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 01.07.2021 დადგენილება, საქმე #4/ა-211-21).***

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩართულია მსოფლიო კულტურული მნიშვნელობის ძეგლის – გელათის ტაძრის ირგვლივ განვითარებულ მოვლენების საზოგადოებრივ დისკუსიაში. ორგანიზაციამ არსებითად შეისწავლა ძეგლის გარშემო მიღებული გადაწყვეტილებები, მოამზადა სამართლებრივი კვლევა, ანალიზი და სარეკომენდაციო წინადადებები, რომელიც 2021 წლის აპრილში გამოქვეყნდა.

კვლევა გელათის ირგვლივ და მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირები

ორგანიზაციამ მსოფლიო კულტურული მნიშვნელობის ძეგლის – გელათის ტაძრის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე კვლევა გამოაქვეყნა და არსებითად შეისწავლა ძეგლის გარშემო მიღებული გადაწყვეტილებები, მოამზადა სამართლებრივი ანალიზი და სარეკომენდაციო წინადადებები, რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს სახალხო დამცველის, სასამართლოს, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისა და პროცესის მონაწილე კერძო იურიდიული პირების მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას და საჭიროებას შეეხება.

კვლევა დეტალურად ასახავს, თუ რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების მხრიდან გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების უზრუნველსაყოფად. როგორია სახელმწიფოს გადაწყვეტილებების პოლიტიკა და მართლზომიერება, როგორია პროცესში მონაწილე კერძო შემსრულებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ფარგლები, ძეგლზე გამოვლენილი ხარვეზების შემდგომ რამდენად დასაბუთებული და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, ასევე სასამართლოს მხრიდან, რომელმაც ე.წ. გელათის საქმეზე პირველადი დასკვნები გააკეთა.

შესწავლილი მასალის თანახმად დგინდება, რომ გელათის რესტავრაცია-კონსერვაციასა და დროებითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე ყველა პროექტი შექმნა და მოამზადა ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“ (ს/კ 204545652), რაც შეთანხმდა, ჯერ საქართველოს საპატრიარქოსთან, შემდეგ დამტკიცდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. მათ შორის გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ქვედა იარუსების (ეკვდერების) გადახურვის სამუშაოების გასაგრძელებლად შექმნილი პროექტიც. დგინდება, რომ დამტკიცებული პროექტების შესულებას, კერძოდ, სამშენებლო საქმიანობას ახორციელებდა შპს „იკორთა 2007“ (ს/კ 205216327), რომელსაც „საქართველოს მემკვიდრეობასთან“ ერთად, 2008 წლიდან გააჩნდა გელათის სხვადასხვა ნაგებობის საინჟინრო სამუშაოების შესრულების გამოცდილება. რაც შეეხება ამ პროცესში ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ (ს/კ 204426451) მონაწილეობას და მოვალეობების ფარგლებს, ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს შესწავლის შედეგად გამოკვეთილ გარემოებას, რომლის თანახმადაც, დასახელებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდილ პირს გააჩნდა პროექტების დაფინანსებისთვის საერთაშორისო დონორებიდან თანხების მოძიებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიმართ შესრულებული სამუშაოების თაობაზე წერილობითი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

ორგანიზაცია შესწავლის ფარგლებში მიდის დასკვნამდე, რომ საქართველოს კულტურული მემ-

კვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ არა-ჯეროვანი და არასაკმარისი ყურადღება დაუთმო გელათის ძეგლის/ტაძრის ირგვლივ სამუშაოების შემოწმებას, საპროექტო წინადადებების მიღება და დამტკიცება ხდებოდა ადგილზე განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, სათანადო განხილვისა და შემოწმების გარეშე. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ობიექტზე დროებითი გადახურვის სამუშაოები ხორციელდებოდა ა(ა)იპ ,,საქართველოს მემკვიდ-რეობის'' მიერ შედგენილი, არაერთხელ კორექტი-რებული, სააგენტოს მიერ დამტკიცებული პრო-ექტის მიხედვით და თითოეული ცვლილება, ასევე შეთანხმებული იყო სააგენტოსთან.

ამასთან, გელათის ტაძრის დროებით გადახურვას ამჟამად ახორციელებს კომპანია ,,ბაგინეთი +" (ს/კ 205284495), სამუშაოები ხორციელდება ახალი პრო-ექტით, რაც ადასტურებს, რომ ის პროექტი, რომლის მიხედვითაც შესრულდა სამუშაო, არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. მეტიც, სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით, არ გამოცხადებულა ტენდერი, არ გა-მოყოფილა ხარჯები, რეალურად სამუშაო შეასრუ-ლეს სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, ნებართვის გაცემა კი იყო ფორმალური საკითხი. თვით პროექ-ტის არაერთგზის ცვლილებაც მიანიშნებს, რომ საა-გენტო გადაწყვეტილებას იღებდა ნაჩქარევად.

,,ახალაგზრდა ადვოკატები" შესწავლის შედეგად აღნიშნავს, რომ საქართველოს კულტურული მემ-კვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრი-დან სწორედ შესრულებული სამუშაოების შემდეგ პროექტების შეთანხმების პრაქტიკა არაკეთილსინ-დისიერად იქნა გამოყენებული თავად პროცესში მონაწილე პარტნიორი ორგანიზაციების მიმართ. ნაცვლად იმისა, რომ სააგენტოს დაუყონებლივ შეემოწმებინა სამუშაოები და წამოეყენებინა პრე-ტენზია, თითქმის ორი თვე არ გადაამოწმა ტაძრის მდგომარეობა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარლა-მენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ად-გილზე ვიზიტის შემდეგ გამოითქვა პრეტენზიები, 2021 წლის 18 იანვარს შემოწმდა ძეგლის მდგომა-რეობა და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, სამუშაოების შეუსაბამოდ განხორციელების დარ-ღვევად ჩათვლის გამო, მიღებული იქნა შპს ,,იკორ-თა 2007"-ისა და ა(ა)პ ,,ხელოვნების საერთაშორი-სო ცენტრის" ფინანსური დაჯარიმების გადაწყვე-ტილება. ორგანიზაცია დეტალურად შეისწავლა სააგენტოს მოქმედების სამართლებრივი მხარე და ცალსახად მიუთითებს, რომ მიღებული გადაწ-ყვეტილება მხოლოდ თავდაცვით მმართველობით ღონისძიების განხორციელება წარმოადგენდა. სა-აგენტო, მიუხედავად პასუხისმგებლობის ტვირთის პარტნიორ ორგანიზაციებზე გადატანისა, მაინც რჩება იმ პასუხისმგებელ სუბიექტად, რომელიც სა-დავო პერიოდში განხორციელებული სამუშაოებზე ზედამხედველ უწყებად გვევლინება. ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მას არ შეუჩერებია რომელიმე პარტნიო-რი ორგანიზაციის საქმიანობა ან უფლებამოსილება ობიექტზე, არ გააუქმებია ნებართვა, არ შეუქმნია შესაბამისი კომისია, რომელიც საფრთხედ შეაფა-სებდა კულტურული მემკვიდრეობის წინაშე წარმო-ებულ სამუშაოებს.

,,ახალგაზრდა ადვოკატები" საჭიროდ მიიჩნევენ:

1. *მოხდეს გელათის კულტურული მემკვიდ-რეობის ძეგლზე წარმოებული სამუშაოე-*

ბის ჩატარების ყველა პროექტის შესწავლა და შეფასება, დადგინდეს გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისობები და დადგინდეს რეალური გამომწვევი მიზეზები, რომლის შედეგადაც, ტაძარში წყალი ჩავიდა და დაა ზიანა ფრესკები;

2. *მოხდეს გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე წარმოებული სამუშაოების ჩატარების პროექტით გათვალისწინებულ ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი საჯარო და კერძო პირების გადაწყვეტილებების მიუკერძოებელი შეფასება და მათი პასუხისმგებლობის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;*

3. *მოხდეს გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით მიღბული ახალი გადაწყვეტილებების ხელმისწავდომობა, პროაქტიულად გამოქვეყნება, საჯარო დისკუსიების ორგანიზება და ხელშეწყობა, ძეგლის გადარჩენის კუთხით საერთაშორისო სპეციალისტების შემჭიდროვებულ ვადებში საქართველოში მოწვევა და ახალი დასკვნების წარმოდგენა.*

4. *სააგენტომ საკითხზე დაიწყოს ახალი ადმინისტრაციული წარმოება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, წარმოება იყოს სრულყოფილი და ყოვლისმომცველი;*

5. *პარლამენტმა უზრუნველოს შესაბამისი საკომიტეტო მოსმენების ჩატარება, გელათის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით ჩართული და დაინტერესებული პირების მოწვევა და მათი შეხედულებების მოსმენა, გაცემულ რეკომენდაციებზე კონტროლი და საზედამხედველო ფუნციის შესრულება პროცესზე.*

6. *საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან შეფასდეს სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებისა და მართლზომიერების საკითხი.*

7. *დაჩქარდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოში მიმდინარე გამოძიება და მიღებული შედეგები ცნობილი გახდეს საზოგადოებისთვის, ისევე, როგორც მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გამჭვირვალე და საჯარო გახდეს საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობა და ეტაპები.*

8. *ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობამ“, შპს „იკორთა 2007“-მა, ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“-მა და შპს „ბაგინეთი+“-მა, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ხელმისწავდომი გახადოს მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები და გამოქვეყნდეს პროექტის მიმდინარეობის დროს არსებული ხარჯთაღრიცხვა.*



საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი შენობის პერსპექტივა და ფარული გარიგებები

ორგანიზაციამ საკითხზე: „საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი შენობის ინიციატივა – გადაწყვეტილებები და ფარული გარიგებები", კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ საქართველოს ცენტრალური ბანკის საქმიანობის ისტორიაში, ადგილი აქვს უპრეცედენტო შემთხვევას – ფორმალური იურიდიული საფუძვლების შექმნით, წინასწარი განზრახვით, ისეთი მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების დადებას, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს თავდებობით ცენტრალური ბანკის მხრიდან კერძო კომპანიის/ბიზნესმენის (შპს „სითი ცენტრი") სასარგებლოდ 2 მილიონი დოლარის კრედიტის აღება. სებ-მა 2019 წლის 26 ივლისს გააფორმა ნასყიდობის და იპოთეკის ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი აცნობიერებდა და გასცემდა უპირობო თანხმობას შპს „სითი ცენტრს" ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიადან", თავისი სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, მიეღო 2,106,960 აშშ დოლარის მოცულობით კრედიტი და დროებით საკუთრებაში მიღებული უძრავი ნივთი, ბანკის სასარგებლოდ და აღნიშნული კრედიტის უზრუნველსაყოფად, იპოთეკის უფლებით დატვირთულიყო.

საზოგადოებისთვის 2019 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ცენტრალური ბანკი შეიცვლიდა მისამართს და შენობას. 2019 წლის აგვისტოს თვეში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი შენობა უნდა განთავსებულიყო შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს" შორის (ნაკვ. #001/014), ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს" შორის, სტალინის სახელობის სანაპირო #1 (რესორან „არაგვის მიმდებარე ტერეტორია, ნაკვეთი #2/20), ცირკსა და რესტორან „არაგვს" შორის, სტალინის სახელობის სანაპირო #1 (რესორან „არაგვის მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი #2/21) არსებულ 8779.00 კვ.მ ფართობზე.

სებ-ის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, 2019 წლის 26 ივლისს, შპს „სითი ცენტრთან" (ს/კ 204573185) 8,427, 840.00 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარში, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი აცნობიერებდა და გასცემდა უპირობო თანხმობას შპს „სითი ცენტრს" ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიადან", თავისი სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, მიეღო 2,106,960 აშშ დოლარის მოცულობით კრედიტი და დროებით საკუთრებაში მიღებული უძრავი ნივთი, ბანკის სასარგებლოდ და აღნიშნული კრედიტის უზრუნველსაყოფად, იპოთეკის უფლებით დატვირთულიყო.

ხელშეკრულებით, აგრეთვე გარიგების მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისგან ვერ მიიღებდა დროებით საკუთრებაში მიღებულ მიწის ნაკვეთზე გრგ-ს ან/და გაპ-ს, საქართველოს ეროვნული ბანკი ქონებას დაუბრუნებდა პირვანდელ მფლობელსა და მესაკუთრეს – შპს „სითი ცენტრს".

საქართველოს ცენტრალურმა ბანკმა, ისევე, რო-

გორც შპს „სითი ცენტრმა", ხელშეკრულების გაფორმებამდე იცოდნენ, რომ იმ მიწის ნაკვეთსა და ტერიტორიაზე, რომელზედაც საქართველოს ეროვნულ ბანკს სურდა ახალი სათაო ოფისის მშენებლობის წარმოება, ასეთი სამშენებლო საქმიანობა და ნებართვა ვერ გაიცემოდა.

2019 წლის 26 ივლისის მდგომარეობით, მიღებული იქნა ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (გეგმის დამტკიცებისა და მიღების თარიღი: 15 მარტი, 2019), რომელმაც დასახელებული მიწის ნაკვეთი მოაქცია განსაკუთრებული დაცვისა და რეჟიმის ქვეშ, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის დაცვის არეალსა და რეკრიაციულ ზონად, სადაც სამშენებლო საქმიანობა ნებადართული არ იქნებოდა. შესაბამისად, მიწის ნაკვეთი, რომელზედაც საქართველოს ცენტრალურმა ბანკმა საჯაროდ განაცხადა, რომ ააშენებდა ახალ ოფისს, ამ მიზნებისთვის იმთავითვე იყო გამოუყენებელი. შედეგიც შესაბამისი დადგა – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის განკარგულებით, უარი ეთქვა ქ. თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს" შორის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.03.002.033) საზოგადოებრივ-საქმიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონებას, რაც გარიგების მონაწილე მხარეებისთვის ცხადი და განჭვრეტადი იყო. ამიტომ, იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც ხელშეკრულება ითვალისწინებს, მხარეები თავიდანვე ფიქტიურად შეთანხმდნენ, მისი რეალური მიზანი კი – კომპანიის მიერ ბანკიდან 2 მლნ დოლარზე მეტი სესხის აღება წარმოადგენდა, რასაც საქართველოს ცენტრალურმა ბანკმა ხელი შეუწყო.

ფაქტია, ყველა დოკუმენტი და პროცესის საბოლოო შედეგები აჩვენებს, რომ გარიგება სახელმწიფო ცენტრალურ ბანკსა და კერძო პირს/ბიზნესმენს/კომპანიას შორის გაფორმდა სწორედ იმ მიზნით, რომ კერძო პირს/ბიზნესმენს/კომპანიას სესხი თავისი ვალდებულებების გასასტუმრებლად აეღო. ერთი შეხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც მიწის ნაკვეთის მომავალი სრულფასოვანი მესაკუთრე უნდა გამხდარიყო, თანხმობას იძლევა დროებით საკუთრებაში მიღებული ქონების ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვაზე და სწევს იმ რისკს, როდესაც შესაძლებელია, კომპანიის შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიამ" მოახდინოს ქონების რეალიზება და ამით მნიშვნელოვანი ზიანი წარმოეშვას სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკს.

შესწავლილი მასალის მიხედვით, ისმის ლეგიტიმური შეკითხვებიც – რატომ არ და ვერ განახორციელა შპს „სითი ცენტრმა" მოლაპარაკების დამოუკიდებლად წარმოება ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან" და კრედიტის მიღება, თუ უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთი ირიცხებოდა მის საკუთრებად, რატომ გახდა აუცილებელი და საჭირო საქართველოს ეროვნული ბანკის ამ ფორმით და ამ შეთანხმებებით მონაწილეობა და პროცესის სამართლებრივ მხარედ გამოსვლა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გარიგებების ხასიათი საჭიროებს კონტროლის და შემოწმების მაღალ სტანდარტს, ვინაიდან გამოირიცხოს ან/და დადასტურდეს სავარაუდო დანაშაული ან/და კორუფციული შეთანხმებები. გარიგება, რომელიც რეალური სამართლებრივი შედეგისთვის არ დადებულა, თავისი არსით წარმოადგენს ბათილ გარიგებას და მისი მოჩვენებითი და თვალთმაქცური ხასიათი ემსახურება სწორედ იმ მიზნების უზრუნველყოფას, რომელიც გარიგების მონაწილე მხარეებს, ფარული შეთანხმებებით, გააჩნდათ.

მთავრობამ სეისმური უსაფრთხოების საკითხის შესწავლა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გადასცა

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მოთხოვნას: ხელმისაწვდომი და ღია გახდეს საქართველოში მიწისძვრის სრული კატალოგები (მცირე მაგნიტუდის მიწისძვრის ჩათვლით), შეიქმნას ერთიანი ეროვნული სტრატეგია სეისმური მონაცემების შესახებ და მეცნიერების სასარგებლოდ გადაიჭრას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ცენტრის მხრიდან შექმნილი, ხელოვნური პრობლემები, საქართველოს მთავრობა ეხმაურება. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, საკითხი განსახილველად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეცა.

ორგანიზაციამ საქართველოში სეისმური მონაცემების ხელმისწადვომობისა და ღიაობის პრობლემის გამო შესაბამისი რეაგირებისა მოთხოვნით საქართველოს პრემიერ-მინისტრს 2021 წლის აგვისტოს თვეში მიმართა. ორგანიზაციამ საკითხის განხილვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრინციპების ფარგლებში მოითხოვა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, მთავრობის გადაწყვეტილებების საჭიროებაზე მიუთითა. დგინდება, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ცენტრი დირექტორი თეა გოდოლაძე არ **გასცემს ცენტრში დაცულ ე.წ. საწყისს მონაცემთა ბაზაში დაცულ ინფორმაციას. ცენტრის დირექტორის განპიროვნებული პოლიტიკა – არც სამეცნიერო წრეებსა და არც სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სამოქალაქო უსაფრთხოების, მიწისძვრების შესწავლისა და კვლევის საკითხებზე, არ გაიცეს** მაგნიტუდა 3 ქვემოთ მონაცემები და გაიცეს მხოლოდ მაგნიტუდა 3-ს ზემოთ სეისმური მონაცემი, რომელიც თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში, ყოვლისმომცველი და სრულფასოვანი ინფორმაცია არ არის, წარმოადგენს შეგნებულ მავნებლობას.

ამასთან, ორგანიზაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ცენტრის დირექტორი თეა გოდოლაძე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, მაგნიტუდა 3 ქვემოთ მონაცემებს არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საგანგებო სიტუაციების სამსახურს არ აწვდის. ცენტრის შეგნებული პოლიტიკის შედეგად, არც ერთ სახელმწიფო უწყებას მიწისძვრების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. გამოიკვეთა, რომ საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ერთიანი ხედვა და ეროვნული სტრატეგია სეისმური უსაფრთხოების საკითხებზე, ხელმისწავდომი არ არის ინფორმაცია მიწისძვრების სრული და ზუსტი სტატისტიკის თაობაზე, საგანგებო სიტუაციების სამსახურის მოვალეობების შესრულება და შესაბამისი მომზადება მოსახლეობას საზოგადოებრივი თავდაცვის საკითხებში, ფორმალურ ხასიათს იძენს.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არ მოქმედებს არც ერთი ამკრძალავი ნორმა, რომელიც მიწისძვრების თაობაზე არსებულ ინფორმაციას ან/და სეისმურ მონაცემებს განაკუთვნებდა სახელმწიფო საიდუმლოებად ან/და განსაზღვრავდა მონაცემების ხელმისწავდომობაზე რაიმე ფორმით ბარიერს. ორგანიზაციამ გადაამოწმა ნ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორის წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია და სრულად იზიარებს იმ პოზიციას, რომ მიწისძვრის სრული კატალოგები (მცირე მაგნიტუდის მიწისძვრის ჩათვლით) ყველა ქვეყანაში ღიაა. ნებისმიერი მასალა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი ბუნებრივი საფრთხეების შეფასებასთან, აუცილებლად უნდა იყოს ხელმისწავდომი ყველა მეცნიერისთვის საქართველოში. მონაცემები, რაც მიწისძვრებს, ჰიდროლოგიას, მეტეოროლოგიას შეეხება, არის ღია ინფორმაცია და მათ მონაცემების საფუძველზე ხდება მეცნიერების შემდგომი განვითარება.

საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ერთიანი ხედვა და ეროვნული სტრატეგია სეისმური უსაფრთხოების საკითხებზე, დემოკრატიული ქვეყნების მაგალითზე, ნაცვლად საჯაროობისა და გამჭვირვალობისა, საქართველო ირჩევს სფეროს მონოპოლიზირების გზას, ხელმისწავდომი არ არის ინფორმაცია მიწისძვრების სრული და ზუსტი სტატისტიკის თაობაზე, არც ერთ სახელმწიფო უწყებას წარმოდგენა არ აქვს ბუნებრივი კატასტროფების ხარისხისა და მნიშვნელობის შესახებ, რაც ქვეყანას და ქვეყნის მოსახლეობას საზოგადოებრივი თავდაცვის საკითხებში, სრულიად მოუმზადებელსა და დაუცველს ხდის.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხის სრულფასოვანი შესწავლა 2021 წლის ივლისში დაიწყო. **ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას საკითხის ირგვლივ განახორციელოს სამოქალაქო ადვოკატირება, მათ შორის საერთო სასამართლოების გზით, თუკი სესიმური მონაცემების ხელმისწავდომობის საკითხი არ გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით ან/და მთავრობის ჩარევის გარეშე.**

თეა გოდოლაძის კომპანია ყიდის სეისმურ დასკვნებს, ქმნის მონოპოლიას და ზრდის კორუფციულ რისკებს

ორგანიზაცია სეისმური მონაცემების ხელმისაწვდომობის საკითხზე შესწავლას აგრძელებს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორ თეა გოდოლაძის დაინტერესებისა და შესაძლო კომერციული ინტერესების საკითხზე განმარტებებს მოითხოვს. ამასთან, ორგანიზაცია განმარტებებს მოითხოვს თეა გოდოლაძის პარტნიორობით მოქმედი ორგანიზაციის მხრიდან ბათუმის ერთ-ერთი სასტუმროს მშენებლობის პროცესში გაცემული დასკვნის გამო, რომელიც სავარაუდოდ კორუფციული დოკუმენტის შეფასებას ტოვებს.

ორგანიზაციამ შესწავლის ფარგლებში მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის წერილი, რომელიც მეცნიერების დარგში საქართველოს მთავრობის მრჩეველ კანონის საფუძველზე მოქმედ ორგანოს წარმოადგენს, სადაც აღნიშნულია, რომ გეოფიზიკის ინსტიტუტის მოთხოვნა მისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნულ ცენტრში დაცული ე.წ. საწყისს მონაცემთა ბაზაზე ხელმისწვდომობასთან დაკავშირებით – სამართლიანია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აღნიშნავს, რომ ილიას უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულის ხელმძღვანელი, თეა გოდოლაძე, კვლავ კატეგორიულ უარს აცხადებს ამ მონაცემების გადაცემაზე. შესაბამისად, ორგანიზაცია დამატებით დაინტერესდა ცენტრის დირექტორის მსგავსი მიდგომების იმ ფაქტობრივი საფუძვლებით, რომელიც საჯარო წყაროებით შეიძლება გამხდარიყო შეფასების საგანი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ თეა გოდოლაძე დაკავებულია სამეწარმეო საქმიანობით. კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ამონაწერის თანახმად, თეა გოდოლაძე ფლობს 40%-იან წილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – „სეისმიკ კონსალტინგ“ (ს/კ 204542021). დასახელებული კომპანიის სხვა პარტნიორებია: ზურაბ ჯავახიშვილი (30% წილის მფლობელი), მიხეილ ელაშვილი (20% წილის მფლობელი) და მალხაზ გიგიბერია (10% წილის მფლობელი). კომპანიის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი დასახელებულ პარტნიორებთან ერთად, სწორედ თეა გოდოლაძეა, კომპანია კი 2007 წლის ოქტომბრიდან საქმიანობს. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანი და მიზნებია: მომსახურება გეილოგიური-გეოფიზიკური დარგის კუთხით, გრუნტის თვისებების კვლევა, ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება, სამშენებლო უბნების ტოპოგეოდეზიური მომსახურება, ნებისმიერი მასშტაბის ნაგებობების მონიტორინგი საპროექტო, სამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებზე, საინვესტიციო პროგრამებში მონაწილეობა და სხვა.

ორგანიზაციამ შეისწავლა შპს „სეისმიკ კონსალტინგ“-ის ერთ-ერთი საყურადღებო დასკვნა, რომელიც მოწოდებული იქნა ნ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტიდან და შეეხება მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელებას ქ. ბათუმში, მსოფლიოში ცნობილი სასტუმროს ბრენდის მშენებლობის პროცესში. ანგარიშის სახელწოდებაა: *„სეისმური საშიშროების ალბათური შეფასება გრუნტის ლოკალური პარამეტრების გათვალისწინებით (სეისმური მიკროდარაიონება)*

სასტუმრო შავი ზღვის სამშენებლო უბანზე, ქ. ბათუმში გრუნტის საინჟინრო-გეოლოგიური თვისებების კვლევა სეისმო-საძიებო მეთოდების გამოყენებით" (2009 წ), რომელის მიმართაც, სახელმწიფოს მხრიდან, არ გაცემულა დადებითი რეკომენდაცია და თანხმობა.

აღმოჩნდა, რომ დოკუმენტში ადგილი ჰქონდა ისეთ შეცდომებს, როგორიცაა სქემატური რღვევითი ტექტონიკის მოდელების გამოყენება, სეისმური კერების ზონების არასწორი პარამეტრიზაცია, უზუსტობები პიკური აჩქარების დაცხრომების არჩევაში და ა.შ. რაც არ იძლეოდა ქ. ბათუმში სასტუმროს მშენებლობის მოედნის სეისმური საშიშროებოს ობიექტურ, სწორ შეფასებას. სეისმური საშიშროების სიდიდე მნიშვნელოვნად იქნა დაწეული (0.07g) და მისი გამოყენებით აგებულ მაღლივ შენობას მომავალში დაემუქრებოდა მნიშვნელოვანი საფრთხე. **კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება #1-1/2284 თანახმად, რომელიც შეეხება სამშენებლო ნორმებისა და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.09) დამტკიცებას, სეისმური საშიშროების რუკაზე, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. ბათუმთან მიმართებით, 7-ბალიანი მიწისძვრის შემთხვევაში, წარმოადგენს 0.09g-ს. იმისთვის, რომ ქ. ბათუმში, ასაშენებელ ობიექტზე 0.07g-ს მითითებით სეისმური კოეფიციენტი გაზიარებულიყო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ უნდა წარდგენილიყო სპეციალური კვლევა, რომელიც დაასაბუთებდა სეისმური საშიშროების რუკაზე, ქ. ბათუმთან მიმართებით დადგენილი 0.09g კოეფიციენტის უარყოფას და შეცვლის დასაშვებობას, თუმცა შეცვლილი კოეფიციენტის დამტკიცებას სჭირდებოდა მინისტრის შესაბამისი ხელმოწერა და გადაწყვეტილება.**

სწორედ ამ პროცედურების გათვალისწინებით, შპს „სეისმიკ კონსალტინგ"-ის დასკვნა შესაბამისი თანხმობის მიღების მიზნით, რეგისტრირდა სამინისტროში, თუმცა მინისტრმა დოკუმენტს ხელი არ მოაწერა. შესაბამისი შეფასების მისაღებად, დასკვნა გადაგზვანილი იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართ, აკადემიამ კი თავის მხრივ შეფასებისთვის მიმართა მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტს. შპს „სეისმიკ კონსალტინგ"-ის დასკვნაზე მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერების მხრიდან წარმოდგენილი იქნა შეფასებები, რომლითაც გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები და უარყოფითი რეკომენდაცია გაიცა დასკვნის მიმართ (2012 წ). შპს „სეისმიკ კონსალტინგ"-ის დასკვნა, საბოლოოდ, სამინისტრომ არ დაამტკიცა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ შპს „სეისმიკ კონსალტინგ"-ის დაწუნებული ანგარიში, კომპანიის სახელით, შესაძლოა, მომზადებულიყო ბიზნესჯგუფთან ფარული გარიგების საფუძველზე, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ინვესტორი გაცილებით იაფ ხარჯს სწევს, როდესაც ობიექტის სეისმური მდგრადობა შეფასებულია დაბალი ნიშნულით. ამ დასკვნის მომზადების დროს თეა გოდოლაძე შპს „სეისმიკ კონსალტინგ"-ის დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

საქართველოში ჰესების მშენებლობების საკითხი, პლებისციტის გზით შეიძლება გადაწყდეს

ორგანიზაცია საქართველოს ენერგო-დამოუკიდებლობის პროცესში სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე ჰესის მშენებლობებთან მიმართებით ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ საზოგადოების შეკითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. ორგანიზაციის განცხადებით, რიონის ხეობაში, ნამახვანი ჰესის მშენებლობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, არ შეიძლება მხოლოდ ცალმხრივად იქნეს განხილული და შეფასებული. საზოგადოებაში გრძელდება დისკუსია, თუ რამდენად მიზანშეწონილია ნამახვანი ჰესის პროექტის განხორციელება, სახელმწიფოს, მშენებარე კომპანიას და მოსახლეობას აქვს საკუთარი პოზიციები, თუმცა წინასწარი შეფასებით, არსებობს მნიშვნელოვანი ინფორმაციული სიმწირე, რომელიც პროექტის ირგვლივ საფრთხეებზე, სიკეთეებსა და შედეგებზე სრულ წარმოდგენას შექმნიდა. შესაბამისად, ორგანიზაცია დამოუკიდებლად შეისწავლის იმ სამართლებრივ მასალას და მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერებას, რომელიც ხეობაში ნამახვანი ჰესის მშენებლობის პროცესში იქნა მიღებული.

ორგანიზაციის განცხადებით, კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსი, ყოველთვის მოითხოვს პრობლემური საკითხების დემოკრატიული წესით გადაწყვეტას. ქართულ სინამდვილეში, ნებისმიერი ჰესის მშენებლობა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიზნით არის წარმოდგენილი, მოქალაქეთა შორის, ერთიანი თანხმობით და პოპულარობით არ სარგებლობის.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ მსგავსი საკითხების გადაჭრისა და განხორციელების მიზნით, საჭიროა საზოგადობის მხარდაჭერა და არამხოლოდ ექსპერტული წრეების კონსულიდაცია. ამდენად, ორგანიზაცია მთავრობას სთავაზობს, ჰესების მშენებლობის შეუთანხმებელ ტერიტორიულ ერთეულებში, მაქსიმალურად განახორციელოს მოსახლეობის განწყობების დადგენა, მოხდეს მათი სრული ინფორმირება და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღება.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ამ კუთხით, სახელმწფომ უნდა გამოიყენოს საერთო-სახალხო გამოკითხვის – პლებისციტის ფორმა, რაც საშუალებას გააჩენს მოსახლეობამ დემოკრატიულად გადაწყვიტოს ბუნების თუ კულტურული ფენების დათმობის სანაცვლოდ, მძლავრი ჰესების მშენებლობის საკითხი.

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად. პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. პლებისციტს საქართველოში სამართლებრივი ინსტიტუტის ტრადიცია არ გააჩნია. პლებისციტი მხოლოდ ორ საკითხზე იქნა გამართული. კერძოდ, 2008 წლის იანვარში, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, მოსახლეობამ პლებისციტის სახით პასუხი გასცა ორ საკითხს: უნდა ჩატარებულიყო თუ არა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზე და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესაძლებლობას. **თუ საქართველოში ჰესების მშენებლობების საკითხი, პლებისციტის გზით შეიძლება გადაწყდეს, ორგანიზაცია მთავრობას საკითხის ინიცირებას 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად სთავაზობდა, რაც მთლიანად გამორიცხავდა დამატებით ფინანსურ საჭირობებეს.**

ბოლო 2 წლის მანძილზე, მთავრობამ შრომითი უფლების დარღვევისთვის, ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი აანაზღაურა

ორგანიზაციამ მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც საქართველოს სასამართლოში, შრომით-სამართლებრივ დავებში, საქართველოს მთავრობის სამინისტროების მონაწილეობის საკითხს შეეხება, შესწავლის შედეგები ბოლო ორი წლის მდგომარეობს – 2018-2020 წლებს შეეხება.

შესწავლის პროცესში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავრობის 11 სამინისტრომ. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა შემდეგ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და ანალიზი: 2018-2020 წლებში, საერთო სასამართლოებში, მოსარჩელის, მოპასუხის ან/და მესამე პირის სტატუსით, რამდენ სასამართლო დავაში, მათ შორის შრომით-სამართლებრივ საქმეზე მონაწილეობდა თითოეული სამინისტრო, რა აჩვენა სასამართლოს გადაწყვეტილებებმა დავების სამინისტროების სასარგებლოდ ან/და საწინააღმდეგოდ ან/და მორიგებით დასრულების შემთხვევებზე, რამდენი გათავისუფლებული თანამშრომელი აღდგა სამსახურში, რამდენ თანამშრომელს აუნაზრაურდა იძულებითი განაცდაური ან/და მიეცა ერთჯერადი სახის კომპენსაცია, რა ოდენობის თანხა იქნა ანაზღაურებული, როგორია დასაქმებული თანამშრომლების რიცხოვნება თითოეულ სამინისტროში 2021 წლის იანვრის თვის მდგომარეობით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ შესწავლის ფარგლებში ყველა სამინისტრომ ოპერატიულად ითანამშრომლა და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა, რამდენიმე შემთხვევის გარდა, სრულფასოვნად მოხდა.

ბოლო ორ წელიწადში, საქართველოს მთავრობის სამინისტროებმა სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგად, იძულებითი შრომითი განაცდურის სახით, დასაქმებულების მიმართ, 1,010,480.05 ლარი გადაიხადა. შესწავლამ აჩვენა შემდეგი სამინისტროები, რომლებმაც დასაქმებულების შრომის იძულებითი მოცდენა აანაზღაურეს. კერძოდ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაიხადა 505,793.09 ლარი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის სამინისტრომ – 164,536.90 ლარი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ *(სამინისტროს გაყოფამდე)* – 73,420.80 ლარი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ – 166,729.97 ლარი.** შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კიდევ ერთმა სამინისტრომ – საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, აგრეთვე მოახდინა სასამართლოს 1 გადაწყვეტილების აღსრულება და აანაზღაურა იძულებითი შრომის მოცდენა, თუმცა სამინისტრომ არ გასცა ინფორმაცია, თუ რა თანხის ოდენობით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ ქართულ სასამართლოში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, **ყველაზე მეტი შრომით-სამართლებრივი დავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველაზე მცირე დავა კი საქართველოს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს ჰქონდათ.** გამოიკვეთა მხოლოდ ორი სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლებსაც არც ერთი დავა არ უწარმოებიათ სასამართლოში. შესწავლის შედეგები ასე გამოიყურება:

1. *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – 95 საქმე;*
2. *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – 43 საქმე;*
3. *საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 9 საქმე;*
4. *საქართველოს თავდაცვის სამინისტრო – 8 საქმე;*
5. *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 5 საქმე;*
6. *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 5 საქმე;*
7. *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 2 საქმე;*
8. *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – 1 საქმე;*
9. *საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – 1 საქმე;*
10. *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – 0 საქმე;*
11. *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 0 საქმე;*

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შესწავლის შედეგად, ბოლო ორი წლის მონაცემით, მთავრობის სამინისტროები მოსარჩელის, მოპასუხის ან/და მესამე პირის სტატუსით, სულ 6093 დავაში მონაწილეობდა, 2021 წლის იანვრის თვის მდგომარეობით კი, დასახელებულ უწყებებში, სულ 22,616 თანამშრომელია დასაქმებული.

სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2012-2021 წლებში, უსასყიდლოდ 291,432.62 კვ.მ უძრავი ქონება დათმეს

ორგანიზაციამ შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, 2012-2021 წლებში უძრავი ქონებების დათმობის საკითხის მონიტორინგს შეეხებოდა. ორგანიზაციამ შეისწავლა საკითხი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, თუ რამდენი ქონება გადაეცა სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით, მიტოვების გზით ან/და სხვა სამართლებრივი ფორმით. ამასთან, დასახელებულ პერიოდში, მოქალაქეებმა ან/და იურიდიულმა პირებმა რამდენჯერ დათმეს წილები/აქციები/ავტომანქანები სახელმწიფოს სასარგებლოდ, როგორც ეს ჩვეულებრივი პრაქტიკა აღმოჩნდა 2004-2012 წლების ანლოგიურ საკითხზე ორგანიზაციის მხრიდან მომზადებული შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ **სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2012-2021 წლებში, ფიზიკურმა და იურიდულმა პირებმა უსასყიდლოდ 291,432.62 კვ.მ უძრავი ქონება დათმეს.** საუბარია მიწის ნაკვეთებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შესწავლა ცხადყოფს, რომ 81 ფიზიკური პირისა და 8 იურიდიული პირის (შპს-ს) მხრიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილია 91 უძრავი ქონება, რამაც ჯამში შეადგინა **291,432.62 კვ.მ ფართობი. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული ქონებები სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილია ერთი და იმავე სამართლებრივი საფუძვლით. კერძოდ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების საფუძვლით და ყველა მათგანის მესაკუთრე, დღესდღეობით – სახელმწიფოა.**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია არ შეიცავს მონაცემებს ჩუქების ან/და სხვა სამართლებრივი ფორმით სახელმწიფოს სასარგებლოდ სხვა ქონების დათმობის თაობაზე და განმარტებულია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში დაცულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც გასაჯაროვდა. შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში, სახელმწიფოს სასარგებლოდ ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან მიტოვებული ქონებების სიმრავლე გვხვდება შემდეგ მუნიციპალიტეტურ ერთეულებში: თბილისი – 29, ბათუმი -2, ბორჯომი -2, ტყიბული -2, თეთრიწყარო -2, შუახევი – 2, რუსთავი – 6, გორი – 5, ხულო – 8, ზუგდიდი – 4, მარნეული – 3, გურჯაანი – 5, ასპინძა – 4, ზესტაფონი, ხაშური, ქუთაისი, წყალტუბო, ამბროლაური, აბაშა, ყვარელი, დმანისი, საგარეჯო, ახალციხე, სენაკი, ხელვაჩაური, გარდაბანი, თელავი, ჭიათურა, ჩოხატაური და ქარელი – თითოეულ მათგანში 1. უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მხრიდან წარმოდგენილ ინფორმაციაში ზუსტად არის მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლები, საკუთრების უფლების მიტოვების გზით გადაცემული უძრავი ქონებები, საკადასტრო კოდები და თანდართული განცხადებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, **უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მისატოვებლად აუცილებელია უფლებამოსილი პირის განცხადება ამ უფლების მიტოვების შესახებ, და ამ განცხადების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. განცხადება უნდა ჩაჰბარდეს რეესტრის სამსახურს. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს უფლების მიტოვების განცხადება სავალდებულო ძალას.** ორგანიზაციის მიერ შესწავლილი ყველა ქონება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი და რეგისტრირებულია სწორედ კანონის დასახელებული მუხლისა და საფუძვლის თანახმად.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხზე ანალოგიური შესწავლის შედეგები 2015 წელს 2004-2014 წლის პერიოდის მიხედვითად გამოაქვეყნეს. მაშინდელი მონიტორინგის შედეგად, 2004-2012 წლებში, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით გადაეცა 369 ქონება, მიტოვების გზით და სხვა სამართლებრივი ფორმით კი – 1941. საერთო ჯამში, სახელმწიფომ მიიღო 2310 ქონების განკარგვის უფლება. ამასთან, შესწავლილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 2004-2012 წლებში, სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქალაქეებმა წილები/აქციები დათმეს 150-ჯერ, ხოლო სახელმწიფო გახდა 864 ავტომობილის მფლობელი. მთლიანობაში, სახელმწიფომ 2004-2012 წლებში, მოქალაქეებისგან 5634 ქონება მიიღო.

ახალი კვლევა - როგორ მიიტაცა სახელმწიფომ 778,515,00 ლარის ღირებლების ქონება

ორგანიზაციამ 2012 წლამდე სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების ხელყოფის მასშტაბურ სისტემურ დანაშაულზე მომზადებული კვლევის პრეზენტაცია გამართა. კერძოდ, საქმე ეხება სააქციო საზოგადოება „მრეწვრკინიგზას“, რომელსაც ქონებები 2012 წლამდე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევის შედეგად, ნების საწინააღმდეგოდ დაათმობინეს. უკანონო ჩარევის შედეგად, სააქციო საზოგადოების დირექტორს ქონებების ნაწილი სახელმწიფოს სასარგებლოდ მიატოვებინეს, ნაწილი – სახელმწიფოს სასარგებლოდ გამიჯვნით მიისაკუთრეს. სააქციო საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონებების ნაწილი თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ქვეშ ექცეოდა. შესაბამისად, სახელმწიფომ კერძო მესაკუთრის უფლებების ხელყოფა ძალმომრეობით და უკანონო ჩარევის შედეგად გადაწყვიტა და არა – კანონის საფუძველზე.

კვლევა დაკავშირებულია საქართველოში ბიზნესისა და საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტთან, სისტემური დანაშაულის შემთხვევასთან, რაც ჩვეულებრივი ნორმა აღმოჩნდა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სახელმწიფოს მკაცრი და ადამიანის უფლების დამრღვევი პოლიტიკისთვის, რა დროსაც უკანონოდ განხორციელდა სააქციო საზოგადოება „მრეწვრკინიგზას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები) სახელმწიფოს მხრიდან წართმევა, რამაც 2014 წლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, მთლიანობაში შეადგინა 778,515,00 ლარის ღირებლების ქონება. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ, სამართლიანობის აღდგენის პროცესში, უფლებადამდგენი ცალმხრივი გარიგებების სასამართლოს გზით გაუქმების მიუხედავად, სააქციო საზოგადოება სახელმწიფოსგან ისევ მოითხოვს ქონებრივ უფლებებში აღგენას, მიღებული ქონებრივი ზიანისა და ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის (დანაშაულისთვის) დაზარალებულად ცნობას, სახელმწიფო კი, როგორც მოთხოვნაზე, ასევე შემთხვევაზე – სდუმს.

„მრეწვრკინიგზას“ საქმე დეტალურად იქნა შესწავლილი, რომელიც დღემდე სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია. წართმეულ ქონებებს ისევ უკანონოდ ფლობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, რომლის მიმართაც, სასამართლოში, ქონებების დაბრუნების მოთხოვნით, მიმდინარეობს სამართალწარმოება. მეტიც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მილების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების, დაზუსტებული მიწის ფართობი: 6448.00 კვ.მ და ლილოს

სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს N1 სახლმშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების, დაზუსტებული მიწის ფართობი: 10705.00 კვ.მ ნაკვეთის გასხვისება და იპოთეკის უფლებით დატვირთვა აუკრძალა, რითაც სრულად დაკმაყოფილდა ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ მოთხოვნა 2012 წლამდე წართმეულ 778,515,00 ლარზე მეტი ღირებულების ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენისა და ქონების დაბრუნების კუთხით აუცილებელი სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებაზე. სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე შესულია კანონიერ ძალაში და მან განვლო ორი ინსტანციის კონტროლი.

მართალია, სააქციო საზოგადოებამ 2012 წლის შემდგომ მიმართა სასამართლოს და იმ გადაწყვეტილებების გაუქმება მოითხოვა, რომლიც ნების საწინააღმდეგოდ, ქონებების დათმობის საფუძველი გახდა, თუმცა სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივ დააკმაყოფილა – გაუქმდა გადაწყვეტილებები, რომლითაც ქონებების მიტოვება სასამართლომ კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების ქვეშ მოაქცია, მაგრამ სააქციო საზოგადოებამ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება ვერ აღიდგინა. ამის მიზეზი სარჩელით სათანადო მოთხოვნის დასმის არასებობა გახდა, თუმცა მოლოდინი, სახელმწიფო საკუთარი ინიციატივით, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ს.ს. „მრეწვრკინიგზას“ დაუბრუნებდა დასახელებულ ქონებებს, არ გამართლდა. შესაბამისად, მხარემ ისევ მიმართა სასამართლოს და უძრავი ქონებების დაბრუნების კუთხით ამჟამად მიმდინარეობს სამართალწარმოება.

ორგანიზაციის კვლევის ნაწილი მოიცავს სარეკომენდაციო წინადადებებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „საქართველოს რკინიგზას“, საქართველოს გენერალურ პროკურატურისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიმართ, რომელიც ქონებებზე საკუთრების უფლების აღდგენის პროცესში ინსტიტუციურ დახმარებას და გადაწყვეტილებების მიღებას შეეხება. ახალი დავის პრიობებში, კანონიერ ძალაში შესულმა სასამართლოს გადაწყვეტილებამ, იურიდიული საფუძველი გამოაცალა დასახელებული უძრავი კოდის ქვეშ არსებულ ქონებების შემდგომ განკარგვას, ვინაიდან მხარემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-312 მუხლების ერთობლიობაში, შეძლო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის დამტკიცება და დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფოს გამოაცალა დასახელებული საკუთრებების ფლობისა და განკარგვის კეთილსინდისიერი, ლეგალური და ობიექტური ყველა საფუძველი, რითაც აღიარებით სარჩელს გააჩნია წარმატების პერსპექტივა და არ არის ხანდაზმულობის ვადებით შემოსაზღვრული.

მამუკა ხაზარაძის დილემა და ლისის ტბის წილების საქმე

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მრავალწლიანი სამათყლებრივი და სამართლიანი ბრძოლის შედეგად, გრძელდება ლისის ტბის ყოფილი მფლობელის რამაზ ახვლედიანის დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივი პროცესი. ამ კუთხით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია განიხილავს ლისის ტბის მართვაზე პასუხისმგებელ კომპანიებს შორის წილების დაბრუნების საქმეს, რომელიც უშუალოდ ეხება მამუკა ხაზარაძეს და ლისის ტბის ყოფილ მფლობელ რამაზ ახვლედიანთან ერთად, ერთობლივი საქმიანობით დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას, რომელიც ამ დრომდე, სრულიად უსაფუძვლოდ, არ ახდენს რამაზ ახვლედიანს დაუბრუნოს კუთვნილი 2/3 წილი.

სასამართლომ დააკმაყოფილა საქმეზე მოწმის სახით მამუკა ხაზარაძის გამოკითხვის მოთხოვნა, 2021 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე კი – მამუკა ხაზარაძე არ გამოცხადდა. როგორც სასამართლო სხდომაზე განიმარტა, მამუკა ხაზარაძეს სურდა სხდომაზე გამოცხადება, თუმცა ვერ შეძლო პირადი მოუცლელობის გამო. სხდომაზე განიმარტა მამუკა ხაზარაძის პოზიცია, რომ სასამართლოს შემთხვევა არ უნდა მიეჩნია უპატივცემულობად და დაფიქსირდა მზადყოფნა მომდევნო სხდომაზე გამოცხადების მზადობა. სასამართლოს განმარტებით, უმჯობესი იქნებოდა, მამუკა ხაზარაძეს ან მის წარმომადგენელს ინფორმაციის მოწოდება განეხორციელებინა უშუალოდ სასამართლოსთან კომუნიკაციის ფორმით, ვინაიდან მამუკა ხაზარაძის გამოუცხადებლობის შესახებ ინფორმაცია სასამართლოსთვის ცნობილი დავის მონაწილე მოპასუხე კომპანიის ადვოკატის განცხადებით გახდა, თუმცა, გონიერი დამკვირვებლის თვალში, მამუკა ხაზარაძის გამოუცხადებლობა, მის წინაშე დილემას ჰგავს – მან ყველაზე უკეთესად იცის, რომ რამაზ ახვლედიანთან მართალი კაცი არ არის.

საქმის მასალების მიხედვით, რამაზ ახვლედიანის მიერ შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის“ სახელით ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ 63,5 ჰა კომპლექსის განვითარება და შემდგომი ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა საქმიანი და მისაღები ბიზნესს-წინადადება აღმოჩნდა შპს «თბილისის უძრავი ქონების» მიმართ. სწორედ ურთიერთმფარავი ნების პირობებში, ლისის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აღდგენა-განვითარების მიზნით, მხარეთა შორის 2004 წლის 6 დეკემბერს გაფორმდა განზრახულობათა ოქმი, რომლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ სამოქმედო 12 პუნქტიან გეგმაზე და შპს «თბილისის უძრავმა ქონებამ» და რამაზ ახვლედიანმა, ზემოთ დასახელებული მიზნების უზრუნველყოფის მიზნით, დააფუძნეს ს.ს. «ლისის ტბა». დასახელებული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2021 წლის მაისამდე გახლდათ მამუკა ხაზარაძე, თავმჯდომარის მოადგილე კი – დღემდე რამაზ ახვლედიანი.

ს.ს. «ლისის ტბას» საწსდებო კაპიტალის შესავსებად, რამაზ ახვლედიანი იღებდა ვალდებულებას, რომ იგი განახორციელებდა ქონებრივ შენატანს ქ. თბილისში, ლისის ტბის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის (საერთო ფართით 63,5 ჰა) და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების სახით აღნიშნული ქონების მის საკუთრებაში გადმოფორმებისთანავე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ს.ს. «ლისის ტბას» შექმნის დღეს რამაზ ახვლედიანი შპს «თბილისის უძრავ ქონებას» დაუთმობდა შპს «ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ლისის ტბის» წილის

2/3-ს (66.66%-ს). იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ობიექტური მიზეზის გამო რამაზ ახვლედიანი ვერ შეძლებდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვას და ს.ს. «ლისის ტბას» საწესდებო კაპიტალის შევსებას, შპს „თბილისის უძრავი ქონება რამაზ ახვლედიანს დაუბრუნებდა შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ლისის ტბის» წილს – 2/3-ს (66.66%-ს).

რამაზ ახლედიანი 2006 წლის 4 ნოემბერს, იძლებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და აღენიშნა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა – ნაგებობები და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. წერილში, ნების საწინააღმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც. **ამ განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება, ჩამოერთვა. მოგვიანებით, ჩამორთმეული ქონება რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს, პირდაპირი მიყიდვის წესით, მამუკა ხაზარაძეს გადაეცა.**

რამაზ ახვლედიანმა ვერ შეძლო განზრახულობათა ოქმით გათვალისწინებული პირობის შესრულება, შპს „თბილისის უძრავმა ქონებამ» კი არ მოახდინა წილის დაბრუნება. მიუხედავად იმისა, რომ რამაზ ახვლედიანმა ობიექტური მიზეზების გამო, ს.ს. «ლისის ტბის» საწესდებო კაპიტალში, ვერ შეძლო 63,5 ჰა მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებულ შენობა-ნაგებობების შენატანა, შპს თბილისის ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი «ლისის ტბა» ექსკლუზიურად ფლობდა საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიას, რაც რამაზ ახვლედიანს და შპს თბილისის ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი «ლისის ტბას» საიმედო პარტნიორად აქცევდა, როგორც შპს «თბილისის უძრავი ქონებისთვის», ასევე მამუკა ხაზარაძისთვის, თუმცა 2014 წლის ივნისში, რამაზ ახვლედიანმა მიიღო გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოება „ლისის ტბის“ დატოვების თაობაზე და მოითხოვა კუთვნილი წილების დაბრუნება, თუმცა უშედეგოდ.

ცნობისთვის: 2015 წლის 13 თებერვალს რამაზ ახვლედიანმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ლისის ტბის» საწესდებო კაპიტალში შპს „თბილისის უძრავი ქონების» სახელზე რეგისტრირებული 66,6835% წილის მესაკუთრედ ცნობა. სასამართლომ გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაადო სადავო რეგისტრირებულ წილს. 2018 წლის 9 მარტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოებული რამაზ ახვლედიანის სხვა დავის გათვალისწინებით, სასამართლომ წილების საქმეზე საქმის წარმოება შეაჩერა. 2021 წლის 28 იანვარს, სასამართლომ საქმეზე განაახლა საქმის წარმოება, მხარემ სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული სარჩელი. სამართალწარმოება 2022 წლის იანვრიდან განახლდება.

ყველა, ვინც უარყოფს საქართველოში სისტემურ დანაშაულებს, საზოგადოებას ატყუებს

პოლიტიკური მოვლენების განხილვის დროს საზოგადოებრივი დისკუსიის პროცესში იმის უარყოფა, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირები არ არსებობდნენ ან პოლიტიკური შეფასება არ მისცემია 2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, სრული სიცრუეა და იურიდიული მნიშვნელობის აქტების შეგნებულ იგნორირებას წარმოადგენს. ორგანიზაცია გამოეხმაურა მაღალი საჯარო ინტერესის საკითხს, რომელიც საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკავების შემდეგ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა ჯგუფების არსებობის საკითხს შეეხებოდა.

სახელმწიფომ 185 პირი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად და 25 პირი პოლიტიკური ნიშნით დევნილად აღიარა, ხოლო მოგვიანებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2004-2012 წლებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების, მათი განმეორებით დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ. საკითხზე გადაწყვეტილებები 2012 წლის 5 დეკემბერსა და 2016 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო, რომელიც, თავის მხრივ დაეფუძნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის #1900 რეზოლუციას. ევროსაბჭომ პოლიტიკური პატიმრების ცნება შეიმუშავა 2001 წელს გენერალური მდივნის დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ მანდატი, შეეფასებინათ სავარაუდო პოლიტიკური პატიმრების საქმეები სომხეთსა და აზერბაიჯანში, ამ ორი სახელმწიფოს ორგანიზაციასთან მიერთების კონტექსტში. საქართველომ სრულად გაიზიარა რეზოლუციის აღიარებული პრინციპები, რომელიც „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული" პირის განსაზღვრისთვის იქნა გამოყენებული. კერძოდ, 185 პირის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად და 25 პირის პოლიტიკური ნიშნით დევნილად აღიარება მოხდა შემდეგი მდგომარეობის მხედველობაში მიღებით: 1. თუ დაკავება მოხდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასა და მისი ოქმებში მოყვანილი ფუნდამენტური გარანტიების დარღვევით, კერძოდ აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, 2. თუ დაკავება მოხდა წმიდა პოლიტიკურ მიზნების გამო და არ იყო დაკავშირებული რაიმე დარღვევასთან, 3. თუ პოლიტიკური მოტივით, დაკავების ხანგრძლივობა და მისი პირობები იმ დანაშაულის აშკარად არაპროპორციულია, რომლის ჩადენაში პიროვნება ბრალდებულ იქნა ან ეჭვმიტანილია, 4. თუ პოლიტიკური მოტივით, განხორციელებული დაკავება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს სხვა პირებთან შედარებით და 5. თუ დაკავება აშკარად სამართლიანობას მოკლებული სასამართლოს განხილვის შედეგია და დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები" განმარტავს, რომ საქართველოს პარლამენტმა წარსულში მომხდარ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს მისცა შემდეგი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება:

1. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამებას და მათდამი არაადამინურ მოპრობას საყოველთაო, სისტემური ხასიათი ჰქონდა;
2. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამებასა და მათდამი არაადამიანურ მოპყრობას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა;
3. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამებასა და მათდამი არაადამიანური მოპყრობა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ იყო სანქციონირებული;
4. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამება და მათდამი არაადამიანური მოპყრობა მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა;
5. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამება და მათდამი არაადამიანური მოპყრობა საზოგადოებაში ტოტალური შიშისა და დაუცველობის განცდის გაჩენას ემსახურებოდა;
6. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამება და მათდამი არაადამიანური მოპყრობა პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტი იყო;
7. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამებისა და მათდამი არაადამიანური მოპყრობის მეთოდების გამოყენების შესახებ მითითებას ხშირად პროკურატურა გასცემდა მათი გამოყენება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე სასურველი შედეგის მიღწევას ემსახურებოდა;
8. ბრალდებულთა-მსჯავრდებულთა წამება და მათდამი არაადამიანური მოპყრობა ძალოვანი უწყებების მიერ სასურველი ჩვენების მიღების საშუალება, ქონებისა და წილების დათმობინების მარტივი გზა და საპროცესო შეთანხმების დადების იძულების ეფექტიანი მექანიზმი იყო;
9. პროკურატურა, რომელსაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სრულყოფილად და ობიექტურად უნდა გამოეძიებინა, როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, არ ფუნქციონირებდა;
10. სასამართლო ხელისუფლება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე პროაქტიურად არ რეაგირებდა;
11. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოვლენის და მათზე სათანადო რეაგირების თვალსაზრისით, 2009-2012 წლებში, ეფექტიანი არ იყო;
12. ცალკეულ შემთხვევებში, ადვოკატები არ ასაჩივრებდნენ მათ მიერ დასაცავ პირთა წამების და მათდამი არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს.

ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მსჯელობს სისტემური დანაშაულის საქმეებზე, მხედველობაში იქნეს მიღებული პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი ადამიანების ფაქტი, როგორც ინსტიტუციური მოვლენა და მოხდეს წარსულის ადეკვატური, პირუთვნელი და ერთმნიშვნელოვანი შეფასება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მსგავსი შემთხვევების დაუშვებლობის კუთხით.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თბილისთან დაკავშირებით ზაზა ხატიაშვილის საარჩევნო ხედვები მოისმინეს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ყოფილ თავმჯდომარე, თბილისის მერობის კანდიდატ ზაზა ხატიაშვილთან შეხვედრა გამართა და საარჩევნო პროგრამის მიმართულებები და გადაწყვეტის გზები მოისმინა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, ზაზა ხატიაშვილის ხედვები თბილისის განვითარებასთან დაკავშირებით, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს ეფუძნება. თბილისის მერობის კანდიდატი ცნობილი უფლებადამცველი და საერთაშორისო ინსტიტუტებში აღიარებული ქართველი ადვოკატია. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორიდან საჯარო მმართველობაში გამოცდილი ადამიანების წასვლის სურვილი, მოითხოვს საზოგადოების მეტ ინფორმირებულობას და მათი ხედვების შეფასებებს. პოლარიზებულ გარემოში ამომრჩევლის ინფორმირებას გადამწყვეტი როლის ეკისრება. იმ პირობებში, როდესაც მედია სამი კანდიდატის გარდა, არც კი განიხილავს თბილისის მერობის კანდიდატეთა საზოგადოებისთვის წარდგენას, ყურადღება უნდა დაეთმოს მსგავსი შეხვედრების საჭიროებას.

თბილისის მერობის კანდიდატემა ზაზა ხატიაშვილმა საზოგადოებას გააცნო თავისი პოზიციები და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არაერთ მმართველობით ღონისძიებას განახორციელებს. ზაზა ხატიაშვილის თქმით, მიღებული იქნება ანტიკორუფციული გადაწყვეტილებები. გამოცხადებული ტენდერებისა და საკონკურსო თანამდებობებზე დასანიშნ პირთა შედეგები საზოგადოებისთვის პირდაპირი ეთერის მეშვეობით გახდება ცნობილი, რაც აღმოფხვრის ნეპოტიზმის წინაპირობებს. ამასთან, მიღებული იქნება გადაწყვეტილება სამსახურეობრივი ავტომობილებით მომსახურებაზე უარის თქმისა და მუნიციპალიტეტის ელექტრო ავტომობილებზე გადასვლის შესახებ. ზაზა ხატიაშვილის თქმით, განხორციელდება სოციალური რეფორმა, თბილისის მერია კი არც ერთ სამშენებლო პროექტზე არ გასცემს ნებართვას, თუკი მშენებელი კომპანია მუნიციპალურ საბინაო ფონდში არ ასახავს ასაშენებელი ფართების 15%. თბილისის მერია შეიმუშავებს გეგმას, რა დროსაც, ბინები გადაეცემა სოციალური დაუცველ პირებს და მერიის მხრიდან გადაცემულ ქონებებზე შემოღებული იქნება მემკვიდრეობითი წესით მონაცვლეობის უფლება. ამასთან, ზაზა ხატიაშვილი განმარტავს, რომ შექმნის გარანტიებს ალკოჰოლდამოკიდებული და ნარკოდამოკიდებული ახალგაზრდების დაცვისთვის, თბილისის მერია გამოყოფს სპეციალიზირებულ ფსიქოლოგებს, რომლებიც საჯარო სკოლებში მოსწავლეებთან იმუშავებენ ანტინარკოტიკულ და ანტიალკოჰოლურ სწავლებაზე. მერია დააფინანსებს სკოლამდელი აღზრდიდა და სკოლის ეტაპზე, მოზარდების კვების ხარჯებსაც. აგრეთვე, ზაზა ხატიაშვილმა ისაუბრა მერიის მხრიდან ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლების ხელშეწყობის პროგრამებზე და აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს იმ სტუდენტებს, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებში მოხვდებიან. **„ჩვენ ჩავდებთ პირობას, რომ ეს ადამიანები დაბრუნდებიან საქართველოში და დასაქმდებიან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში. ეს ნიშნავს, რომ გაიზრდება კონკურენცია და კვალიფიკაცია. დღეს თბილისის მერიაში მუშაობს უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე ლონდონის მერიაში, რადგანაც დასაქმებულია პარტილი აქტივი და არა – საჭირო ხალხი“** – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეხვედრა ზაზა ხატიაშვილთან დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში მოამზადეს. შეხვედრას პროფესიული საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ წინადადება ტაქსის მომსახურების სფეროში სამართლიანი ტარიფისთვის

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სახელმწიფოს მხრიდან ტაქსის მომსახურე კომპანიების საქმიანობის მკაცრი შემოწმებისა და სამართლიანი სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრის მოთხოვნით, ქ. თბილისის მთავრობას და კონკურენციის სააგენტოს, ერთობლივად მიმართავს და სამართალწარმოების პროცესს იწყებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, შესწავლის საგანი უნდა გახდეს პანდემიის პერიოდში ქ. თბილისში მოქმედი ტაქსის კომპანიების მხრიდან თვითნებურად მიღებული გადაწყვეტილებები სატარიფო პოლიტიკის ცვლილებასთან, რამაც ბაზარზე მომსახურების ფასის არაგონივრული მაჩვენებელი წარმოქმნა, დაარღვია კერძო და საჯარო ინტერესები, მოსპო ბუნებრივი კონკურენცია, რაც უპირობოდ იწვევს სახელმწიფოს ჩარევის ვალდებულებას და საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ პრობლემა მთელი სირთულით დადგა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი ტაქსით მომსახურების სფეროში, თუმცა საკითხის მოწესრიგება სრულად უნდა მოიცავდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ტაქსით მომსახურებით სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრას და ხელვნურად მომსახურების ტარიფის ზრდის შეზღუდვას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ წინადადებით გამოდის ტაქსის მომსახურების გამწევი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის დროს მაღალი მარჟით დაიწყებს ოპერირებას საქმიანობის ნებართვა, არანაკლებ 6 თვით უნდა შეუჩერდეს. ორგანიზაციის **განმარტებით, მოქმდი კანონმდებლობის ანალიზით და სათანადო პოლიტიკური ნების პირობებში, საზოგადოების ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება – შესაძლებელია.**

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.
- „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დაცულია კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობა. შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით გასცემს ნებართვას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებს ნებართვის გამცემი. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, აგრეთვე არის გადაუდებლობის შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს.
- „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ერთი ეკონომიკური აგენტის ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები: შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება). აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შეთანხმება). კერძოდ: შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება).

თბილისის მთავრობა ინვესტორთან შეთანხმებას არღვევს, მრავალმილიონიანი პროექტი ქალაქისთვის კი უსაფუძვლო დავებს ეწირება

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ შესწავლის შედეგებს აქვეყნებს, რომელიც AS Georgia – „დირსის“ წინაშე მდგარი სამართლებრივი პრობლემის შეფასებას შეეხება და ქ. თბილისის მთავრობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სასამართლოს ბიზნესის მხარდაჭერისკენ, სწრაფი გადაწყვეტილებებისა და ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისკენ მოუწოდებს.

სახეზეა მრავალმილიონიანი პროექტი ქ. თბილისში, რომლის განხორციელებასაც აფერხებს ქ. თბილისის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდგომი რეალობის დადგომა: გადაცემულ მიწის ნაკვეთზე უკანონო მფლობელების არსებობა, მათ შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შეუძლებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უმოქმედობა კომპანიის საზიანო ინტერესების შესამცირებლად და დაინტერესებულ პირებთან ალტერნატიული შეთავაზებების გზით, დიალოგის არარსებობა. ამასთან, ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში არსებულ საქმეზე მიმდინარე და მრავალწლიანი, დაუსრულებელი, გაჭიანურებელი პროცესი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, **თბილისის მთავრობა ინვესტორთან შეთანხმებას არღვევს, მრავალმილიონიანი პროექტი ქალაქისთვის კი უსაფუძვლო დავებს ეწირება.** საქმის მასალებით დგინდება, რომ 2012 წლის 26 სექტემბერს ქ. თბილისის მთავრობასა და კომპანია AS Georgia – „დირსის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ. AS Georgia – „დირსმა“ აიღო ვალდებულება საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით განეხორციელებია პროექტი 15 ჰა საერთო ფართობის მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ფართობზე, საზოგადოებისთვის ღია ლანდშაფტური დასვენების პარკის მოწყობის მიზნით. ინვესტიციის საერთო ღირებულება შეადგენს არანაკლებ 3 000 000 მილიონ აშშ დოლარს.

ამ ხელშეკრულების თანახმად, „გამყიდველი“ – ქ. თბილისის მთავრობა წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის ერთადერთ და კანონიერ მესაკუთრეს. ხელშეკრულების თანახმად, პრივატიზების ობიექტი იყო უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო. ხელშეკრულების საგანი არ წარმოადგენდა ჩუქებისა და ნასყიდობის, ასევე გაცვლის ხელშეკრულების საგანს მესამე პირთათვის. ასევე, არ იყო ექსპროპრირებული და ნაციონალიზებული საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. ხელშეკრულების საგანი არ წარმოადგენდა იპოთეკის, გირავნობის ან სხვა უზრუნველყოფის საშუალების საგანს ნებისმიერი პირთათვის. ასევე, სხვა პირს არ გააჩნდა ხელშეკრულების საგნის უპირატესი შესყიდვის უფლება. არ არსებობდა ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო დავები, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა საკუთრების უფლებასა და საგნის სარგებლობისთვის. ხელშეკრულების საგანზე, არ მიმდინარეობდა ისეთი პროცესი, რაც გამყიდველის საკუთრების უფლების გადახედვას გამოიწვევდა და არანაირი მესამე პირი ეჭვის ქვეშ არ აყენებდა მესაკუთრის საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგანზე. შევნიშნავთ, რომ 2018 წლის 4 ივნისს, მართალია, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილებები და დამატებები, თუმცა არსებითი პირობები არ შეცვლილა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პროექტის შესაბამისობა მოხდებოდა განაშენიანების რეგულირების გეგმასთან მიმართებით და პარკის მშენებლობა დასრულდებოდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ ინვესტორთან მიმართებით, ქ. თბილისის მთავრობას შესაბამისი წინდახედულება არ გამოუჩენია, ვინაიდან კომპანიისთვის გადაცემული უძრავი ქონება არამართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა ლია გ.-ს, კოტე კ.-ს, კოტე ა.-ს, ამირან ა.-ს, ზაურ ს.-ს, გიორგი კ.-ს და ვლადიმერ გ-ს მიმართ. მოქალაქეების მტკიცებით, მათ ფართები დაკავებული ჰქონდათ 1990-იანი წლებიდან და ქონების გასხვისების მომენტისთვის, არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობილი იყო, როგორც ინვესტორისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის.

ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის პროცესი და 678 500,00 ლარის განკარგვა, არაერთი სადავო საკითხის გარკვევამდე, უნდა შეჩერდეს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავების მიზნით გამოცხადებულ კონკურსს ეხმაურება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას პროცესის სიცხადისკენ მოუწოდებს – საკონკურსო წინადადების შესყიდვის მიზნით ბიუჯეტიდან გამოყოფილი 678 500,00 ლარი უნდა მიიღოს შემსრულებელმა კომპანიამ, რომელმაც საპროექტო ობიექტის მნიშვნელოვან ნაწილზე – 51,593 კვ.მ ფართზე უკვე მოამზადა მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებაზე არსებობს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც არ აღსრულებულა, ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავების მიზნით გამოცხადებული კონკურსი კი ეყრდნობა საფუძვლებს, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს წესით დავის საგანს და საერთო სასამართლოებში მიმდინარეობს სამართალწარმოების პროცესი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ განმარტავს შემდეგს: ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, დედაქალაქის მასშტაბით გამოიყო ქალაქთგეგმარებითი არეალები, სადაც უნდა დაზუსტდეს ტერიტორიების განვითარების პირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მდგრადი განვითარების პრინციპებით დაბალანსებული განვითარებისა და საიმედოდ ფუნქციონირებადი ქალაქის ქალაქგეგმარებითი პირობები. გენგეგმის მიხედვით, „ელიავას ბაზრობა“ და მისი მიმდებარე ტერიტორია განისაზღვრა არეალად, სადაც ქალაქგეგმარებითი არეალის ნაწილის განვითარება დასაშვებია მხოლოდ განვითარების ერთიანი ჩარჩო პირობებისა და ხედვის ფარგლებში. წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს მოთხოვნებს ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი კვლევებისა და რევიტალიზაციის ერთიანი კონცეფციის შესამუშავებლად. სწორად დაგეგმილი და განხორციელებული რევიტალიზაცია გულისხმობს სწორი კონცეფციის შექმნას, მის განხორციელებასა და შეუზღუდავ შემოქმედებით პროცესს. რევიტალიზაციის პროექტი არ უნდა იყოს განყენებული და უნდა ჯდებოდეს ქალაქის განვითარების სტარტეგიულ ხედვაში.

1. შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ (ს/კ 202249673) მხრიდან, რომელიც ელიავიას ბაზრობის ტერიტორიის ერთ-ერთ მსხვილ მესაკუთრეს წარმოადგენს, 2016 წელს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი იქნა განცხადება ქ. თბილისში, ბარათაშვილის სახელობის მარცხენა სანაპიროსა და ა. კერესელიძის ქუჩებს შორებს მდებარე: ს/კ 01.13.05.010.043, ს/კ 01.13.05.010.015, ს/კ 01.13.05.010.044 და ს/კ 01.13.05.010.041 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების შესახებ. 51,593 კვ.მ ფართზე მომზადებული მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა დადებითად შეფასდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან და დასამტკიცებლად გაიგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. საკითხის განხილვა გაურკვეველი ვადით შეჩერდა და რეაგირების გარეშე დარჩა. ვითარების გათვალისწინებით, შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფმა“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, აქტის დავალების გამოცემის მოთხოვნით, სარჩელი აღძრა სასამართლოში. სამწლიანი პროცესი შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ გამარჯვებით დამთავრდა.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში

საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღებასთან დაკავშირებით. სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულების მიზნით წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ადმინისტრაციულმა ორგანომ კი, 2019 წლის დეკემბერში გამართულ სხდომაზე, შემდგომი განხილვის მიზნით, საკითხი კენჭისყრიდან მოხსნა.

2. შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ მხრიდან 2019 წლის მაისის თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს წესით, ბათილობის მოთხოვნით, გასაჩივრებული იქნა ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული ნორმა ადგენს სპეციალურ პირობას, იმ დათქმით, რომ ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარება დასაშვებია ერთიანი ხედვის ფარგლებში დამუშავებული განაშენიანების გეგმის შესაბამისად. შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფი“ ასაბუთებს, რომ გასაჩივრებული ნორმა პირდაპირ შეეხება არამხოლოდ თავის, არამედ ხსენებულ ტერიტორიაზე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ინტერესებს. ადგილზე ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთიანი კონცეფციის საფუძველზე განაშენიანების გეგმის შემუშავება შეუძლებელია და ასეთი პერსპექტივა ობიექტური რეალობაა. შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფი“ ასაბუთებს, რომ ესპობა კუთვნილი ბიზნეს-ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობა და იმ ვითარებაში, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, არსებობს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს სახით არ ახდენს დოკუმენტის დამტკიცებას და ნამდვილი მესაკუთრეთა ინტერესების დაცვას.

3. 2021 წლის 4 იანვარს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არტსტუდიო პროექტი“ (ს/კ 204489393). კონკურსი ეფუძნება ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძვლებს, რაც გასაჩივრებულია სასამართლო წესით. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მიხედვით, გამარჯვებული და შემსრულებელი კომპანია დაფუძნებულია 2005 წელს, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირები კი არიან ოთარ სულაბერიძე (დირექტორი) და ირინე სკალვინია (დირექტორი, საქართველოს და იტალიის სახელმწიფოს ორმაგი მოქალაქე). კომპანიის მესაკუთრეა გიორგი სულაბერიძე (50%-იანი წილის მმართველი) და ვასილ წერეთელი (50%-იანი წილის მმართველი). საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიასთან საკონკურსო წინადადების შესყიდვის მიზნით, ამჟამად მიმდინარეობს მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების პროცესი, რომლის ღირებულებაც დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 678 500,00 ლარი. აღსანიშნავია, რომ სწორედ შპს „არტსტუდიო პროექტმა“ მოამზადა შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რაც არსებითად არ განუხილავს ქ. თბილისის საკრებულოს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აზრით, საჭიროა სიცხადე შევიდეს იმ საჭიროებებსა და თანმიმდევრობებში, რომელიც ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავების მიზნით გამოცხადებულ კონკურსის გამოცხადებას შეეხება. კერძოდ, კონკურსის გამოცხადება და შემდგომი პროცესი ეფუძნება იმ სამართლებრივ საფუძვლებს, რომელიც გასაჩივრებულია სასამართლო წესით. შესაბამისად, ლეგიტიმურად დაისმის შეკითხვა, თუ რა აუცილებლობით იქნა განპირობებული კონკურსის გამოცხადება სასამართლოში სადავოდ ქცეული საფუძვლების პარალელურად. დადგენილია, რომ საქმეში მესამე პირად ჩართულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა და სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო. სწორედ ამ უკანასკნელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოაცხადა კონკურსი ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის კონცეფციის შემუშავების მიზნით.

ამასთან, ორგანიზაცია საუბრობს პასუხისმგებლობის და წინადახედულობის საკითხებზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი 678 500,00 ლარის განკარგვასთან დაკავშირებით. თუ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდება შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ სარჩელი, ბათილად იქნება ცნობილი ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რითაც შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფს“ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის განხორციელებისთვის სრული სამართლებრივი საფუძველი შეექმნება, შედეგად ვიღებთ რეალობას, როდესაც ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რევიტალიზაციის ერთიანი კონცეფციის შემუშავებისთვის გადახდილი საბიუჯეტო თანხა გამოუსადეგარი დოკუმენტის მომზადებისთვის იქნება დახარჯული.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილსიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის მონიტორინგის პროცესში 2017 წლის მარტში ჩაერთო. ორგანიზაციამ 2017 წლის 6 აპრილს მონიტორინგის პირველადი შეფასებითი ნაწილი წარმოადგინა და აღნიშნა, რომ თბილისის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი საჯარო ინტერესებს არ პასუხობდა. შესაბამისად, ორგანიზაცია საკითხზე მუშაობას აგრძელებს.

ახალი იურიდიული ბრენდი

KAIKATSISHVILI & BARRISTERS
კაიკაციშვილი & ადვოკატები

ჩვენ თქვენთვის



სააპელაციო სასამართლომ თსუ მეცნიერების საქმეზე ორწლიანი სამართალწარმოება უკანონოდ ცნო

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსების შედეგად თანამდებობებიდან გაშვებული მეცნიერების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოებული სრული საქმისწარმოება, მისგან გამომდინარე გადაწყვეტილებები და შედეგები – უკანონოდ ცნო, დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებითი დარღვევა და დააკმაყოფილა ნინო ღამბაშიძის, ლოლა სარალიძის, რუსუდან ლაბაძისა და მანანა ხვედელიძის სააპელაციო საჩივარი, რითაც საქმე არაგანსჯადი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან დაბრუნდა განსჯად – სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. შედეგად, საქმის განხილვას შეუდგება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 12 მარტის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცალსახად დაინახა მასშტაბური დარღვევებით წარმოებული საქმის შედეგები და ჭეშმარიტად დადგა დაზარალებული მეცნიერების ინტერესების მხარეს. მოსამართლე მარიამ ცისკაძემ აჩვენა პრინციპულობა და შეუვალობა, რომელმაც თვალი არ დახუჭა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან გამოვლენილ მავნებლურ და მიზანმიმართულ ქმედებებზე. სააპელაციო ეტაპმა კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა არაგანსჯადი წესით საქმის განხილვა, რა მოტივები გააჩნდა რექტორს და მასთან პირდაპირ დაკავშირებულ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე დავით წერეთელს. წარმოებული დავის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის დაძლევა, მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების დაცვა და რექტორ გიორგი შარვაშიძის რეპუტაციის გადარჩენა. მოსამართლის გადაწყვეტილება არამხოლოდ სამართლიანობის აღდგენისკენ მიმართული აქტია, არამედ საზოგადოებას ეუბნება – უნივერსიტეტი კერძო საკუთრება არ არის. უნივერსიტეტი, მათ შორის დაუმსახურებლად გაშვებული მეცნიერების სამსახურშია. ჩვენ დავიბრუნეთ სამართლიანი სასამართლოს უფლება. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით უნივერსიტეტშიც.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2018 წლის 25 აპრილს, თსუ-ის რექტორის ბრძანებით, თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის – მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და მეცნიერ-თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადდა კონკურსი. **იქედან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ არჩევანი გააკეთა ნეპოტიზმით და დისკრიმინაციული წესით შერჩეულ კანდიდატებზე, შედეგები გააპროტესტა კონკურსის მიღმა უკანონოდ დარჩენილმა მეცნიერებმა.** მხარემ მოითხოვა რექტორის 2018 წლის 22 ოქტომბრის No252/01-01 ბრძანების ნაწილობრივ გაუქმება ა) ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში **ვალერიან ვაშაკიძის** არჩეულად გამოცხადების ნაწილში, ბ) შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში **ქეთევან ქუთათელიძისა** და **ალექსანდრე თვარაძის** არჩეულად გამოცხადების ნაწილში, გ) ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებაში **არჩილ კოხრეიძის** არჩეულად გამოცხადების ნაწილში, დ) საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში **ხათუნა იოსელიანის** არჩეულად გამოცხადების ნაწილში. ამასთან, სადავო ბრძანების მიღებისთვის წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის 2018 წლის 11 ოქტომბრის სხდომის ოქმის ნაწილობრივ გაუქმება, შესაბამის თანამდებობებზე დანიშნვა ან ტოლფასი სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა, იძულებითი შრომითი განაცდურის ანაზღაურება. საქმეზე სამართალწარმოება გრძელდება.

„VTB ბანკის“ წინააღმდეგ მენეჯერის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, არსებით მოთხოვნებზე კი დავა საკასაციო წესით გაგრძელდება

2021 წლის 23 ივნისის თბილისის სააააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა „VTB ბანკ ჯორჯიას“ ცენტრალური ფილიალის საოპერაციო განყოფილების ანგარიშების ყოფილი მენეჯერის სააპელაციო საჩივარი, მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მენეჯერის სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც ბანკისთვის დასაქმებულის მიმართ სარეკომენდაციო ცნობის გაცემას დავალდებულებას შეეხებოდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მუშაკის გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის დაკისრების მოთხოვნა. იმ ნაწილში, რომელი მოთხოვნებიც არ იქნა გაზიარებული, წარდგენილია საკასაციო საჩივარი.

როგორც სასამართლოს შემაჯამებელ სხდომაზე მტკიცებულებების კვლევის ეტაპზე „VTB ბანკ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა, თამარ შუშიაშვილმა განაცხადა, მუშაკთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი გახდა ბევრი ფაქტორი და არა მხოლოდ თანამშრომლის მხრიდან სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია. ბანკის წარმომადგენლის პოზიცია აღიარებითია, ვინაიდან ყველა სხვა გარემოებით დასტურდება, რომ გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული საფუძველი – შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა – არის ფორმალური საფუძველი და ემსახურებოდა მუშაკთან დაკავშირებით უკანონო გადაწყვეტილების მიღების სხვა მიზეზების გადაფარვას. მიუხედავად ბანკის წარმომადგენლის განცხადებებისა, სასამართლომ შეგნებული დუმილი არჩია, რითაც ღიად დარჩა საქმეში არსებული კრიტიკული გარემოებების შეფასება და მოწმეთა ჩვენებები. ამდენად, საქმეზე ქართული სასამართლოს სახელით, შემაჯამაბელ პოზიციას უკვე საკასაციო სასამართლო იტყვის.

უზენაესი სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტების, მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების შედეგად, უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ თამარ მ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, უდავო ფაქტობრივ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული სამსახურში მომხდარი კონფლიქტი, ხოლო მის გამომწვევ მიზეზად დასაქმებულის მიმართ პიროვნული შეუთავსებლობა, რაც გამოხატული იყო ანალოგიურ მდგომარეობაში დასაქმებული ვერიკო ბოჭორიშვილის ვალდებულებების თამარ მ.-ს მიმართ გადაკისრებაში, მისი შესრულების დავალებაში, რასაც ახორციელებდა მისი უშუალო უფროსი – მამუკა ქავზინაძე. ფაქტობრივად, თამარ მ.-ს უწევდა, როგორც მის უფლებამოსილებაში არსებული საქმეების მოწესრიგება, ასევე ვერიკო ბოჭორიშვილის დავალებების შესრულება, რის გამოც, არაერთგზის გამოხატა უკმაყოფილება. **აღმოჩნდა, რომ ბანკი მუშაკს, ასეთი სისტემატური დავალებების გაცემით, შრომით პირობებს უცვლიდა მხარეს, რაც არც სათანადო წესით გააფორმა დამსაქმებელმა და არც თანაბარი შრომითი გარემოს შექმნა უზრუნველყო მუშაკის მიმართ. ბანკმა თამარ მ. უსაფუძვლოდ მიიჩნია არასასურველ კადრად, რაც გახდა მუშაკთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი, არასაპატიოდ შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან.**

სასამართლო უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი არ მომხდარა მარტოოდენ კონტრაქტის ვადის გასვლის გამო, ვინაიდან დამსაქმებელმა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობის გაგრძელებაზე უარი განაცხადა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც საოპერაციო სამმართველოს უფროსმა ირინა ხელაიამ საოპერაციო სამმართველოს პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების სადავო პერიოდში მოქმედი უფროსის მამუკა ქავზინაძისგან მიიღო. აღნიშნული წინაპირობა ანუ შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზები დადასტურებული და განმარტებულია დასახელებული პირების ჩვენებებით. გათავისუფლება მოხდა პიროვნული შეუთავსებლობის გამო, რასაც ადასტურებს კიდეც ირინა ხელაია. სარჩელი სასამართლოში 2017 წლის 27 მარტს დარეგისტრირდა.

სამშენებლო კომპანია „მამისონმა“ ეკონომიკური სირთულეების გამო მენეჯერის გათავისუფლების კანონიერება ვერ დაამტკიცა

2021 წლის 27 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სამშენებლო კომპანია „მამისონი“ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს სამსახურში აღადგენს და იძულებით განაცდურს გადაუხდის. შესაბამისად, სასამართლომ ბათილად ცნო კომპანიის დირექტორის 2020 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება მუშაკის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და არ გაიზიარა კომპანიის მტკიცება ეკონომიკური სირთულეების გამო დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეები შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ 2009 წლის მაისიდან. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებობდა უვადო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. კომპანიამ 2020 წლის 22 ოქტომბერს მიიღო ბრძანება, რომლითაც თანამშრომლები გაფრთხილდა, რომ ახალი კორონავირუსის გამო, კომპანიაში შემოღებული იქნა დისტანციური მუშაობა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, განხორციელდებოდა შტატების ოპტიმიზაცია. 2020 წლის 4 ნოემბერს, მენეჯერი კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად, გამოცხადდა სამსახურში, სადაც შეხვედრა გაიმართა კომპანიის ადმინისტრაციის უფროსთან და ადმინისტრაციის მენეჯერთან. მათ მენეჯერს აცნობეს, რომ ხელი უნდა მოეწერა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაზე, რაზედაც მენეჯერმა უარი განაცხადა.

კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ყოფილმა მენეჯერი, ვერ მიიღო დასაბუთებული არგუმენტი, თუ რა საფუძვლით ახდენდა კომპანია მის გათავისუფლებას და რა საფუძვლით ტოვებდა სხვა ანალოგიურ მდგომარეობაში არსებულ დასაქმებულებს. კომპანიის დასახელებული უფლებამოსილების მქონე პირებმა მენეჯერს განუმარტეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებოდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება, განსხვავება კი იქნებოდა ის გარემოება, რომ თუკი მენეჯერი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტაზე შეთანხმებას მოაწერდა ხელს (რაც ადგილზე იქნა წარმოდგენილი მომზადებული დოკუმენტის სახით), მიიღებდა კუთვნილ კომპენსაციასაც.

2020 წლის 7 ნოემბერს კომპანიამ მენეჯერს საფოსტო გზავნილით გაუგზავნა შეტყობინება, სადაც აღინიშნა, რომ მენეჯერთან შრომითი ხელშეკრულება წყდებოდა რეორგანიზაციის შედეგად. საქმის მასალებით ვერ დასტურდება ვერც რეორგანიზაციის საწარმოო აუცილებლობა, და ვერც ამ რეორგანიზაციის ლეგიტიმური მიზანი, რაც საბოლოოდ, გაიზიარა კიდეც სასამართლომ. რეორგანიზაციის გადაუდებლობა, მათ შორის ეკონომოკური სირთულეების გამო, კომპანიამ ვერც რეორგანიზაციამდე და ვერც რეორგანიზაციის შემდეგ არსებული თანამშრომელთა საშტატო ნუსხით დაამტკიცა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, საქმის მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა და მისი ეკონომიკური სფერო პანდემიამ გამოწვევის წინაშე დააყენა, მოპასუხე დაწესებულების საქმიანობა არ შეჩერებულა და შეფეხება არ განუცდია ინფრაქსტრუქტურული პროექტების განხორციელებას, სადაც სახელმწიფოსთან სამშენებლო კომპანიას არაერთი ტენდერი აქვს მოგებული და აგრძელებს სამშენებლო საქმიანობას. დასაქმებულის გათავისუფლების მომენტშიც, კომპანია 8 ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებდა. ამდენად, მხარეს გაუჩნდა საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ დასაქმებულმა, რეორგანიზაციის სახელით, პატივი არ სცა მუშაკის ასაკს და არ მიიჩნია მისი გამოცდილება სასარგებლოდ, რის გამოც, აქცენტი ახალგაზრდა კადრებზე გააკეთა.

ოფიციალური ჩანაწერით, სამშენებლო კომპანია „მამისონის“ მესაკუთრე „ევორდ ჰოლდინგია“ (ს/კ 404505629). „მამისონი“, რომელიც მრავალი წელია საქართველოს სამშენებლო ბაზარზეა და განხორციელებული აქვს მასშტაბური პროექტები, დაწყებული ჰიდროტექნიკური ნაგებობათა კომპლექსებიდან, დამთავრებული სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების ნაგებობებით, „ევორდ ჰოლდინგის“ წევრი 2017 წლიდან გახდა. „ევორდ ჰოლდინგი“, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, არაერთ ინფრასტრუქტურულ პროექტში მონაწილეობს.

კომპანია „ჯი-თი მოტორსმა" დავა წააგო, სადაც დასაქმებული სამსახურიდან 1 წუთის დაგვიანების გამო გაათავისუფლა

ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია „ჯი-თი მოტორსმა" დასაქმებულთან პრინციპული დავა წააგო: ბათილად იქნა ცნობილი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, ორი დისციპლინარული სახდელი – საყვედური და სასტიკი საყვედური, კომპანიას დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა და სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება.

საქმის მასალების მიხედვით, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2019 წლის იანვრის თვიდან. მხარეთა შორის, 2019 წლის 1 ნოემბერს გაფორმდა ვადიანი ხელშეკრულება. მუშაკი დასაქმდა კომპანიის სერვისის მიმღების პოზიციაზე (ფორდი და სუძუკის მიმართულებით) და თავის საქმიანობას ასრულებდა კეთილსინდისიერად. მხარეთა შორის თანამშრომლობა გრძელდებოდა ჩვეულებრივი დღის წესრიგით, ვიდრე არ განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც, კომპანიის ერთ-ერთი ბრენდის – „ფორდის" გაყიდვების შემდგომი მომსახურების დეპარტამენტის უფროსი გახდა ბაკურ ჭელიძე. აღნიშნულმა პირმა განიზრახა საკადრო ცვლილებების განხორციელება და მასთან ლოიალური და ახლო ურთიერთობაში მყოფი პირების დაწინაურება. დასაქმებულის მიმართ წარდგენილი იქნა პრეტენზიები, რომელიც შეეხებოდა 1. სამსახურში 1 წუთით დაგვიანებას, 2. ბაკურ ჭელიძის მხრიდან გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის შეუმოწმებლობას და მასში დასმული საკითხის – ერთ-ერთი მომხმარებლის სტატუსის ცვლილების შეუსრულებლობას, 3. კომპანიის ერთ-ერთი მომხმარებლის – ს.ს. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენლის სატელეფონო ზარზე პასუხს, რომელმაც უსაფუძვლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კომპანიას და დასაქმებულს, რა დროსაც, დასაქმებულმა მოუწოდა მომხმარებელს, რომ ტონი შეეცვალა 4. კომპანიის მომხმარებელთა ზოგადი უარყოფით სტატისტიკურ მაჩვენებელს დასაქმებულის საქმიანობის მიმართ.

2021 წლის 22 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისა და სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ ბრძანებები. კომპანია „ჯი-თი მოტორსს" დაევალა დასაქმებულის სასარგებლოდ, უკანონო გათავისუფლების ფაქტის გამო, ერთჯერადი კომპენსაციის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. კომპანიას დაეკისრა სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯებიც. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დასაქმებულის მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთან და დისციპლინარული სახდელის – საყვედურის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებობდა ვადიანი ხელშეკრულება, რომელიც სრულდებოდა 2021 წლის 1 ნოემბერს. საქმის მასალებით დადგინდა, რომ კომპანიამ შრომითი-ურთიერთობები გაუგრძელა დასაქმებულის პოზიციაზე მყოფ სხვა 3 მუშაკს, რომლებიც, აგრეთვე, იმყოფებოდნენ ვადიანი შრომით-ურთიერთობებში. ბაკურ ჭელიძემ განმარტა, რომ დარღვევების არარსებობის პირობებში, შრომითი-ურთიერთობები გაგრძელდებოდა მომჩივანთანაც, მაგრამ სასამართლომ აღნიშნა, რომ ბაკურ ჭელიძე არ გახლდათ სათანადო უფლებამოსილების ქვეშ მყოფი პირი და შრომითი-ურთიერთობის გაგრძელებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი. ამდენად, სამსახურში აღდგენის მოთხოვნა, არ გაიზიარა. სასამართლომ მართლზომიერად მიიჩნია საყვედურის შესახებ გამოცხადებული ბრძანება.

2021 წლის 19 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, დასაქმებულის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სასამართლომ სრულად გაიზიარა მომჩივანის დასაბუთება და ბათილად ცნო დისციპლინარული სახდელი – საყვედური. არ დაკმაყოფილდა კომპანია „ჯი-თი მოტორსის" შეგებებული სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ იდენტური განმარტება გააკეთა სამსახურში აღგენისა და განაცდურის სრულად გადახდევინების ნაწილშიც.

სასამართლომ 9 წლის წინ ფარულად გასხვისებულ ქონებას, ბავშვების ინტერესების გამო, ყადაღა დაადო

2021 წლის 19 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, დაკმაყოფილდა ორი არასრულწლოვანის მოთხოვნა შეგებებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე და კანონიერი წარმომადგენლის – მამის მირონით ნათესავს, რომლის მიმართაც თვალთმაქცური და კანონსაწინააღმდეგო გარიგების შედეგად, მამამ ბავშვების ერთადერთი საცხოვრებელი სახლი გადააფორმა, გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა აეკრძალა. საქმეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

მეუღლეებს შორის არარეგისტრირებული ქორწინება წარმოიშვა 2008 წელს. მათ შეეძინათ საერთო შვილი – ვაჟიშვილი. 2013 წელს მამაკაცმა მეუღლის სხვა ქორწინებიდან შეძენილ შვილს მისცა გვარი და დადგინდა მამობის უფლებაც. ოჯახის რჩენის ვალდებულება გააჩნდა მხოლოდ ქალბატონს, რომელიც აღმოჩნდა ბულინგის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის არაერთგზის მსხვერპლი. ძალადობის გამომწვევი მიზეზები არამხოლოდ ყოფითი შემთხვევები გახდა. ქალბატონი არაერთხელ გახდა დამცირებისა და შეურაცხყოფის ქვეშ წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობის გამო. ამასთან, მამაკაცის მხრიდან ქალბატონი ძალადობის მსხვერპლი ასაკის გამოც ხდებოდა, ვინაიდან მეუღლეებს შორის 26-წლიანი სხვაობაა. ვინაიდან მამამ ვერ შეძლო ოჯახის სოციალური მდგომარეობის დაცვა, დედა იძულებული გახდა სამუშაოდ გამგზავრებულიყო თურქეთის რესპუბლიკაში, თუმცა მას შემდეგ, რაც დედა დაბრუნდა სახლში, მამაკაცმა გააგრძელა ქალბატონის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. ასევე, მამაკაცმა დაიწყო შვილებით მანიპულირება და დედის მიმართ ბავშვების ანტაგონისტურად განწყობა. შესაბამისად, მამაკაცმა დაგეგმა შვილების დედისგან წართმევა, სამართალწარმოების პროცესმა კი ახალი ფაქტები გახადა ცნობილი.

საქმის მასალებით დგინდება, რომ იმ პერიოდში, როდესაც ერთ-ერთი მშობელი არ იმყოფებოდა საქართველოში, მამინაცვალმა 16 წლის გოგონა შვილის მიმართ საძინებელ ოთახში დაამონტაჟა ფარული სათვალთვალო კამერა, რამაც უკანონოდ ხელყო ბავშვის პირადი სივრცე. ამასთან, გამოძიებაში მიცემული ჩვენებების თანახმად, დგინდება, რომ არასრულწლოვანი გოგონა მამინაცვლის მხრიდან არაერთგზის აღმოჩნდა სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი. დგინდება, რომ არარეგისტრირებული ქორწინების პირობებში, საერთო შვილის გაჩენამდე და გოგონას შვილებამდე, მამაკაცმა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გაასხვისა თანასოფლელ და მირონით ნათესავ პირზე, თუმცა უძრავი ნივთის მესაკუთრეს, დროის არც ერთ მონაკვეთში, არ უცხოვრია მისამართზე. ფართში, უწყვეტად ცხოვრობდა არარეგისტრირებული მეუღლეები შვილებთან ერთად, მამაკაცს პერიოდულად გაქირავებული ჰქონდა რამდენიმე ოთახიც, ხოლო მას შემდეგ, რაც მეუღლის მიმართ შურისძიება დაგეგმა, სასამართლოში წარდგენილი მასალებით ცნობილი გახდა, რომ არასრულწლოვნების ერთადერთი საცხოვრებელი ფართი, ბავშვების საუკეთესო ინტერესებისა და მშობლის უფლების განხორციელების საზიანოდ, უკვე გასხვისებული ჰქონდა.

ორგანიზაცია განმარტავს, რომ მამაკაცმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შვილების საცხოვრებელი ადგილის მამის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსაზღვრა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბოლო დაპირისპირების შედეგად, მამაკაცმა საცხოვრებელი სახლი დატოვა და გადავიდა დის საცხოვრებელ მისამართზე, სადაც ამჟამადაც ცხოვრობს. ორგანიზაციამ ქალბატონის სახელით სასამართლოს მიმართა შეგებებული სარჩელით და მოითხოვა მამაკაცის მიმართ აღიმენტის დაკისრება, ასევე შვილების საცხოვრებელი ადგილის დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსაზღვრა, ვინაიდან საქმის მასალებით აღმოჩნდა, რომ მამაკაცს გააჩნდა საკუთარი შემოსავალი, დღემდე მუშაობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსში“ და სახელფასო დანარიცხი შეადგენდა 375 ლარს.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მამაკაცმა სამართლებრივი წინააღმდეგობა იგრძნო და ქალბატონმა ვარგისი მტკიცებულებები წარუდგინა სასამართლოს, დაიგეგმა შურისძიების ახალი მიმართულება. სახლის ახალმა მესაკუთრემ, რომელიც უძრავი ნივთი თვალთმაქცური გარიგებით მიიღო, ახალი სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას – ქალბატონის და მისი არასრულწლოვანი შვილების გამოსახლებას.

2021 წლის 18 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, არასრულწლოვნების ჩვენებების მათ სრულწლოვნებამდე გასაიდუმლოების თაობაზე. ამავე სასამართლოს 2021 წლის 21 აპრილის განჩინებით, უძრავი ნივთის ახალი მესაკუთრის სარჩელის ფარგლებში, მიღებული იქნა გადაწყვეტილება არასრულწლოვანების ინტერესების დაცვის მიზნით, ორგანიზაციის ხელმძღვანელ არჩილ კაიკაციშვილის ადვოკატად დანიშვნის შესახებ. ამდენად, მხარის ახალი ძალისხმევის ფარგლებში, ორგანიზაციამ არასრულწლოვნების სახელით შეგებებული სარჩელი წარუდგინა სასამართლოს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საკუთრების უფლების აღიარება, ბავშვების სრულწლოვნებამდე სამკვიდრო ნილის ½ ნაწილის გასვისება და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა. მოპასუხეებად დასახელებულია, როგორც ბავშვების კანონიერი წარმომადგენელი – მამა, ასევე უძრავი ნივთის მოქმედი მესაკუთრე. სასამართლომ შეგებებულ სარჩელზე გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ვინაიდან აღნიშნა, რომ ბავშვების კანონიერ ინტერესებს, უძრავ ნივთზე მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში, გამოუსწორებელი ზიანი მიადგებოდა.

სახელმწიფო ე.წ. „კორტების სპეცოპერაციის“ საქმეზე ზიანს აანაზღაურებს

2021 წლის 5 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო 2006 წელს, ე.წ. „კორტების სპეცოპერაციის“ შედეგად დაღუპული ალექსანდრე ხუბულოვის ოჯახს, დაკრძალვის ხარჯებსაც აუნაზღაურებს. სასამართლომ გაიზიარა მომჩივანი მხარის მოთხოვნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაკრძალვის ხარჯების სახით, 10 000 ლარის გადახდა დააკისრა. ამასთან, სახელმწიფო გარდაცვლილი ოჯახს მორალურ და მატერიალურ ზიანსაც აუნაზღაურებს, ხოლო სრულწლოვანებამდე მარჩენალდაკარგულ ორ მოზარდს მიუღებელ სარჩოს და ყოველთვიურ სარჩოს გადაუხდის. სახელმწიფოს მთლიანიობაში, 60,000 ათასს ლარზე მეტის გადახდა დაეკისრა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, სრულად გაიზიარა გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების მოთხოვნის კანონიერება. მოხდა არსებული მტკიცებულებების სწორად შეფასება და ამ კუთხით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული გამოცდილების გაზიარება. სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნა მორალური და მატერიალური ზიანის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებული შედეგის გაუქმებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, სადაც განისაზღვრა მორალური და მატერიალური ზიანი, დარჩა უცვლელი. აღნიშნული არც დაზარალებულ ოჯახს გაუსაჩივრებია.

ქართული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ორი გარემოებითაა საყურადღებო – კიდევ ერთხელ დადასტურდა ***ა) წინა ხელისუფლების პირობებში სიცოცხლის უფლების მოსპობით სისტემური დანაშაული და ბ) აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება გამოცხადდა ევროსასამართლოს მიერ 2019 წლის 18 ივლისს საქმეზე: „ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ“ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ,*** სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევას. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, 2006 წლის 2 მაისს, ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა, რამაც ალექსანდრე ხუბულოვთან ერთად, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობა გამოიწვია, არც პროპორციული და არც აუცილებელი იყო. ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ვაზაგაშვილების ოჯახის სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით, 50 000 ევროს გადახდა დააკისრა.

რაც შეეხება ალექსანდრე ხუბულოვის საქმეს, ქართულ სასამართლოში, მოპასუხე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, სარჩელი ალექსანდრე ხუბულოვის მეუღლემ, შვილებმა და გარდაცვლილის სიდედრმა წარადგინეს. ისინი ტრაგედიამდე და ტრაგედიის შემდგომაც, ერთ ოჯახად ცხოვრობენ.

ორგანიზაციამ შეძლო მოეპოვებია ყველა ვარგისი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა მატერიალური და მორალური ზიანის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების არსებობას. ყველა მოსარჩელემ ალექსადრე ხუბულოვის მკვლელობით მიიღო იმგვარი ხარისხის სტრესი და ტკივილი, რომელიც შეუძლებელია მხოლოდ ყოფითი სირთულეებიდან გამომდინარე შეფასდეს ან/და ექცეოდეს ჩვეულებრივი „მორალური ზიანის“ აღქმის ქვეშ. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, არ ხდება ხელყოფილი უფლების (სიცოცხლის უფლება) სრული რესტიტუცია და კომპენსაციის მიზანია გამოწვეული ტკივილის, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც დაეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს ორივე ინსტანციამ სრულად გაიზიარა ორგანიზაციის და სარჩელის სულისკვეთება.

ცნობისთვის: ალექსანდრე ხუბულოვის ოჯახმა სასამართლოს სარჩელით 2018 წლის 20 დეკემბერს მიმართა, თუმცა „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქმეში 2019 წლის თებერვლიდან ჩაერთო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სარჩელი არც სააპელაციო ეტაპზე ცნო, წარმომადგენელმა კი სხდომაზე განაცხადა, რომ ადგილი არ ჰქონია სისტემურ დანაშაულს. სამინისტრომ არც დავის მორიგებით დასრულების წინადადება განიხილა, თუმცა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელია, სააპელაციო სასამართლოს დამდგარი შედეგი აღარ გასაჩივრდეს.

თავდაცვის სამინისტრო ქართულ შემსყიდველ კომპანიას 26,384.35 ლარს გადაუხდის

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შემსყიდველ ქართული კომპანიას 26,384.35 ლარს გადაუხდის. სახელმწიფო უწყებამ სამართლებრივი დავა სასამართლოს ყველა ინსტანციაში წააგო. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქართულმა კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის, ერთ-ერთი ქვეყნის მწარმოებელი კომპანიისგან შეიძინა 121 რაოდენობის საპოხი ლიტა, თუმცა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეძენილი პროდუქციის მიღების პროცესში, შემსყიდველ კომპანიას პრეტენზია ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაში წარუდგინა და თანხის გადახდის გარეშე, პროდუქციის უკან დაბრუნება მოსთხოვა.

საქმის მასალების მიხედვით, შემსყიდველ კომპანიასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის, 2017 წლის 25 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს უნდა მიეღო 121 რაოდენობის საპოხი ლიტა. სამინისტროს მიერ შემსყიდველი კომპანიის მიმართ გამოითქვა პრეტენზია. კერძოდ, 33 ცალ ბიდონზე შეფასდა, რომ დარღვეული აღმოჩნდა ლუქი, ხოლო 2 ცალი ბიდონი აღმოჩნდა დაზიანებული (გატეხილი). სამინისტრომ მიღებული 121 ბიდონიდან პრობლემურად მიიჩნია 35, ხოლო 86 ბიდონის მიმართ არ გამოთქმულა პრეტენზია. კომპანია ნაწილობრივ დაეთანხმა სამინისტროს პრეტენზიას. კერძოდ, აღინიშნა, რომ 2 ცალი ბიდონი მართლაც უნდა შეფასებულიყო დაზიანებულ (გატეხილ) მდგომარეობაში, ხოლო 33 ბიდონი სრულად აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით დადგენილ მახასიათებელ პირობებს. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ შემსყიდველ კომპანიასთან სამართლებრივ საკითხებზე შედავება გადაწყვიტა და საჭიროდ მიიჩნია სადავო გარემოებებზე ექსპერტიზის დანიშვნა, რომელმაც საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერ გასცა. სასამართლოს შემსყიდველმა კომპანიამ წარუდგინა ყველა ვარგისი მტკიცებულება, რომელიც მიწოდებული პროდუქციის მთლიანობასა და გამოყენებას შეეხებოდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, მას შემდეგ, რაც კომპანიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადამსჯელო ღონისძიების გამოყენებას მიმართა და 2018 წლის 31 აგვისტოს მიიღო აქტი შემსყიდველი კომპანიის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. კერძოდ, 4 694,36 ლარის (ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით) ჯარიმა, რაც თითქოსდა გამომდინარეობდა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში პროდუქციის დაგვიანებით მიწოდების გამო. სასამართლომ საბოლოოდ გაიზიარა შემსყიდველი კომპანიის დასაბუთება და კომპანია პირგასამტეხლოს გადახდისგან სრულად გაათავისუფლა. შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა სამინისტროს მოთხოვნა.

ცნობისთვის: კონტრაქტორმა კომპანიამ სარჩელით სასამართლოს 2018 წლის 8 აგვისტოს მიმართა, თუმცა მოგვიანებით, 2018 წლის 21 ნოემბერს, სასამართლოს წარედგინა დაზუსტებული სარჩელი, სადაც მხარემ სადავო საკითხებთან მიმართებით, ახალი მტკიცებულებები და სრულყოფილი სამართლებრივი მსჯელობა წარადგინა. თავის მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2018 წლის 19 ნოემბერს სასამართლოს კომპანიის მიმართ წარუდგინა შეგებებული სარჩელი და პირგასამტეხლოს სახით, 4 694,36 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, კომპანიის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სამინისტროს დაეკისრა მომსახურების ხელშეკრულებიდან 16 294 ლარის გადახდა. ამასთან, კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (მოსამართლე: ქეთევან მამაცაშვილი).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით, კომპანიის საჩივარი, მოთხოვნილი თანხის ოდენობით, სრულად დაკმაყოფილდა. არ დაკმაყოფილდა სამინისტროს საჩივარი პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით (მოსამართლეები: ვანო წიკლაური (თავმჯდომარე), ნათია გუჯაბიძე, გოდერძი გიორგიშვილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინებით, სამინისტროს საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო (მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე). განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აჯილდოვებს

„ნომინანტები და ნომინაციები - 2021“

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“** — ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“** — სსიპ შემოსავლების სამსახური
3. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“** — საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
4. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“** – სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“** – სასტუმრო: „Shota Rustaveli Boutique Hotel“
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“** – გადაცემა: „ტელესკოლა“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – გადაცემა „საქმიანი დილა“, ტელეკომპანია „პირველი“
8. **„საზოგადოების ხმა“** – გადაცემა: „თავისუფალი ხედვა“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
9. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – რადიო „კომერსანტი“

„თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2021“

1. **გიორგი კობერიძე**, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე“
2. **სალომე უერთაშვილი**, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
3. **ლიზა ციციშვილი**, ტელეკომპანია „ფორმულა“, საინფორმაციო გამოშვება: „ფორმულა News“
4. **თათია არაბიძე**, ტელეკომპანია „ობიექტივი“, საინფორმაციო გამოშვება: „ნამდვილი ამბები“
5. **ნინი კიკალიშვილი**, სამაუწყებლო კომპანია „ჯორჯიან თაიმსი“
6. **მარიამ ურუშაძე**, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. **ჯაბა ანანიძე**, გაზეთი „ბათუმელები“
8. **თამთა ასანიძე**, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
9. **სოფო რატიშვილი**, მედია-ჰოლდინგი „კვირა“

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“**

- **მაია თორდია**, სამართლისმცოდნე, სდასუ-ს ადმინისტრაციის უფროსი

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2014 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, როდესაც წლის საქმიანობის ღონისძიებაზე აღინიშნება პროფესიული წრისა და იმ ინსტიტუციების დამსახურებული როლი, რომლებმაც ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში, საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, კეთილსინდისიერად შეასრულეს. ორგანიზაცია, ტრადიციულად, წლის ბოლოს, უცვლელი დასახელების ნომინაციებს გადასცემს უწყებებს, ინსტიტუციებს, საქმიანი სფეროს წარმომადგენლებსა და ჟურნალისტური კორპუსს. წინა წლების დამსახურებული გამარჯვებულები ასე გამოიყურება:

2020 წელი

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“** – სიღნაღის რაიონული სასამართლო
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“** – სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
3. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“** – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
4. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“** – სსიპ „112“
5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“** – გამომცემლობა „უნივერსალი“
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“** – ახალგაზრდული ლიტერატურული გადაცემა: „წიგნების თარო“;
7. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – გადაცემა „საქმე“, ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“
8. **„საზოგადოების ხმა“** – გადაცემა: „ღამის კურიერი“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“
9. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – ახალი ამბების სააგენტო iPress.ge

„თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2020“

1. **რეზი ხუციშვილი,** საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე“
2. **ლიკა ალელიშვილი,** საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე
3. **დავით ყურაშვილი,** ტელეკომპანია „იმედი“, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“
4. **ელიტა ანდღულაძე,** ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
5. **ირაკლი მაისურაძე,** ტელეკომპანია „მაესტრო“
6. **ირაკლი ყურაშვილი,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. **ალეკო გვეტაძე, „Euronews Georgia“**
8. **სანდრო ვეფხვაძე,** ტელეკომპანია „POSTV“
9. **მირანდა ჭარხალაშვილი,** ტელეკომპანია „ობიექტივი“
10. **ბელა გელაშვილი,** ახალი ამბების სააგენტო: „Report.ge“
11. **ნინო გოლოშვილი,** მედია-ჰოლდინგი „კვირა“
12. **მიშა ვარძელაშვილი,** ახალი ამბების სააგენტო „პირWელი“
13. **გიორგი გირკელიძე,** მედიასახლი „გურიანიუსი“

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“**

- **ნიკა სადრაძე,** ადვოკატი

2019 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – თბილისის სააპელაციო სასამართლო
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
3. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
4. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ – აწარმოე საქართველოში
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – სასტუმრო „Wyndham Grand Tbilisi“
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გაზეთი „ბანკები და ფინანსები“
8. „საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „NEWSROOM“, ტელევიზია „პალიტრანიუსი“
9. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო „Report.ge“

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2019“

1. ბელა ზაქაიძე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „ახალი კვირა“
2. ლევან კვატაშიძე, ტელეკომპანია „იმედი“, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“
3. თამთა ჩიტიშვილი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
4. ლევან წუწუნავა, ტელეკომპანია „მაესტრო“
5. ნინო ხოზრევანიძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. გოგი ჩოკოშვილი, საქართველოს რადიო FM 102.3
7. ილია ჩაჩიბაია, ტელეკომპანია „ობიექტივი“
8. სულხან მესხიძე, ტელეკომპანია “25 არხი”
9. თეონა აბესაძე, ახალი ამბების სააგენტო „პრაიმთაიმი“
10. ინგა ქვარცხავა, მედია-ჰოლდინგი „კვირა“
11. ბექა ვარდოსანიძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი და ბლოგერი

„ორგანიზაციის მეგობარი“

1. ანა ბოკუჩავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ბრენდის მენეჯერი;
2. საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციის სტუდენტები – ციცი ჭელიძე, მარიამ ბარსონიძე, სოფიო ჯიჭონაია, ანა გაგუა, მარიამ შათირიშვილი, სოფიო თვალაბეიშვილი და თამარ სტეფანიშვილი.

2018 წელი

1. *„ღია სასამართლო ინსტანცია“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო*
2. *„ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია*
3. *„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი*
4. *„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო*
5. *„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*
6. *„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „ორბელიანი – საქართველო“*
7. *„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – „On Ge“*
8. *„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გადაცემა: „დილა ობიექტივზე“*
9. *„საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „დღის თემა“, ახალი ამბების ტელევიზია „პალიტრანიუსი“*

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2018“

1. *აკაკი გოგიჩაიშვილი, ტელეკომპანია „იბერია“*
2. *იმედა დარსალია, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი*
3. *ლუკა ხაჩიძე, ტელეკომპანია „პირველი“*
4. *მარიამ ქართველიშვილი, ტელეკომპანია „იმედი“*
5. *ნინო გელაშვილი, რადიო „თავისუფლება“*
6. *გიორგი აბაზაძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი*
7. *ანა კიკნაძე, ტელეკომპანია „ობიექტივი“*
8. *ირაკლი მანაგაძე, ახალი ამბების სააგენტო „ექსპრესნიუსი“*
9. *ნელი ვარდიაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „ევრონიუსი“*
10. *გვანცა ფიფია, ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“*
11. *თეონა ნოზაძე, ახალი ამბების სააგენტო „პირWელი“*
12. *ნინო ექვთიმიშვილი, ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“*
13. *თამარ შეყილაძე, მედია-ჰოლდინგი „კვირა“*

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – ტარიელ კაკაბაძე, ადვოკატი

2017 წელი

10. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – **მცხეთის რაიონული სასამართლო**;
11. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;**
12. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუ-

ციური დიალოგისთვის“ – **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;**
13. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – **სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;**
14. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – **გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“;**
15. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **„CsoGeorgia.org“;**
16. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“;**
17. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,**
18. „საზოგადოების ხმა“ – **გადაცემა „რეაქცია“, ტელეკომპანია „პირველი“;**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი 2017“

1. **ირაკლი ჩიხლაძე,** ტელეკომპანია „იმედი“;
2. **მაია მიშელაძე,** გაზეთი „ვერსია“;
3. **ნინო მიქიაშვილი,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი;
4. **ბელა გელაშვილი,** ტელეკომპანია “იბერია“;
5. **გურამ როგავა,** საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. **სოფიო ნიაური ,** ტელე/რადიო „ობიექტივი“;
7. **ვიქტორია ქათამაძე,** სააგენტო „პირWელი“;
8. **რუსუდან ოქრუაშვილი,** „გურიანიუსი“
9. **ალეკო ჩუბინიძე,** სააგენტო „ნიუსპრესი“;
10. **ბაჩანა ჯინჭარაძე,** გაზეთი „ბანკები და ფინანსები“;
11. **იზა შაქარაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „კვირა“**

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – გია ტაბლიაშვილი, ადვოკატი

2016 წელი

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“** – ბათუმის საქალაქო სასამართლო;
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“** – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
3. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“** – სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო;
4. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“** – „საქართველოს რკინიგზა“;
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“** – „ქალთა ფონდი საქართველოში“;
7. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – ახალი ამბების სააგენტო „კვირა“ და „კვირას“ მედია-კლუბი;
8. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – ტელეკომპანია „იბერია“, გადაცემა „ბიზნეს კოდი“;
9. **„საზოგადოების ხმა“** – რადიო პალიტრა, გადაცემა: „360“;

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2016“

1. **მაცაცო გახოკიძე,** ტელე/რადიო „ობიექტივი“;
2. **თამთა კაკაურიძე,** სააგენტო „გურიანიუსი“;
3. **ნათია კოპალიანი,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
4. **ჯაბა ხუბუა,** გაზეთი „ასავალ დასავალი“;
5. **მანანა ცუხიშვილი,** „მთავარი გაზეთი“;
6. **ნენე სტეფანიშვილი,** სააგენტო „რეპორტიორი“;
7. **გენო ოსიყმაშვილი,** ტელეკომპანია „GDS“;
8. **სალომე გოგოხია,** ტელეკომპანია „მაესტრო“.

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“ – ლია მუხაშავრია,** ევროსასამართლოს ექსპერტი, უფლებადამცველი;
2. **ირაკლი ყანდაშვილი,** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი.

2015 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – **თბილისის საქალაქო სასამართლო;**
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;**
3. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი;**
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;**
5. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **„ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი – ACICC“;**
6. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **სააგენტო „პირWელი“;**
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **ტელეკომპანია „მაესტრო“, გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი“;**
8. „საზოგადოების ხმა“ – **რადიო „იმედი“**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2015“

1. **ზურაბ კუკულაძე,** გაზეთი „ბანკები და ფინანსები“,
2. **ლელა გოგოლაძე,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,

3. **დიანა ლიპარტელიანი,** გაზეთი „ალია“;
4. **მერაბ მეტრეველი,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი
5. **ლევან ჯავახიშვილი,** გაზეთი „კვირის ქრონიკა“,
6. **დარინა დავითაძე,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“** – ზაზა ხატიაშვილი, უფლებადამცველი, ადვოკატი
2. ლია ელიავა, ეკონომიკის ექსპერტი

2014 წელი

1. „საუკეთესო სასამართლო ინსტანცია ოპერატიული საჯარო ინფორმაციისთვის“ – **თბილისის საქალაქო სასამართლო;**
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;**
3. „ყველაზე კომუნიკაბელური სამინისტრო“ – **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;**
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**;
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – **შპს „საქართველოს ფოსტა“**;
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;**
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **პრესკლუბი „რეპორტიორი“.**
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“;**
9. „საზოგადოების ხმა“ – **საზოგადოებრივი რადიო 1, რადიო პალიტრა, გადაცემა „შუადღის ამბები განო და კოტე“;**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2014“

1 **მარიამ ზედგინიძე,** ახალი ამბების სააგენტო „კვირა“;
3. **თამარ ბატიაშვილი,** გაზეთი „ქრონიკა+“;
4. **ნათია გოგიტიძე,** გაზეთი „ქართული სიტყვა“;
5. **თამარ ლეფსვერიძე,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“ – სოფიო აზარიაშვილი** (ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი 2013-2014 წლებში)

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #171
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი“,
ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000161544925GEL

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

ორგანიზაცია მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური საკითხების განხილვაში, წარადგენს შეფასებებსა და განცხადებებს, შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართვებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას. ამზადებს კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს. ახორციელებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესწავლას და მონიტორინგს. უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას ყველა დონეზე, მათ შორის საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოებთან, სასამართლო ინსტანციებში, კერძო და საერთაშორისო არბიტრაჟში. ხელს უწყობს სამოქალაქო კამპანიების ჩატარებას, სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართ მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას, დაცვის ინსტიტუტის პოპულარიზაციას. ორგანიზებას უწევს კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებთან.

2020 წელს ბავშვთა უფლებების საუკეთესო ადვოკატირებისთვის ორგანიზაციას გადაეცა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის – იუნისეფის კეთილი ნების ელჩის ნიკა რაჭველის სპეციალური სამადლობელო ჯილდო.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩაერთო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის'' თანადამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბექაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშავრიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა. მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციას პროექტის მაღალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორციელებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მადლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.